

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა მედიევისტიკა

ევანისელი გვანცა

პაპობის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო-რომის
ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობა (XIII-XIV საუკუნის
30-იანი წლები)

ნაშრომი შესრულებულია მედიევისტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი თეა წითლანაძე

ასოცირებული პროფესორი,

თბილისი

2019

ანოტაცია

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული თემა - „პაპობის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო - რომის ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობა (XIII - XIV საუკუნის 30 - იანი წლები)“ უპირობოდ აქტუალურია. ეს განპირობებულია თანამედროვე ქართულ მართლმადიდებლურ და რომაულ კათოლიკურ დიალოგში წარსული უნიატობის ფენომენზე გაკეთებული ღრმა და ობიექტური დასკვნების პრაქტიკული მნიშვნელობით. დასახელებულ პერიოდში წმინდა ტახტის პოლიტიკას მთლიანად განსაზღვრავდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი - წმინდა მიწის დაბრუნება, მეორე კი დასავლური კათოლიკური და აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიების უნიატობის მიღწევა. ამ ფონზე რომის პაპის ინტერესთა ორბიტაში ექცევა საქართველო. ჩვენი ურთიერთობები ძლიერდება XIII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან. ეს უკვე ის დროა, როცა საქართველო მონღოლთა უღელქვეშ მოექცა და დახმარებას დასავლეთიდან მოელოდა.

ამდენად, ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს XIII-XIV საუკუნის 30 - იანი წლების პაპობის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში საქართველო - რომის ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობის შესწავლას. კვლევის ძირითადი ამოცანა იქნება შემდეგი კითხვებისთვის პასუხის გაცემა:

1. რამდენად დიდ როლს ასრულებდა პაპობა, როგორც ინსტიტუტი, დასავლეთის სახელმწიფოების აღმოსავლური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;
2. რა როლს ასრულებდა კათოლიკური მოძღვრება პაპის პრიმატობის შესახებ უნიატური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში და რამდენად იყენებდნენ ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები მის აღიარებას დიპლომატიური მიზნით;
3. საქართველო - წმინდა ტახტის რელიგიური ურთიერთობის კონტექსტში ვაჩვენოთ როგორ ვითარდებოდა უნიატობის კათოლიკური მოდელი და ქართული მხარე როგორ ლავირებდა დიპლომატიური გზით უნიის პრობლემაზე;
4. დავასაბუთოთ, რომ პაპობა მისიონერებს საქართველოში აგზავნიდა არა კათოლიკური ეკლესიის დასაარსებლად, არამედ გარეშე მტრების წინააღმდეგ

ბრძოლაში რწმენის გასაძლიერებლად, რაც ქართველი საერო და სასულიერო მმართველების ინტერესებში შედიოდა;

5. დამტკიცდება, რომ ქართულ მართლმადიდებელი ეკლესია რომაულ კათოლიკურ ეკლესიას დაშორდა არა 1230 ან 1240 წელს, არამედ XIV საუკუნის 30-იან წლებში, რომელიც ოფიციალურად დადასტურდა ფერარა-ფლორენციის კრებაზე.

ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევისას გამოვიყენებთ ისტორიულ-სისტემურ მეთოდს. ამ უკანასკნელი მეთოდით ანალიზს შეიძლება მივაკუთვნოთ სტრუქტურული და ფუნქციური ანალიზიც, რომელიც უზრუნველყოფს კომპლექტური კვლევის ჩატარებას. გარდა ამისა, გამოყენებული იქნება ისტორიულ - შედარებითი და წყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდები. ამით თავიდან აცილებული იქნება ტენდენციურობა.

Abstract

The selected research topic “Papal Eastern policy and Georgia-Rome ecumenical and diplomatic relations in the 30s of the 13th and 14th centuries” is certainly relevant. The reason for this is the practical importance of profound and extremely objective conclusions concerning the phenomenon of former Uniatism in the contemporary dialogue between Roman Catholic and Georgian Orthodox Churches. In the aforesaid period the policy of the Holy See was completely determined by two important factors: return of the Holy Land and achieving Uniatism between the Western Catholic and Eastern Orthodox Churches. Against this background, Georgia found itself in the scope of papal attention. Our relations had been strengthening since the thirties and forties of the thirteenth century. This is the period when Georgia fell beneath the Mongol yoke and expected aid from the West.

Thus, our thesis aims *to* study Georgia–Holy See ecumenical and diplomatic relations within the context of the papal Eastern policy in the 30s of the 13th and 14th centuries. The main purpose of the paper is to answer the following questions:

1. How important was the role of the papacy as an institution in formulation of the Eastern policy of Western countries;
2. What was the role of Catholic teaching on papal primacy in the formulation of the Uniate Ideology and how did Georgian secular and religious authorities use its recognition for diplomatic purposes.
3. We aim to show how the Catholic model of Uniatism was developing in the context of Georgia–Holy See relations and how the Georgian side was manoeuvring diplomatically the problem of Church union.
4. We aim to prove that pontifical missionaries were sent to Georgia not for establishing the Catholic Church, but for strengthening faith in the fight against external enemies that was in the interests of Georgian secular and ecclesiastical authorities.

5. It is proven that the Georgian Orthodox Church split *from the* Roman Catholic Church neither in 1230 nor in 1240, but in the thirties of the fourteenth century that was officially confirmed at the Council of Ferrara-Florence.

In conformity with the aims and objectives of the paper, historical systematic approach will be applied in the study. Structural-functional analysis that ensures competent research can also be considered as an analysis by the latter approach. Furthermore, comparative-historical and critical-analytical methods will also be applied. Thus partiality will be avoided.

სარჩევი

შესავალი	1
თავი I. ეკლესიათა ეკუმენური ერთიანობის აღდგენის გზაზე.....	11
§1. 1054 წლის სქიზმის შემდგომი ეკლესია.....	11
§2. დიდი სქიზმა და საქართველო - გიორგი მთაწმინდელი	21
თავი II. საქართველო-რომის ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობები XIII საუკუნის I ნახევარში.....	36
§1. ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობები	36
§ 2. XIII საუკუნის ქრისტიანი ქართველები - ლათინთა წარმოდგენაში	48
§ 3. როდის დაშორდა მცხეთა წმინდა ტახტს	54
თავი III. XIV საუკუნის პირველი ნახევარი	66
§ 1. თეორიული ჯვაროსნული ლაშქრობის მიზანი	66
§ 2. იოანე XXII-ის აღმოსავლური პოლიტიკა და ქართულ - რომაული ეკლესიათა უნიის საკითხი .	78
დასკვნა	98
ბიბლიოგრაფია	101

შესავალი

XIII - XIV საუკუნის 30 - იანი წლებში წმინდა ტახტის აღმოსავლური პოლიტიკა ზუსტად განისაზღვრა ორი მიმართულებით: ბრძოლა წმინდა მიწების დასაბრუნებლად და აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებთან უნიატობის მიღწევა. ამ პოლიტიკამ განაპირობა საქართველოს ინტენსიური ურთიერთობა რომაულ - კათოლიკურ სამყაროსთან, რომელიც სათავეს XIII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იღებს, როცა იგი მონღოლთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა. ამ დროიდან ქართველი პოლიტიკოსები წმ. ტახტთან მჭიდრო კავშირში ცდილობდნენ ევროპაში მოკავშირის მონახვას. თავის მხრივ, პაპობა აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში (წმინდა მიწების დაბრუნება, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა, ეკლესიათა ერთიანობის მიღწევა) საქართველოს მიმართ უნიატური იდეოლოგიის საფუძველზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. ქართული მხარე ამ ინტერესს, მართალია, არა ეკლესიათა უნიით, არამედ პაპის ძალაუფლების პრიმატობითა და რომის კათედრის განსაკუთრებული ადგილის მოძღვრების აღიარებით პასუხობდა, რაც მას ბიზანტიის ეკლესიისაგან განასხვავებდა. ამით ქართული ეკლესია წმინდა ტახტის თვალში (XIII საუკუნეში) თეოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით კათოლიკურ ეკლესიასთან განყოფილად არ მიიჩნეოდა, კონფესიური თვალსაზრისით გაყოფაზე კი მხოლოდ XIV საუკუნიდან შეიძლება ვისაუბროთ.

აღნიშნულ საუკუნეებში საქართველო-რომის ურთიერთობები ქრისტიანული ერთიანობის აღდგენის კუთხით ვითარდებოდა, რაც ორივე მხრიდან საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გავლენით დიპლომატიურ ხასიათს იძენდა. ამის ლოგიკურ შედეგი იყო კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა საქართველოში, რომლებიც აქ არა მხოლოდ სახარების ქადაგებით შემოიტარებდნენ, არამედ ქრისტიანული ერთიანობის აღდგენის მცდელობით, რაც რომში გაგებული იყო როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკური ეკლესიის თანამეგობრობაში დაბრუნება რომის პაპის ძალაუფლების ქვეშ. პრობლემის ეს ფორმულირება თავისთავად განაპირობებს ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს**, რადგან აქ ჩამოთვლილი მიდგომები

ნაშრომს ორიგინალურ ხასიათს ანიჭებს. ამასთანავე, საკითხი, რომლის მიხედვითაც მაშინ ერთობისთვის საკმარისი იყო პაპის პრიმატის აღიარება ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამრიგად, ნაშრომი ამ მხრივაც სიახლის შემცველია.

წარმოდგენილი **სამაგისტრო თემის აქტუალობას** უმთავრესად განაპირობებს თანამედროვე მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წინაშე მდგარი საერთო პრობლემები. შექმნილ სიტუაციაში მართლმადიდებლებმა და კათოლიკეებმა უნდა გააცნობიერონ ძალების გაერთიანების აუცილებლობა საერთო გამოწვევებისა და ამოცანების გადასაწყვეტად. ამ მიზნით აღებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ქართულ მართლმადიდებელი და რომაულ კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობებში განვითარებული უნიატობის ფენომენის ღრმა და ობიექტური შეფასება მეტად დადებით გავლენას მოახდენს თანამედროვე მართლმადიდებლურ - კათოლიკურ დიალოგში. უფრო მეტიც, ორ ეკლესიას შორის ურთიერთობებში წარსული გამოცდილების გამოყენება დიდად გაადვილებს პრობლემისადმი მიუკერძოებელ მიდგომებს. ამდენად, საკვლევე თემის აქტუალობა უდავოა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები: ნაშრომი მიზნად ისახავს XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლების პაპობის აღმოსავლურ პოლიტიკის კონტექსტში საქართველო-რომის ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობის შესწავლას. ჩვენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი პრობლემების გადაჭრა;

1. შევისწავლოთ თუ რამდენად დიდ როლს ასრულებდა პაპობა, როგორც ინსტიტუტი, დასავლეთის სახელმწიფოების აღმოსავლური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;
2. დავადგინოთ დასახელებულ პერიოდში რა როლს ასრულებდა კათოლიკური მოძღვრება პაპის პრიმატობის შესახებ უნიატური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში და ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები რამდენად იყენებდნენ მის აღიარებას დიპლომატიური მიზნით;
3. საქართველო - წმინდა ტახტის რელიგიური ურთიერთობის კონტექსტში ვაჩვენოთ როგორ ვითარდებოდა უნიატობის კათოლიკური მოდელი და ქართული მხარე როგორ უყურებდა უნიის პრობლემას;

4. დანვრილებით უნდა იქნას განხილული, თუ რა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორი მოცემულ პერიოდში უნიტურ პროცესებზე;

5. დავასახუთებთ, რომ პაპობა მისიონერებს საქართველოში აგზავნიდა არა კათოლიკური ეკლესიის დასაარსებლად, არამედ გარემო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რწმენის გასაძლიერებლად. ეს კი ქართველი საერო და სასულიერო მმართველების ინტერესებში შედიოდა, ამიტომაც საქართველოში მისიონერების მიმართ ამ პერიოდში განსაკუთრებული ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობდა.

6. დავამტკიცოთ, რომ ქართულ მართლმადიდებელი ეკლესია რომაულ კათოლიკურ ეკლესიას დაშორდა არა 1230 ან 1240 წელს, არამედ XIV საუკუნის 30-იან წლებში, რაც ოფიციალურად დადასტურდა ფერარა-ფლორენციის კრებაზე;

7. რელიგიურად გამოკვეთოთ ქართული მართლმადიდებელი და რომაულ კათოლიკური ეკლესიის უნიტური პოლიტიკის პრაქტიკული ამოცანის კულტურულ-ისტორიული რელევანტობა.

კვლევის მეთოდოლოგია: სამაგისტრო ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევისას ძირითადად გამოვიყენეთ **ისტორიულ-სისტემურ მეთოდი**. გარდა ამისა, გამოყენებული იქნა **ისტორიულ-შედარებითი**, და წყაროების **კრიტიკული ანალიზის** მეთოდები. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი უმთავრესად დაგვეხმარა განსხვავებულ დროსა და სივრცეში მომხდარი მოვლენების ერთმანეთისადმი შეპირისპირებასა და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენაში. თანამედროვე მეთოდიკის, კერძოდ ჰერმენევტიკული მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ წყაროებში მოცემული ინფორმაციის ნამდვილობა, წყაროს ავტორთა მენტალობა და მისი შექმნის მიზანი. ამან საშუალება მოგვცა რელიგიურად წარმოგვეჩინა ქართველი მართლმადიდებელი საზოგადოების დამოკიდებულება, როგორც სხვა, ისე კათოლიკური კონფესიისადმი.

სამაგისტრო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები: ნაშრომის ქვედა ზღვარად XIII საუკუნის 30-იანი წლებია აღებული. ეს იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო უშუალოდ წმინდა ტახტსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ-რელიგიური ურთიერთობები. პრობლემის არსის გამოვლენამ განაპირობა, ზოგადად განგვეხილა, თუ რა გზა განვლო

დიდი სქიზმის შემდგომმა ეკლესიამ XIII საუკუნემდე. რელიგიურად გამოიკვეთა, რომ სქიზმა მხოლოდ კონსტანტინეპოლსა და რომს შორის მოხდა და დანარჩენი აღმოსავლელი პატრიარქები არ იზიარებდნენ კონსტანტინეპოლის პათოსს. ნაშრომის ზედა ზღვრად აღებულია XIV საუკუნის 30 - იანი წლები, რადგან ამ დროიდან საქართველო წმინდა ტახტს შორის ურთიერთობები თვისობრივად განყოფის პოზიციებიდან ვითარდებოდა.

წყაროები და ლიტერატურა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი უმთავრესად ეყრდნობა იმ პირველწყაროებს, რომელიც, საბედნიეროდ, ქართულ ენაზე მოგვეპოვება. დიდი სქიზმის შემდეგ საქართველოს პოზიციის განსასაზღვრად უდიდესი დახმარება გაგვინია გიორგი მცირეს ნაშრომმა - „ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისაჲ“.¹ როგორც ცნობილია, ამ პირველწყაროში მოცემულია, როგორც 1065 წელს გიორგი მთაწმინდელის მიერ ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X დუკას წინაშე რომაული ეკლესიის დაცვის მიზნით წარმოთქმული სიტყვა, ასევე ის თუ როგორ ავიწროვებდნენ ბერძნები ქართველებს სვიმონწმინდასა და ათონზე. ამასთანავე მასში დანვრილებითაა აღწერილი ქართველი წმინდანის მიერ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე საქართველოს ავტოკეფალიის დაცვა, რომლის მიზემიც ბერძნების შური გახლდათ. რამდენადაც ამ წყაროზე დაყრდნობით გამოთქმული გვაქვს ჩვენეული თვალსაზრისი, თუ როგორ უნდა გავიგოთ გიორგი მთაწმინდელის მიერ დიდი სქიზმიდან 11 წლის შემდეგ რომის ეკლესიის დაცვის მიზნით წარმოთქმული სიტყვა, ამ წყაროს მნიშვნელობაზე აქ მეტს არ ვიტყვით, რადგან იგი ვრცლადაა წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის ადგილას.

ჩვენი მიზნისთვის აუცილებელი ეპისტოლარული ძეგლები, რომლებიც ცხადყოფენ რომსა და საქართველოს შორის XIII-XIV საუკუნეებში არსებულ ურთიერთობებს, ვატიკანისა და იტალიის სხვადასხვა არქივებიდან თავის დროზე გამოავლინეს და ქართულ ენაზე თარგმნეს მიხეილ თამარაშვილმა და პროფ. ილია ტაბალუამ. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ დიდი მამულიშვილის,

¹ გიორგი მცირე. ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისაჲ. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). რედ. აბულაძე ი. ტ. II. თბ. 1967

კათოლიკე სასულიერო პირისა და ისტორიკოსის მიხეილ თამარაშვილის ცნობილ ნაშრომებს - „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, 1902“ და „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი, 1995“. აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც აღნიშნულ თემაზე, ასევე საქართველოს დასავლეთ ევროპასთან მრავალფეროვანი ურთიერთობის საკითხებზე არც ერთი გამოკვლევა არ შექმნილა მიხეილ თამარაშვილის ამ ფუნდამენტური ნაშრომების გარეშე. ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი, განსაკუთრებით „ისტორია კათოლიკობისა“, წარმოადგენს უფრო წყაროების კრებულს, ვიდრე ფუნდამენტურ გამოკვლევას. ამ თვალსაზრისით მისი „ქართული ეკლესია“ მონუმენტური გამოკვლევაა, რომელიც დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ამრიგად, ჩვენთვის ფასდაუდებელი იყო ამ ნაშრომებში მოტანილი წყაროები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, კერძოდ, წყაროების სანდოობისა და თარგმანების სიზუსტის შემოწმების მიზნით, გარკვეული დახმარება გაგვიწია პროფ. ი. ტაბალუას ნაშრომმა - „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბილისი, 1984“. ავტორმა მ. თამარაშვილის კვალდაკვალ ვატიკანისა და რომის სხვადასხვა არქივებში მიკვლეული მასალები სათანადო კომენტარებით გამოსცა ქართულ ენაზე და დააბუსტა რიგ შემთხვევაში მ. თამარაშვილთან დაშვებული უზუსტობები. ამდენად, მეცნიერული თვალსაზრისით, ციტირებისას უპირატესობა მივანიჭეთ ი. ტაბალუას თარგმანებს, რაც სრულიადაც არ აკნინებს მ. თამარაშვილთან მოტანილი დოკუმენტის თარგმანის სანდოობას.

XIII საუკუნის ქრისტიანი ქართველების შესახებ ლათინთა წარმოდგენების შესასწავლად გამოვიყენეთ ალექსანდრე თვარაძის მიერ 2004 წელს გამოქვეყნებული წყაროების კრებული - „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII - XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბილისი, 2004“. ამ მიზნით ჩვენთვის აუცილებელი ფაქტოლოგიური მასალა აღმოჩნდა ავტორთა კოლექტივის მიერ 2015 წელს რუსთაველის ფონდის დახმარებით გამოცემულ ნაშრომში, რომელშიც მოცემულია შაკ დე ვიტრის ცნობები საქართველოს შესახებ (გოგოლაძე ა. წითლანაძე თ. ქარჩავა თ. სილაგაძე ნ. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი შაკ

დე ვიტრის ცნობების მიხედვით. თბ. 2015). თეორიული ჯვაროსნული ლაშქრობის განხილვისას ჰეიტონის შეხედულებების წარმოჩენისას ამოსავალ წყაროს წარმოადგენდა სომეხი ისტორიკოსის რობერტ ბედროსიანის მიერ ინგლისურად ნათარგმნმა ჰეიტონის ნაშრომი (Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. Translated by Robert Bedrosian. New Jersey. 2004). სამაგისტრო ნაშრომში ვეყრდნობით სხვა წყაროებსაც, რომელიც შესაბამისი ადგილების სქოლიოებში სათანადო შეფასებითაა წარმოდგენილი და ამ მიზნით აქ მათი შეფასებისაგან თავი შევიკავეთ.

ისტორიოგრაფია. ჩვენს მიერ საკვლევ თემად არჩეული საკითხის გარშემო არცთუ ისე მწირი სპეციალური ლიტერატურა მოგვეპოვება. ქართველი მეცნიერები ამ საკითხით ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდნენ და სპეციალური ნაშრომებიც მიუძღვნეს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მ. თამარაშვილის ორი მონოგრაფია. კათოლიკე სასულიერო პირი იმით გამოირჩევა, რომ იგი მიუკერძოებელია მსჯელობისას, რაზეც სათანადო ადგილას უფრო ვრცლად გვექნება საუბარი. კიდევ ერთი ქვეყნის ფარგლებს მყოფი ქართველი თეოლოგი, ასევე კათოლიკე მიხეილ თარხნიშვილი დაინტერესდა საქართველო - რომის ურთიერთობით და მას სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა, სადაც მსგავსად მ. თამარაშვილისა ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას და არ იხრება არც ერთი რელიგიური დოგმის სასარგებლოდ. საქართველო - რომის ურთიერთობის კვლევას მიეძღვნა სამი დისერტაცია, რომლებსაც ქრონოლოგიური პრინციპით დავასახელებთ. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ისტორიკოს მანანა ჯავახიშვილის ნაშრომი: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან IV-XIV საუკუნეებში. მიუხედავად იმისა, რომ დისერტაციაში გამოთქმულ ბევრ შეხედულებას არ ვიზიარებთ, ვფიქრობ, იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რომის პაპების დიპტიქში მოხსენიება სულაც არ ნიშნავს საქართველოსა და რომს შორის ერთობას,² თუმცა აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ეს ფაქტი არც გაყრის მტკიცებად გამოგვადგება.

² ჯავახიშვილი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან IV-XIV საუკუნეებში. სადირსექტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1997. გვ. 103

ასევე გავეცანით გიორგი მაჭარაშვილის საღისერტაციო ნაშრომს (დიდი სქიზმა და საქართველო. 2014. თბ), რომელიც მართალია, ისტორიულზე მეტად თეოლოგიური გადმოსახედიდანაა დანერგილი, მაგრამ მასში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების ძველი ქართული თარგმანები. ეს უკანასკნელი პირველად სწორედ გიორგი მაჭარაშვილმა გახადა თვართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამ დამსახურებისა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, იგი ამკარად მიკერძოებულია. დისერტანტი ავლენდა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ დიდ სიმპატიებს საპირისპიროდ კათოლიკეობისა. ამის ნათელი მაგალითი „დიდ სქიზმაში“ დამნაშავედ მხოლოდ რომის ეკლესიისა და მისი მეთაურის გამოყვანაა. ჩვენთვის ნათელია, რომ სქიზმის „ნამდვილ მიზეზს უწინარეს ყოვლისა აქვს ისტორიულ - კულტუროლოგიური ხასიათი. ოდესღაც ერთიანი რომის იმპერიის ორივე ნაწილს ჰქონდა თავისი კულტურული თავისებურებები.“³ დასავლეთ რომის იმპერიაში კვლავ ლათინური კულტურული პარადიგმა სჭარბობდა. რაც შეეხება აღმოსავლეთის იმპერიას, აქ გამარჯვება ელიზურმა, ანუ ბერძნულმა ხასიათმა მოიპოვა. ბრძოლა დასავლეთსა და აღმოსავლურს შორის იყო დავა პირველობისთვის, რომლის საფუძველიც ჯერ კიდევ ანტიკურ საუკუნეში უნდა ვეძიოთ.⁴ ამდენად, მართებულად არ მიგვაჩნია არც დიდი სქიზმაში დამნაშავეს ძიება და მით უფრო ყველაფერში დამნაშავედ დასავლეთის მიჩნევა, რასაც ისტორიკოსი გიორგი მაჭარაშვილი გვთავაზობს თავის დისერტაციაში. ეკლესიათა დაშორება გამონვეული იყო კომპლექსური მიზეზებით და არა პაპის ან კონსტანტინეპოლის პატრიარქის პირადი ინტერესების გამო. 2015 წელს კიდევ ერთი ისტორიკოსი დავით თინიკაშვილი შეეხო ჩვენ საკვლევ თემას თავის დისერტაციაში (ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI -XIII საუკუნეებში). ნაშრომი წარმოადგენს იმ შეხედულებების ფაქტობრივ გაბათილებას, რომელიც გ. მაჭარაშვილს აქვს გამოთქმული თავის დისერტაციაში. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა გაბრიელე ბრაგანტინის სტატია - „კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს?“ (კათოლიკური

³ Болотов В. В. Лекции по истории древней церкви. М. 1994. Т. III. გვ. 26

⁴ Болотов В. В. Лекции по истории древней церкви. გვ. 26-27

მემკვიდრეობა საქართველოში I, თბილისი, 2018, გვ.19 - 32). მასში ავტორმა ორიგინალურად დასვა მრავალი საკითხი და მათ შორის ქართულ მართლმადიდებელი და რომაულ კათოლიკური ეკლესიის გაყოფის პრობლემაც. ავტორის ვარაუდით ამბზე „...მეთოთხმეტე საუკუნიდან შეიძლება ვილაპარაკოთ“ (იქვე, გვ. 31).

საქართველო - რომის ურთიერთობის კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანა პროფ. მ. პაპაშვილმა, რომელიც წლებია უკვე ამ საკითხითაა დაინტერესებული. განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია მისმა სულ ახლახან, 2019 წელს გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ სახელწოდებით: „საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30 -იანი წლები).“ ნაშრომში იგი ახდენს იმ შეხედულებების გადაფასებას, რომელიც 1995 წელს თავის მიერ დაწერილ საფუძვლიან სამეცნიერო ნაშრომში წარმოადგინა (საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ. 1995. თბ., 2019). უმეტეს შემთხვევაში ჩვენ მხარს ვუჭერთ მის შეხედულებებს. მიუხედავად ამისა ოდნავი სახეცვლილებით გავიზიარეთ მისი თეორია საქართველო - რომის ეკლესიათა დამორების შესახებ, რის შესახებაც სათანადო ადგილას გვექნება საუბარი. სამაგისტრო ნაშრომის ბოლო პარაგრაფზე მუშაობისას, სადაც საუბარია საქართველო ეგვიპტის სასულთნოს ურთიერთობაზე, დიდი დახმარება გაგვიწია გოჩა ჯაფარიძის მონოგრაფიამ. (საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. თბილისი. 2016) მასში დაწვრილებითაა განხილული როგორც საქართველო - სულთანატის ურთიერთობა, ასევე ილხანთა საყაენოსა და ეგვიპტეს შორის არსებული ომები თუ დიპლომატიური ურთიერთობანი. ამ და სხვა ნაშრომების დახმარებით სათანადო ადგილას ჩვენ ნათლად ვცხადყვით თუ როგორ განსაზღვრავდა ჰულაგუიანთა სახელმწიფოსა და ეგვიპტის სასულთნოს ურთიერთობა საქართველოს დიპლომატიას XIV საუკუნის 20-30-იან წლებში.

რაც შეეხება უცხოელ ავტორებს, ნაშრომის პირველი თავის ამოცანებიდან გამომდინარე უდიდესი დახმარება გაგვიწია სტივენ რანსიმენის ნაშრომმა (The Eastern Schism. Oxford University Press. 1997), რომელშიც განხილულია უნიის გაფორმების მცდელობები რომსა და კონსტანტინეპოლს შორის, რომელიც უფრო პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული, ვიდრე რელიგიური. მისი დახმარებით დავასაბუთეთ,

რომ რომი სქიზმის შედეგად დაუპირისპირდა არა აღმოსავლურ ეკლესიებს, არამედ უშუალოდ კონსტანტინეპოლს. რანსიმენტან ერთად გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა დონალდ ნიკოლის ნაშრომს (*Byzantium and the Crusader States 1096-1204 / Translated by J. C. Morris and Jean E. Ridings. Oxford. 1993*), რომელშიც კარგად ჩანს, თუ როგორ აღიქვამდა ბერძნული სამყარო ლათინურს დიდი სქიზმის შემდეგ.

უნიის თეორიულ გააზრებაში საინტერესო აღმოჩნდა თავისი სიახლეებით ავგუსტინ მარკვეიჩის ნაშრომი (*Униатство: богословские аспекты. М. 2003*), რომელის მოპოვებაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ავტორეფერატის სახით შევძელით, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევა - ძიების დროს მასთან დაკავშირებას მოვახერხებთ და ნაშრომს დასრულებული სახით მოვიპოვებთ. ვფიქრობთ, მარკვეიჩის კვლევის და მის მიერ გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ჩვენს მუშაობას შემდგომში კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის.

ნაშრომის მესამე თავის დასაწერად, რომელშიც საუბარია ლათინური სამყაროს მცელობებზე კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ მონღოლებთან, რათა ჩაერთოთ ისინი ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ძირითადად გამოვიყენეთ პიტერ ჯექსონის ნაშრომი (*The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014*). ამასთანავე, მასში განხილულია პირველი მისიონერული ვიზიტები, როგორც ილხანთა საყაენოში, ასევე ოქროს ურდოში. ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა ორდენის მიზანს ამ ტერიტორიებზე ლათინური მისიების დაარსება და კათოლიკეობის ქადაგება წარმოდგენდა. თეორიული ჯვაროსნული ლაშქრობის ავტორების მიზნების შესახებ მსჯელობები უმთავრესად ეყრდნობა მონრეალის უნივერსიტეტში მოღვაწე კორნელ ბონტას ნაშრომს, რომელშიც ქრონოლოგიური პრინციპის დაცვითაა მათი შეხედულებები განხილული (*La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la défaite de Nicopolis. 2012*). მისი მსჯელობა ბევრ თეორიასთან დაკავშირებით არსაკმარისი იყო, როს გამოც საჭირო გახდა დამატებით ლიტერატურის გამოყენება. მაგალითად, როგორცაა ქუვეითის ხელოვნების კოლეჯის პროფესორი ჰაიათ ალ ნაჯის ნაშრომი (*The Crusading Deals During Fourteenth an Fifteent Century, 1976*).

ნაშრომში დასმული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გააზრება - ანალიზში დიდ დახმარებას გვინევდა უცხოელ ისტორიკოს - მკვლევართა ნაშრომები. მათ შორის უნდა გამოვყოთ: არისტიდეს პაპადაკისის⁵, დონალდ ნიკოლის⁶, მაიკლ ანგოლდის⁷, სტეფან რაპის⁸, ნორმან ჰოსლის⁹ და სხვათა ნაშრომები. ისინი შესაბამის ადგილას სათანადოდაა სქოლიოში ასახული.

⁵ A. Papadakis. Ecumenism in the thirteenth century: The Byzantine case. ST. Vladimir's theological quarterly. Vol. 27. No 3. 1983

⁶ Nicol M. Donald. The Byzantine View of Western Europe. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291. Leideo. 1975

⁷ Angold Michael. The Fourth Crusade. Event and Context. Harlow: pearson longman. 2003

⁸ Rapp H. Stephan. Georgian Christianity: The Blacwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry. Chiechester. 2010

⁹ Norman Housley. The Avinion Papacy and The Crusades 1305-1378. Clarendon Press. Oxford. 1986

თავი I. ეკლესიათა ეკუმენური ერთიანობის აღდგენის გზაზე

§1. 1054 წლის სქიზმის შემდგომი ეკლესია

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენი მიზანია ორი პოსტულატის დამტკიცება, რაც დაგვეხმარება შემდგომში ჩვენი კვლევის მთავარი მიზნის სწორედ წარმართვაში. პირველ რიგში, ვეცდებით იმ დებულების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც „სქიზმა“ არ ყოფილა ერთჯერადი მოვლენა, არამედ ეს იყო პროცესი, რომელიც 1054 წელს დაიწყო და 1204 წელს, ლათინების მიერ კონსტანტინეპოლის აღებით დასრულდა. სწორედ ამ მოვლენის შემდგომ ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა რომსა და კონსტანტინეპოლს შორის საეკლესიო უნიის მიღწევა. მეორეს მხრივ, ჩვენი მიზანია ვცხადყოთ, რომ „დიდი სქიზმა“ მოხდა არა აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან, არამედ უშუალოდ კონსტანტინეპოლთან.

1054 წელს მომხდარი დიდი სქიზმა იყო მხოლოდ ფაქტი და მისი შედეგი რეალურად არ დამდგარა 1204 წლამდე. ამ აზრს გვიმტკიცებს ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ მოყვანილი არგუმენტებიც, რომლებსაც ჩვენც ვიზიარებთ. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ 1054 წელს მომხდარი მოვლენების გაზვიადება არ უნდა მოხდეს, რადგან რომმა და ბიზანტიამ ამის შემდეგაც განაგრძეს მეგობრულად თანარსებობა. საკუთარი აზრის განსამტკიცებლად მათ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

- 1) ბიზანტიელი მემკვიდრეების დიდი სქიზმაზე, რომელსაც ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით.
- 2) პოლიტიკური ურთიერთობების გაგრძელება კონსტანტინეპოლსა და რომს შორის.
- 3) 1089 წელს ალექსი კომნენოსის მიერ წამოყენებული ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა პაპის სახელის შეტანას კონსტანტინეპოლის დიპტიქში.¹⁰

განხეთქილების თარიღთან დაკავშირებით ბერძენი ისტორიკოსი არისტიდეს პაპადაკისი შენიშნავდა: *“სქიზმა ვერ დათარიღდება, როგორც კონკრეტული ისტორიული მოვლენა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ის რომ ყველაფერი 1054 წელს გადაწყდა, დიდწილად მითია. დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ გზების ეს გაყრა იყო ერთგვარი*

¹⁰ R. Maynes, East and west in 1054. Cambridge Historical Journal. 11. 1954. p.137

„პროცესი“ - ურთიერთობების უწყვეტი რღვევის საბოლოო შედეგი, რის პარალელურადაც ევროპაში თანაბარზომიერად იზრდებოდა პაპის გავლენა და ავტორიტეტი.¹¹

როგორც ვხედავთ, პაპადაკისი საუბრობს დროში განვლილ პროცესზე, რომლის დათარიღებაც ერთი კონკრეტული დღითა და წლით არ შეგვიძლია. იმისთვის, რომ ჩვენს მიერ მოყვანილი დებულება გავამყაროთ თანმიმდევრობით, მოკლედ მიმოვიხილავთ 1054 წლის შემდგომ კონსტანტინეპოლსა და რომს შორის არსებულ რელიგიურ ურთიერთობებს, რომლის მიზანსაც ეკლესიათა გაერთიანების მიღწევა წარმოდგენდა. ნათელი გახდება ისიც, რომ ეს მცდელობები უპირველესად განპირობებული იყო პოლიტიკური გარემო-თავტორებით და მიმართული იყო უნიისაკენ.

XI საუკუნის 70-იან წლებში ბიზანტიის იმპერია ორმხრივი დარტყმის მოლოდინში იყო, ერთის მხრივ, დასავლეთიდან მომძლავრებული ნორმანები, რომელთა მეთაურმა რობერტ გვისკარმა დაიპყრო აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი და ბალკანეთს მიაღწა, მეორეს მხრივ, კი თურქ-სელჩუკები, რომლებმაც 1071 წელს სერიოზული მარცხი აგემეს იმპერიას მანასკერტთან გამართულ ბრძოლაში, რის შედეგადაც ბიზანტიამ დაკარგა ანატოლია, სადაც თავს იყრიდა მთელი მისი ეკონომიკური თუ სამხედრო პოტენციალი.

ასეთ მდგომარეობაში ბიზანტიის იმპერატორს კარგად ესმოდა, რომ კიდევ ერთი მტრის გაჩენა დასავლელი იერარქების სახით დამლუპველი აღმოჩნდებოდა, თანაც პაპი ერთადერთი იყო ვისაც ნორმანების შეჩერება შეეძლო. იმპერატორი ითვალისწინებდა იმასაც, რომ დაქირავებულ ჯარისკაცთა უდიდეს ნაწილს სწორედ ლათინები შეადგენდნენ.¹²

ზემოთ ჩამოთვლილი მთელი რიგი პოლიტიკური გარემოებებიდან გამომდინარე, კონსტანტინეპოლი და რომი კვლავ ინარჩუნებდნენ მეგობრულ ურთიერთობებს და

¹¹ A. Papadakis. Ecumenism in the thirteenth century: The Byzantine case. ST. Vladimir's theological quarterly. Vol. 27. No 3. 1983. გვ. 207 ივივეს აღნიშნავს კაზაკოვიც: „დიდი საეკლესიო განხეთქილება, რომელიმაც 1054 წელს ქრისტიანობა გაყო მართლმადიდებლობად და კათოლიკობად არ გახლდათ ერთდროული მოვლენა.“ Казаков М. М. У истоков Великого церковного раскола. М. 2010. გვ.17

¹² S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . 1997. გვ. 55

განაგრძობდნენ პოლიტიკურ მოკავშირეობას. მიუხედავად იმისა, თუ რას იფიქრებდა ამაზე კონსტანტინეპოლის პატრიარქი.

საერო პირების მხრიდან პოლიტიკური მოტივებით მოქმედების ნათელი მაგალითია მიხეილ VII პარაპინაკი. კონსტანტინეპოლის პატრიარქის აზრის მიუხედავად, იმპერატორი 1074 წელს, სქიზმიდან 20 წლის გასვლის შემდგომ, რობერტ გვისკარს სწერდა: „განა აბსურდი არ არის, რომ ჩვენ, რომლებიც გაერთიანებულნი ვართ ქრისტიანული სარწმუნოებითა და საერთო რასობრივი წინაპრების კავშირებით გაყოფილნი ვართ და ერთმანეთს ვეომებით? რადგან ეს სხვა არაფერია, თუ არა ერთი ადამიანის გაჭრა, თვით მისი კიდურების გაგლეჯვა და განცალკევება?“¹³

პირველი მცდელობები ეკლესიათა გასაერთიანებლად სქიზმიდან მალევე დაიწყო. რომის პაპმა ალექსანდრე II-მ რომანოზ IV დიოგენეს ნაცვლად იმპერატორის ტახტზე ასულ მიხეილ VII პარაპინაკს ანგანის ეპისკოპოსი პეტრე გაუგზავნა ლეგატად, რომელსაც გარდა იმისა, რომ ახალი ბასილევსისთვის პაპისგან მილოცვა უნდა გადაეცა, ასევე ტაქტიანად უნდა წამოეჭრა ეკლესიების გაერთიანების საკითხიც.

სამწუხაროდ, ამ დროისთვის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უნიასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობდა. ახალი პაპისთვის, გრიგოლ VII ჰილდებრანდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთის ეკლესიას ეცნო მისი პრიმატი, ხოლო კონსტანტინეპოლში მხოლოდ იმაზე იყვნენ თანახმა, რომ პაპი დიპტიქში მოეხსენიებინათ, დანარჩენ ოთხ პატრიარქთან ერთად. სწორედ ამის გამო, როდესაც პაპ ალექსანდრე II-ის ლეგატმა სიტყვა ჩამოაგდო უნიაზე, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იოანე ქსიფილინოსმა, იმპერიის მდივნის მხარდაჭერით გამხნეებულმა, განაცხადა, რომ ეს დისკუსია უნდა გადაედოთ განუსაზღვრელი ვადით.

მალევე თავად ბიზანტიას დასჭირდა დახმარება ნორმანების წინააღმდეგ და 1073 წელს იმპერატორმა თავის წარმომადგენელი რომში გაგზავნა, რათა გრიგოლ VII - სთვის უნია შეეთავაზებინა ნორმანების შეკავების პირობით. მართალია, პაპმა თავისი სიტყვა შეასრულა და რობერტ გვისკარი დაარწმუნა ბიზანტიასთან სამშვიდობო

¹³ Nicol M. Donald. The Byzantine View of Western Europe. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291. Leideo. 1975. გვ. 327

ხელშეკრულება დაედო და მატრიმონიალური კავშირითაც განემტკიცებინა, მაგრამ ბიზანტია ნაბიჯის გადადგმას ეკლესიათა ერთიანობისკენ არ ჩქარობდა.

ამასობაში, სასახლის გადატრიალების შედეგად ხელისუფლება ხელთ იგდო ნიკიფორე ვოტანიატმა, რომელმაც გააუქმა საქორწინო ხელშეკრულება, რითაც რობერტ გვისკარისა და პაპის გაღიზიანება გამოიწვია. პაპმა განკვეთა ბიზანტიის იმპერატორი და გვისკარს უფლება მისცა აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევა გაეგრძელებინა.¹⁴

ურთიერთობის დასტაბილურება მოხდა ალექსი კომნენოსისა და ურბან II-ის დროს. ოდო დე შატიონ დე ლაჟერი ჭკვიანი დიპლომატი იყო. მან დაინახა, რომ იმ დროს ალექსის პოზიციები უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ტახტზე ასვლისას. ნორმანები უკვე აღარ წარმოადგენდნენ საფრთხეს. მან ბარბაროსები დუნაის მიღმა განდევნა. აღმოსავლეთის საზღვარზე შეკავებული ჰყავდა თურქებიც. ურბან II მიხვდა, რომ ეს იყო პაპობის შანსი, რათა ნაბიჯი გადაედგა შერიგებისკენ. 1089 წელს პაპმა კონსტანტინეპოლში გაგზავნა ლეგატი, კარდინალი როჟერი და ნიკოლასი, გროტაფერატას ბერძნულ-რომაული მონასტრის აბატი. მათ წაიღეს წერილი, რომლითაც ალექსი კომნენოსს ეხსენებოდა განკვეთა. წერილში პაპი სთხოვდა იმპერატორს გაეხსნა ლათინური ეკლესიები და მიეცა მათთვის უფლება აღევლინათ საკუთარი რიტუალები.

ალექსიმ პაპს მეგობრული ტონით უპასუხა. მან მოიწვია სინოდი კონსტანტინეპოლში, სადაც განაცხადა, რომ პაპის სახელი დაუდევრობის გამო იყო ამოღებული კონსტანტინეპოლის დიპტიქიდან. პატრიარქმა, ნიკოლოზ III-მ წერილი გაუგზავნა პაპს და დაარწმუნა, რომ ლათინური ეკლესიები კვლავ გახსნეს და შეეძლოთ თავიანთი რიტუალი მშვიდად აღესრულებინათ. ამასთანავე ის დაჰპირდა პაპს, რომ შეიყვანდა თავის დიპტიქში. პაპს შეეძლო თავად ჩასულიყო კონსტანტინეპოლში და ემსჯელათ ორ ეკლესიას შორის არსებულ განსხვავებებზე, მაგრამ თუკი ეს შეუძლებელი იქნებოდა შეეძლო გაეგზავნა რწმენის ტრაქტატი, ან რეკომენდაციები.

ურბან II კმაყოფილი დარჩა პასუხით. პაპმა აგრეთვე შენიშნა, რომ პატრიარქმა მას უწოდა „ძმა“ და არა „მამა“. მიუხედავად ამისა, როგორც ტრაქტატს არ მიუღწევია

¹⁴ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 57-60

კონსტანტინეპოლამდე, ასევე პაპის სახელიც არ დამატებია ღიპტიქს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს რომ საუბარი გათიშვაზე, რომელიც არსებობდა ორ ეკლესიას შორის დაიხურა. შემდეგი 10 წლის განმავლობაში აქ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა იყო.¹⁵

ამ პერიოდის ბევრი ბიზანტიელი ინტელექტუალი სქიზმასთან დაკავშირებულ დისპუტს არ მიიჩნევდა სერიოზულად. ამას მოწმობს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზანტიელ მემკვიდრეთა სიჩუმე. მაგალითისთვის, მიქაელ ფსელოსი ამ დაპირისპირებას მხოლოდ ორჯერ ახსენებს. პირველად, როდესაც საუბრობს პენტარქიის თეორიაზე, ხოლო მეორედ მაშინ, როცა კერულარიოს აქებს, რადგან ის დადგა ცრუ სწავლების წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ მიქაელ ფსელოსი დიდი სქიზმის თანამედროვე მოღვაწეა და შესაბამისად ამ დაპირისპირებაზე ყველაზე მეტს უნდა საუბრობდეს, რატომღაც საერთოდაც გვერდს უვლის ამ თემის ვრცლად განხილვას.¹⁶

სწორედ ეს აფიქრებინებს ისტორიკოსთა დიდ ნაწილს, რომ XI საუკუნის დასასრულისკენ არც რომის და არც კონსტანტინეპოლის განათლებული წრეები დასავლეთსა და აღმოსავლეთ ეკლესიებს შორის სქიზმას მომხდრად არ თვლიდნენ.¹⁷ გარდა ამისა ზემოთ მოყვანილმა ფაქტებმა ნათლად გვიჩვენა ისიც, რომ საეკლესიო უნია, როგორც წესი, პოლიტიკური განზრახვით იყო ნაკარნახები.

რაც შეეხება დანარჩენ აღმოსავლელ პატრიარქებს, რომსა და კონსტანტინეპოლს შორის მომხდარი სქიზმის შემდგომ, ამ უკანასკნელმა პაპი ღიპტიქიდან ამოიღო, თუმცა მისთვის არ მიუბაძავთ დანარჩენ პატრიარქებს. ჯერ კიდევ მიქაელ კერულარიუსის პატრიარქობის დროს აღმოსავლელი სასულიერო პირები ნანობდნენ ღვთის სახლში განხეთქილების ჩამოგდებას.¹⁸

ამ დროს ანტიოქიის პატრიარქი იყო პეტრე მესამე, რომელსაც განათლება კონსტანტინეპოლში ჰქონდა მიღებული. როდესაც მიქაელ კერულარიოსმა მისწერა პეტრეს და ამცნო 1054 წლის მოვლენები ამ უკანასკნელმა გაუგზავნა თავისი

¹⁵ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 60-62

¹⁶ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 67-68

¹⁷ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 77

¹⁸ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 62-63

კეთილგანწყობა მთავარ საკითხებთან დაკავშირებით და თავაზიანად დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, იგი არ მოერიდა კერულარიოსის წერილის მონაკვეთების კრიტიკას. იგი აღნიშნავდა, რომ პატრიარქი ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ არცერთი პაპი არ მოხსენიებულა კონსტანტინეპოლში ვირგილისამდე. პეტრემ შეახსენა კერულარიოსს იოანე XVIII-ის შემთხვევა. პეტრე III თვლიდა, რომ არ არსებობდა მიზეზი თუ რატომ არ შეიძლებოდა პაპი მოხსენიებული ყოფილიყო ანტიოქიის დიპტიქში.¹⁹

კერულარიოსის შეხედულებების უგულვებელყოფა იმაშიც გამოიხატა, რომ მან რომის პაპს წერილი კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან დამოუკიდებლად მისწერა, რომელიც იწყებოდა პრეამბულით, რომელშიც იგი კითხულობდა: როგორ შეიძლება რომის ეკლესია აღარ იყოს აღმოსავლურ ეკლესიასთან შეხებაში? პეტრე III - ს აინტერესებდა, იყო თუ არა რაიმე განსაკუთრებული მიზეზი დაშორებისთვის? წერილში იგი იხსენებდა, რომ პაპი იოანე XVIII ჩვეულებრივ მოიხსენიებოდა კონსტანტინეპოლის დიპტიქში. ანტიოქიის პატრიარქი განსაკუთრებით ნუხდა იმის გამოც, რომ დიდებული პეტრეს მემკვიდრე თავის თავს განყოფილად თვლიდა სხვა ეკლესიებისაგან და არ იღებდა მონაწილეობას ძმურ პოლემიკებში. პეტრემ თავადვე შეადგინა საკუთარი რწმენის დოკუმენტი, სადაც მან ტაქტიანად გამოტოვა დავის შემცველი საკითხები. ამავე დროს პეტრემ პაპ ლეო IX-ის სახელი ანტიოქიის დიპტიქში დაამატა, რაც აშკარად კონსტანტინეპოლის და მიქაელ კერულარიოსის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა.²⁰

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით თუ რა რეაქცია ჰქონდათ დანარჩენ პატრიარქებს საეკლესიო განხეთქილებაზე. ამ მხრივ ყველაზე ნათლად პეტრე III-ის პოზიციაზე შეგვიძლია საუბარი და, როგორც ზემოთ უკვე ვცხადყვეთ, მას სურდა რომის ეკლესიის დაბრუნება პენტარქიაში. მისი მემკვიდრე თეოდოსიუს III, ვისზეც უფრო ვრცლად ნაშრომის შემდეგ პარაგრაფში ვისაუბრებთ, საქართველოს მეფეს ემუქრებოდა საეკლესიო კრების მოწვევით, რომელშიც დანარჩენი ოთხი პატრიარქი მიიღებდა მონაწილეობას, მეხუთე კი თავად იქნებოდა. მაშასადამე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც პეტრე III-ის მემკვიდრის დროს შეცვლილა რომის პაპის ავტორიტეტის რწმენა.

¹⁹ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 65

²⁰ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ 64

მიუხედავად ზუსტი ცნობების არ ქონისა, სტივენ რანსიმენი ვარაუდობს, რომ დასავლეთთან დაპირისპირებაში არც იერუსალიმის პატრიარქი იქნებოდა ჩართული. რომის პაპთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის შესანარჩუნებლად მას არაერთი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, მას არ ენდომებოდა, რომ ლათინი მომლოცველებისთვის ეწყენინებინა, ამასთანავე, უარს ვერ იტყოდა იმ საჩუქრებზე და შემოწირულობებზე, რასაც მომლოცველები აძლევდნენ წმინდა მინაზე ვიზიტის დროს.²¹

როგორც ვხედავთ, არც კონსტანტინეპოლს და მით უფრო სხვა საპატრიარქოებს 1054 წლის შემდეგ არ გაუწყვიტავთ კავშირი რომთან. პირიქით, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ამოეცხათ დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებული ნაპრალები, ამიტომაც ხშირად თვალს ხუჭავდნენ დოქტრინალურ განსხვავებებზე.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებასთან ერთად. როგორც სტივენ რანსიმენი აღნიშნავდა: „*ჯვაროსნებმა მოიტანეს არა მშვიდობა, არამედ ხმალი, და ამ ხმალს უნდა გაეხლიჩა ქრისტიანული სამყარო.*“²² მართალია, ურბან II აცხადებდა, რომ წმინდა მიწის გამოსახსენლად დაწყებული მოძრაობა მიზნად ისახავდა აღმოსავლელი ქრისტიანების დახმარებას, მაგრამ თავად ბიზანტიელი მართლმადიდებლები ასე არ თვლიდნენ.²³ „პირველმა სამმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ბიზანტია-ჯვაროსნების ურთიერთობას ორმხრივი უნდობლობისა და ეჭვიანობის ღრმა საფუძვლები შეუქმნა.“²⁴

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ხაზი გაუსვა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებულ კულტურულ და იდეოლოგიურ სხვაობებს, რამაც მეტად გააძლიერა გაუგებრობები.²⁵

²¹ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 68-69

²² S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 101

²³ Lilie R. J. Byzantium and the Crusader States 1096-1204 / Translated by J. C. Morris and Jean E. Ridings. Oxford. 1993. გვ.1-2

²⁴ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბ. 2019. გვ.18-19

²⁵ Nicol M. Donald. The Byzantine View of Western Europe. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291. Leideo. 1975. გვ. 329

დასავლელი ჯვაროსნებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთში ბიზანტიის დასაცავად ჩამოვიდნენ, გაუგებარი იყო დამხვედრთა დამოკიდებულება. ნაცვლად მეგობრული დახვედრისა, მათ მიიღეს გულცივი და ფრთხილი ურთიერთობა.²⁶

დაპირისპირების გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი გახდა წმინდა მიწის გათავისუფლების შემდეგ აღმოსავლელი მართლმადიდებელი პატრიარქების შეცვლა ლათინებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, რომის პაპის პრიმატს უსიტყვოდ აღიარებდნენ. მიუხედავად ამისა, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ბიზანტიისა და რომის ურთიერთობა სქიზმის არსებობის პირობებშიც კი გულითადი იყო და, როგორც ჩანს, ორივე მხარე შესაძლებლად თვლიდა შეთანხმების მიღწევას უახლოეს მომავალში.²⁷

ალექსი კომნენოსის მემკვიდრეები, იოანე II და მანუელ I აგრძელებდნენ რომთან კეთილგანწყობილ დიპლომატიურ ურთიერთობებს. მმართველობის დასაწყისში იოანე II მიზნად ისახავდა მცირე აზიაში თურქ-სელჩუკების მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას. მიუხედავად ამისა, მისმა ჩატარებულმა კამპანიებმა ხელშესახები ვერაფერი მოუტანა იმპერიას, ამიტომაც მან შეცვალა თავისი პოლიტიკა ბოლო წლებში და დაამყარა მჭიდრო ურთიერთკავშირი პაპობასთან, გერმანელ იმპერატორებთან და ჯვაროსნულ სახელმწიფოებთანაც კი.²⁸

კვლავ დღის წესრიგში იდგა ეკლესიების გაერთიანების საკითხი. ამასთან ძალიან ახლოს იყო მანუელ I კომნენოსი, რომელმაც 1166 წელს რომის პაპ ალექსანდრე III - ს რომში კორონაციის სანაცვლოდ ეკლესიების გაერთიანება შესთავაზა.

ამ შემთხვევაშიც უნიის უკან პოლიტიკური მოტივებია საძიებელი. პირველ რიგში, პაპს ბიზანტიის იმპერატორ მანუელის სახით გვერდით ეგულებოდა პროტექტორი ნორმანებისა და დასავლელი იმპერატორების მხრიდან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ. თავის მხრივ, მანუელი დასავლური კულტურისა და წეს-ჩვეულებების მოტრფიალე იყო. იგი ოცნებობდა რომის ბიზანტიისთვის დაქვემდებარებაზე და ამის

²⁶ Lillie R. J. Byzantium and the Crusader States 1096-1204 / Translated by J. C. Morris and Jean E. Ridings. Oxford. 1993. გვ. 6

²⁷ Lillie R. J. Byzantium and the Crusader States 1096-1204 / Translated by J. C. Morris and Jean E. Ridings. Oxford. 1993. გვ. 28

²⁸ Angold Michael. The Fourth Crusade. Event and Context. Harlow: pearson longman. 2003. გვ. 28

რეალური საბაზის მიეცა, როდესაც პაპსა და ფრიდრიხ ბარბაროსას შორის განხეთქილება მოხდა. მან ამ დავის თავის სასიკეთოდ გამოყენება და დასავლეთის სულიერი ლიდერის კეთილგანწყობის მოპოვება სცადა, რაც წარმატებით გამოუვიდა კიდევ.²⁹

მანუელი მიუხედავად ბიზანტიელთა უკმაყოფილებისა, თანახმა იყო უნიაზე. ერთადერთი პრობლემა კონსტანტინეპოლის პატრიარქი იყო, რომელიც უმჯობესი იქნებოდა თუ პაპის სამ მოთხოვნას დასთანხმდებოდა. პირველ რიგში, მას უნდა ელიარებინა პაპის პრიმატობა, მეორე - რომის უფლება აპელაციაზე და მესამე - მას უნდა შეეტანა პაპის სახელი კონსტანტინეპოლის დიპტიქში.

სამწუხაროდ, ამ დროს პატრიარქი გახდა მიხეილ III, რომელმაც ალექსანდრე III-ის წერილს ძალზედ მკაცრი ტონით უპასუხა. პაპის მოთხოვნას პირველობაზე, რომელიც წმ. პეტრეს მიერ რომის ტახტის დაარსებით იყო განპირობებული, იგი უკუშეტევით პასუხობდა. ახსენებდა მას, რომ იმავე პეტრემ ანტიოქიის ტახტიც დააარსა, თანაც უფრო ადრე ვიდრე რომის. აგრეთვე, შეახსენებდა იერუსალიმს, სადაც თავად ქრისტე ეწამა. ამით, მიხეილ III - ს სურდა ეჩვენებინა პაპის პრიმატობის უპირველესი არგუმენტის უსაფუძვლობა.

პატრიარქი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კონსტანტინეპოლი არჩეულ იქნა ღვთის მიერ ქრისტიანული იმპერიის დედაქალაქად და უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების გადასვლა დედაქალაქიდან რომელიმე სხვა ქალაქში უბრალოდ სასაცილო იქნებოდა.

ამდენად, კონსტანტინეპოლის საერო ხელისუფლება მზად იყო დათმობებზე წასულიყო რომთან, თუმცა სასულიერო ხელისუფლება და განსაკუთრებით პატრიარქი არ აპირებდა ელიარებინა უმთავრესი - რომი პაპის პრიმატი. როგორც დავინახეთ, მიხეილ III - ის პასუხში საუბარი არ ყოფილა „ფილიოკვეზე“ ისევე, როგორც ალექსანდრე III-ის მოთხოვნებში. ასეთი ოპოზიციის წინაშე იმპერატორი იძულებული გახდა უნიაზე უარი ეთქვა.³⁰

²⁹ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 120

³⁰ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ. 121-122

კომუნოსების მოქმედებებმა საბოლოოდ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდშიც, ისევე როგორც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პირობებში მოლაპრაკებები თავაზიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, შემდგომში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ორი ეკლესიის გაერთიანების ყველა შესაძლებლობა გააქრო.

შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში უპირველესად ვგულისხმობთ მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობას, რომელმაც საბოლოოდ გამორიცხა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის უნია. როგორც ამ საკითხის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი მ. ანგოლდი შენიშნავს: მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა უდავოდ გაცილებით დიდი გამოწვევა იყო, ვიდრე წინა სამი.³¹ ბიზანტიის ტახტის მაძიებელმა უფლისწულმა, მომავალმა ალექსი IV-მ რომის პაპ ინოკენტი III-ის გეგმის შეცვლა მარტივად მოახერხა. რისი უმთავრესი მიზნებიც მის მიერ მომავალში განსახორციელებელ ჯვაროსნული ლაშქრობისთვის შეპირებულ სხვა დახმარებასთან ერთად უნია და ბიზანტიის ეკლესიის რომისადმი დამორჩილება გახდა.³² ალექსი IV-მ ეს პირობა ისე გასცა, რომ მოსალოდნელ შედეგებზე არ უფიქრია. მან ვერ გაითვალისწინა, რომ კლერიკები კონსტანტინეპოლში ისევე, როგორც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი, რომელთა დიდი უმრავლესობა მრევლი იყო, წინააღმდეგი იქნებოდა რომაული პოლიტიკის გატარებისა, მით უფრო კი პაპის პრიმატის აღიარების.³³

1204 წლის 12 აპრილს მოხდა ის, რის შემდეგაც ბიზანტიელებმა დასავლეთი „მტრულ ბანაკად“ ჩათვალეს. ამ მოვლენებმა ცხადყო ლათინების მიმართ ბიზანტიელთა შიში და უნდობლობა. როგორც ინგლისელი ბიზანტინისტი დონალდ ნიკოლი შენიშნავდა, რომ ბერძნებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ ჩაიდინა დანაშაული. მათ ყველა: ფრანკები, ვენეციელები, ლანგობარდები თუ პაპი ერთად გააერთიანეს და უწოდეს მათ კოლექტიური სახელი „ლათინები“ - სარწმუნოების მეძავები და ანტიქრისტეს წინამორბედები. ამ საშინელი ტრაგედიის შემდეგ ბიზანტიელებისთვის

³¹ Angold Michael. The Fourth Crusade. Event and Context. Harlow: pearson longman. 2003. გვ. 47

³² პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბ. 2019. გვ. 67

³³ S. Runciman. the Eastern Schism. Oxford University Press . გვ.

დასავლეთზე მიუკერძოებლად და რაციონალურად საუბარი ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო.³⁴

როგორც ვნახეთ, დიდი სქიზმის ხანგრძლივ „...პროცესს გარკვეული იმპულსი მიანიჭა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა და კონსტანტინეპოლის 1204 წელს მომხდარმა აოხრებამ, რამაც გაჩენილი ბზარები საბოლოო და გადამწყვეტი გახადა.“³⁵

ამდენად, „დიდი სქიზმა“ იყო პროცესი, რომელიც 1054 წლამდე დაიწყო და აპოგეას 1204 წელს, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ მიაღწია. განხეთქილება მოხდა რომსა და კონსტანტინეპოლს შორის, აღმოსავლელი პატრიარქები კი სქიზმისგან განზე გადგნენ. დავის მთავარი საგანი გახდა „...ეკლესიაში ჰაჰის ძალაუფლების შესახებ კათოლიკური მოძღვრება, რომელიც არის ქვაკუთხედი უნიატორული იდეოლოგიისა.“³⁶ ამაზე უფრო ვრცლად შემდგომ თავებში გვექნება საუბარი.

§2. დიდი სქიზმა და საქართველო - გიორგი მთაწმინდელი

XI საუკუნი მეორე ნახევრისთვის „დიდი სქიზმისადმი“ საქართველოს პოზიციის გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქართული ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტის წმ. გიორგი მთაწმინდელის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 1063 ან 1064 წელს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას წინაშე. ეს სიტყვები შემოგვინახა მისმა ბიოგრაფმა გიორგი მცირემ, რომლის ნაშრომსაც პროფესორი ელენე მეტრეველი ასე აფასებდა: *„გიორგი მცირის მიერ დანერგილი გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება“ არის ქართული პროზის ერთი უბრწყინვალესი ნიმუში, რომელიც აგიოგრაფული ძეგლის ტრადიციულ ჩარჩოებში ვერაფრით ვერ თავსდება.“*³⁷

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, გიორგი მთაწმინდელის მიერ იმპერატორის წინაშე წარმოთქმული სიტყვის სრულად მოხმობა აუცილებლად ჩავთვალეთ:

³⁴ Nicol M. Donald. The Byzantine View of Western Europe. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291. Leideo. 1975. გვ. 330

³⁵ A. Papadakis. Ecumenism in the thirteenth century: The Byzantine case. ST. Vladimir's theological quarterly. გვ. 207

³⁶ Маркевич августин. Униатство: богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. М. 2003. გვ. 6-7

³⁷ მეტრეველი ე. ქართული კულტურის დიდი კერა. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. არტანუჯი. 2007. გვ. 39

„ინყო მეფემან კითხვად შჯულისათჳს მართლ-მადიდებელთადჳს ანუ: „თუ არს რად განყოფილებაჲ სარწმუნოებისა თქუენისად სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა?“ ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მალლად და ღმრთივ - ბრწყინვალედ წარმოთქუა სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისად, რომელ განაკურვა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი, და ჰრქუა მეფესა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისად, და რაჟამს ერთგობის გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხელ გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“. ხოლო განკურდა მეფე, ესმა რად ვითარმედ: „არღარა მიდრეკილ ვართო“, და ჰრქუა ბერსა: „მადლი ღმერთსა, ვითარ მრავალი უღარესი ვიხილე თქუენ შორის, გარნა, პატიოსანო მამაო, მე კაცო ვარ სამჯედრო საქმეთა შინა აღზრდილი და ვარ ყოველსა, ხოლო ან, ვინადგან კუერთხი მეფობისად მე მიპრიეს, მნებაჲს, რადთა ყოველსა მეცნიერ ვიყო ბერძენთა და ჰრომთასა; რამეთუ, პირველ ყოვლისა მართლმადიდებლობაჲ იძიების მეფეთაგან, მაუნყე, ვითარ არს ესე, რომელ ჩუენ და თქუენ მფუანითა ვწირავთ და ზედაშესა წყალსა ურთავთ, ხოლო ჰრომნი ჳმეადითა და ურწყოდთა წირვენ? ფრიად უცხო მიჩნს ესე საქმე და ურთიერთარს წინააღმდეგომ, ანუ რად არს ძალი პურის-ცომისა და მარილისად, რომელ ურთავთ ცომსა, ანუ წყალი, რომელ ურთავთ ზედაშესა? განგვიმარტე და გულისჳმა-გჳყავ, წმინდაო მამაო!

ხოლო ნეტარმან მიუგო, ვითარმედ: „ჴ მეფეო, ვინადგან ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრეკეს, ამისთჳსცა მსგავსად თქუენსა ღმრთის-მსახურთა მეფეთა წმინდანი კრებანი შემოკრიბნეს და წულილად გამოიძიეს განგებულებისათჳს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა და ჳორციელად გამოჩინებისათვის მისისა... ხოლო ჰრომთა, ვინადგან ერთგობის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის. და ვითარცა - იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლოდ იგი მსხუერპლი და, უმეტესად-ღა, ვითარცა თვთ თავადმან უფალმან მისცა მონაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არარად არს ამას შინა განყოფილებაჲ, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს. ხოლო მთავართა მათ ჰრომთა დიდად განიხარნეს, რამეთუ კვალადცა

*ყოფილ იყო ამის პირისათვის ძიებად მათ შორის და უსწავლელობითა ვერ სიტყვა ევო მეფისადა. და ეტყოდეს წმიდასა: ნარგიყვანოთო წინაშე წმიდისა პაპაჲსა.*³⁸

კონსტანტინე დუკა გიორგი ათონელს, პირველ რიგში, ეკითხება იმას, არის თუ არა „განყოფილება“ სარწმუნოების მხრივ მცხეთასა და კონსტანტინეპოლს შორის. რაზეც წმინდანისგან უარყოფით პასუხს იღებს. ამასთანავე, გიორგი მცირეს შენიშვნით გიორგიმ იმპერატორს და კრებაზე შეკრებილ მთავრებს მართალი სარწმუნოებაც გააცნო, თუმცა რატომღაც ბიოგრაფი თავს იკავებს გიორგი მთაწმინდელის სიტყვების ციტირებისგან. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ „სარწმუნოებად მართალი“ არ განსხვავდება იმ დროს ცნობილი ფორმულისაგან. აქედან გამომდინარე, გიორგი მცირე საჭიროდ აღარ თვლის მის გამეორებას.

როცა ბერძნები გიორგი ათონელს თავის ერთმორწმუნედ თვლიდნენ არც შემცდარან, რადგან იმპერატორის კითხვის პასუხად არის თუ არა „განყოფილება“ თქვენსა და „უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა“ იგი თავადვე აღნიშნავს: „ღმრთივ-ბრწყინვალედ წარმოთქუა სარწმუნოებად მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისად. ესე არს სარწმუნოებად მართალი ნათესავისა ჩუენისად და რაჟამს ერთგზის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, ვინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს.“ მიუხედავად ამისა ჩნდება ლოგიკური კითხვა რაში დასჭირდა იმპერატორს ამ კითხვის დასმა? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას ოდნავ მოგვიანებით შევეცდებით, მაშინ, როცა გიორგი ათონელის პროლათინურობის მიზეზის ახნას შევეუდგებით.

გიორგი მცირეს მიერ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან მოთხრობილ ამ მონაკვეთს თავიდანვე ღილი ყურადღება მიექცა. მას მეცნიერების მხრიდან სხვადასხვაგვარი შეფასება მიექცა. მაგალითად, კორნელი კეკელიძეს მიაჩნდა, რომ „საქართველო აღნიშნულ ეპოქაში არ იზიარებდა საბერძნეთის რიგორისტულ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ, აქ იმთავითვე ბატონობდა მეორე

³⁸ გიორგი მცირე. ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისად. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). რედ. აბულაძე ი. ტ. II. თბ. 1967. გვ. 178-180

მიმართულება - ლიბერალურ - სპირიტუალური,“ რომლის მკვეთრად გამოხატველიც გიორგი მთაწმინდელი იყო.³⁹

პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი აღნიშნავს, რომ გიორგი მთაწმინდელის „კონსტანტინეპოლში კონსტანტინე X-სთან ვიზიტის დროს გამოკვეთილად ჩანს მისი კრიტიკული დამოკიდებულება აღმოსავლეთის ეკლესიების მიმართ და უპირატესობას ანიჭებს ქართულ და რომაულ ეკლესიებს.“⁴⁰

მკვლევარი დავით თინიკაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში დაასკვნის: „გიორგი მთაწმინდელის მიერ ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე დუკას წინაშე წარმოთქმული სიტყვა, იმ დროს არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, აშკარად პროლათინური შინაარსით გამოირჩევა.“⁴¹

ბოლო წლებში, გამოითქვა საწინააღმდეგო შეხედულებებიც, კერძოდ, მკვლევარი გიორგი მაჭარაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში შენიშნავს, რომ კორნელი კეკელიძის, ელენე მეტრეველის, მურმან პაპაშვილისა⁴² და გიორგი მთაწმინდელის სიტყვის სხვა პროლათინური გაგების მოხრეთა შეფასებები „არ არის სწორი, რადგან გიორგი ათონელსა და საერთოდ ქართველებს ბერძნების ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდათ რომის ეკლესიისა და დასავლელი ქრისტიანებისადმი.“⁴³

მოხმობილი ციტატებიდან ცხადად ჩანს, რომ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი გიორგი მთაწმინდელის სიტყვებში სრულიად მართებულად ვერ ხედავს ანტიდასავლურ პათოსს. მიუხედავად ამისა, შევეცდებით ამ საკითხის ირგვლივ დარჩენილ კითხვის ნიშნებს ბოლომდე გავცეთ პასუხი და კიდევ უფრო გავამყაროთ აზრი იმის შესახებ, რომ გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორის წინაშე პროდასავლური პოზიცია დაიკვა.

კონსტანტინე X დუკა გიორგი ათონელს დასავლურ და აღმოსავლურ ეკლესიებს შორის განსხვავებასთან დაკავშირებით ორ შეკითხვას უსვამს. 1. „*მაუნყე, ვითარ არს ესე,*

³⁹ კეკელიძე კ. ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან: ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 4, თბ., 1957, გვ. 139

⁴⁰ მამისთვალიშვილი ე. საქართველო - რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (10546). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010-2011. გვ. 87

⁴¹ თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI - XIII საუკუნეებში. თბ. 2015. გვ. 217

⁴² პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ. 1995. გვ. 68-69

⁴³ მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. 2014. თბ. გვ. 77

რომელ ჩუენ და თქუენ მეუანითა ვწირავთ და ზედაშესა წყალსა ურთავთ, ხოლო ჰრომნი ჳმეადითა და ურწყოდთა წირვენ?“ და 2. „რად არს ძალი პურის-ცომისა და მარილისად, რომელ ურთავთ ცომსა, ანუ წყალი, რომელ ურთავთ ზედაშესა?“⁴⁴

პირველ შეკითხვაზე გიორგი მთაწმინდელი იმპერატორს მიუთითებს არათუ დასავლური ეკლესიის გადახვევებზე, არამედ აღმოსავლეთისაზე, შეახსენებს რა კონსტანტინე X-ს იმ მწვალებლობებს, რომლებიც აღმოსავლეთის ეკლესიაში შევიდა. ამ ერესების ჩამონათვალს გვაძლევს დავით თინიკაშვილი თავისი საღირსეტაციო ნაშრომის ერთ-ერთ თავში. მათ შორის იგი მოიხსენიებს არიანელობას, მონტანიზმს, ნესტორიანელობას, პელაგიანურ და მონოთელიტურ ერესებს, ხატმებრძოლეობას და სხვა.⁴⁵ ამის საპირწონედ წმინდანი არაფერს ამბობს დასავლეთში გავრცელებულ ერესებზე, რადგან მას მიაჩნია, რომ „ჰრომთა ვინადგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებად შემოსრულ არს მათ შორის.“⁴⁶

როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელს მიაჩნდა, რომ ბიზანტიელებისაგან განსხვავებით, ლათინებსა და ქართველებს გვაერთიანებდა ერთგზის ნაცნობი ღმერთის უცვლელობა. არც საქართველოში და არც დასავლეთში არ გავრცელებულა „წვალება“, ანუ ერესი. შესაბამისად, „ჭეშმარიტებისაგან მიუდრეკელ“ ლათინებს არ დასჭირვებიათ ევქარისტის ისე გართულება, როგორც ეს ბერძნება გააკეთეს. ეს უკანასკნელნი იძლებულნი იყვნენ „წვალებების“ წინააღმდეგ ბრძოლა ევქარისტის ღვინოსა და პურში აესახათ. სწორედ ამიტომაც სწირავდნენ ისინი „მეუანითა“ და „ზედაშესა წყალსა“ ურთავდნენ.

გიორგი მთაწმინდელის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ბიზანტიურ ეკლესიასთან მიმართებაში ქართულ და ლათინურ ეკლესიას უპირატესობას ანიჭებს. იმპერატორისთვის ნათქვამიდან აგრეთვე შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლურ ეკლესიაში დამკვიდრებულ „ფილიოკვეს“ იგი არ აღიქვამდა მწვალებლობად, არამედ,

⁴⁴ გიორგი მცირე. ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისად. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). გვ. 179

⁴⁵ თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI - XIII საუკუნეებში. თბ. 2015. გვ. 149-154

⁴⁶ გიორგი მცირე. ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისად. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). 179

როგორც უბრალო „ფორმალურ განსხვავებას“, რომელიც გავლენას არ ახდენს სარწმუნოების შინაარსზე.“⁴⁷

მიუხედავად ამ ცხადი პროკათოლიკური განცხადებისა, კვლავაც რჩებიან მეცნიერ-მკვლევრები, რომელთაც ეჭვი ეპარებათ გიორგი მთაწმინდელის პროდასავლურობაში. ერთ-ერთი მათგანია გიორგი მაჭარაშვილი, რომელიც დასახელებულ ნაშრომში სვამს შემდეგ კითხვას: „თუკი ეს სიტყვები მართლაც პროკათოლიკურია, თუკი გიორგი ათონელი ასე ღიად უჭერდა მხარს კათოლიკურ რომს... მაშინ რა მოეწონათ ბერძნებს მის ნათქვამში? მართლაც უცნაურია, რანაირად მიაჩნდათ ბერძნებს გიორგი ათონელი თავის ერთმორწმუნედ, თუკი იგი ასე აშკარად იხრებოდა რომის მხარეს?“⁴⁸

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის მიერ მოტანილ ცნობაში საერთოდ არ ჩანს ის ფაქტი, რომ ბერძნებს და კონკრეტულად იმპერატორ, კონსტანტინე დუკას გაუხარდა ანდაც კმაყოფილი დარჩა წმინდა მამის მიერ ნათქვამი სიტყვებით. სამაგიეროდ, კარგად ჩანს, ის რომ „მათ ჰრომთა დიდად განიხარეს“. გიორგი მთაწმინდელის სწორედ შერჩეული არგუმენტებით მოხიბლულმა ლათინმა ბერებმა განიხარეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ ქართული ეკლესიის და მთლიანად აღმოსავლეთის ერთ-ერთმა უდიდესმა ავტორიტეტმა მათი პოზიცია დაიცვა, არამედ იმიტომაც, რომ მათ „უსწავლელობითა ვერ სიტყვა ევო მეფისადა“, ხოლო ათონელი მამის დამაჯერებელი გამოსვლა მათ ჭეშმარიტებას შესაბამისი დასაბუთებით ნათელყოფდა. გარდა ამისა, „მთავართა“ გიორგი მთაწმინდელის რომის პაპთან წაყვანა მოინდომეს. ლოგიკურია, რომ თუკი ლათინები გიორგი მთაწმინდელის სიტყვებში ანტილათინურ პათოსს შენიშნავდნენ არც პაპთან წაყვანას გადანყვეტდნენ და არც ფრიად განიხარებდნენ.

ამდენად, გიორგი მაჭარაშვილის მიერ მოცემული წყარო ცალმხრივადაა გააზრებული. იგი საერთოდ არ განიხილავს ზემოთ მოყვანილი ციტატის ბოლო ნაწილს, სადაც საუბარია ლათინი „მთავრების“ სიხარულზე და გიორგი მთაწმინდელის პაპთან წაყვანაზე.

⁴⁷ ჯაში ზ. გიორგი მთაწმინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე, კრებ: აღმოსავლურ - დასავლური ქრისტიანობა. თბ. 2009. გვ. 133

⁴⁸ მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. გვ. 71

რაც შეეხება იმპერატორის სიხარულს, იგი დაკავშირებულია არა გიორგი ათონელის მიერ ლათინებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებასთან, არამედ ქართველთა და ბერძენთა ერთმორწმუნეობის ხაზგასმასთან.

ახლა შევეცდებით დავადგინოთ, გამოხატავდა თუ არა გიორგი მთაწმინდელი ქართველი ერის სათქმელს, როდესაც ლათინებს იცავდა და პირიქით ბიზანტიის ეკლესიას უტევდა? და თუ კი, რა იყო ამის მიზეზი, ან მიზეზები?

გიორგი მცირეს მიერ დანერგილი თხზულების, „ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ“- ს XXV თავში ვკითხულობთ: „*მაშინ წარიკითხნა (იმპერატორმა. გ.ე.) წიგნნი სევასტოსისანი, რომელითა შინა წერილ იყო, ვითარმედ: „გიხაროდენ, შ ღმრთის - მოყუარეო მეფეო, წარმომივლინის წინაშე მეფობისა შენისა კაცი, მიმსგავსებული უსხეულოთაჲ, და მოძღუარი ჩუენი ყოველთაჲ, ეგრეთ შეინყნარე, ვითარცა შუენის მეფობასა შენსა, რომლისა ლოცვითა დაამყარენ ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მპყრობელი წმიდაჲ მეფობაჲ შენი!“⁴⁹*

მოხმობილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინეპოლში ბაგრატ IV - მ წარავლინა და თან გაატანა წერილი, სადაც იწერებოდა, რომ ეს უკანასკნელი ყველა ქართველის მოძღუარი იყო. განა შეიძლება, რომ ქართველთა მოძღუარს უკუეგდო უმაღლესი საერო ხელისუფალისა და ქართველი ხალხის შეხედულებანი და მათი აზრის წინააღმდეგ წასულიყო? ჩვენი აზრით, ეს წარმოუდგენელია, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ გიორგი მთაწმინდელი ბიზანტიის იმპერატორის წინაშე მთელი ქართული ეკლესიის სახელით საუბრობდა.

სანამ პროლათინური ორიენტაციის მიზეზების ახსნაზე გადავიდოდეთ გვინდა დავიმოწმოთ აკად. ელენე მეტრეველის შეფასება წმინდა გიორგი მთაწმინდელის პიროვნებისა. ის აღნიშნავდა: „*ავტორის (გიორგი მცირე. გ.ე.) მიზანია დახატოს არა წმინდანის სახე, არამედ სახე დიდი მასშტაბის სახელმწიფო და ეროვნული მოღვაწისა, რომელიც ზრუნავს როგორც ქართული მწერლობის განვითარებაზე, ასევე ქართული სახელმწიფოს გაძლიერებაზე ქართული საზოგადოებრივი და საეკლესიო ცხოვრების*

⁴⁹ გიორგი მცირე. ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისაჲ. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). გვ. 178

გამოჯანსაღების გზით, ადამიანის ზნეობრივი განწმენდისა და ამაღლების გზით, ვინაიდან მაღალი ზნეობის მქონე მოქალაქესა და საზოგადოებაში ხელავს გიორგი თავისი ქვეყნის წინსვლის საწინდარს.⁵⁰ ამ შეფასების მართებულობა სრულად გამოჩნდება ქვემოთ განხილულ მაგალითებში.

გიორგი მთაწმინდელის პოზიციის მიზეზების გასაგებად აუცილებელად მიგვაჩნია XI საუკუნის ბიზანტია - საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა.

XI საუკუნისთვის მახლობელ აღმოსავლეთში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ბიზანტიას არაბთა სახალიფოს სახით აღარ ჰყავდა სერიოზული მეტოქე. ძლიერი სახალიფოს ნანგრევებზე წარმოქმნილი ისლამური საამიროები კი ბიზანტიას საკადრის წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. შესაბამისად იმპერიისთვის საქართველოს შემდგომი გაძლიერება მომხიბვლელი აღარ ჩანდა, პირიქით შეიძლება მის ჰეგემონობას ამიერკავკასიაში საფრთხე დამუქებოდა თუ საქართველო ძალების მოკრებას გააგრძელებდა. ბიზანტიის იმპერატორები მაქსიმალურად ცდილობდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ და საქართველოს დეცენტრალიზაციისთვის შეეწყობათ ხელი. ამის ნათელი გამოვლინებაა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი ფეოდალების მოსყიდვა და გადაბირება გახლდათ. რომ არა ბიზანტია ლიპარიტ ბაღვაში ვერ შეძლებდა სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია ბაგრატ IV-თვის.⁵¹

სეპრატისტული ძალების მხარდაჭერა ბიზანტიის მხრიდან, რა თქმა უნდა, ყურადღების გარეშე არ დარჩებოდათ არც სასულიერო პირებს, მათ შორის გიორგი მთაწმინდელსაც. „*საქართველო - ბიზანტიის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ გამოიწვია საეკლესიო*

⁵⁰ მეტრეველი ე. ქართული კულტურის დიდი კერა. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. არტანუჯი. 2007. გვ. 39

⁵¹ მამისთვალისძვილი ე. საქართველო - რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054წ). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010-2011. გვ. 85. ლორთქიფანიძე მ. მონარქიის საგარეო პოლიტიკა (Xს. დადასრ. - XI ს. 60 იანი წლები). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. თბ. 1979. გვ.170-172

ურთიერთობების გართულებაც: დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ ქართველი და ბიზანტიელი სამღვდელთა.⁵²

ვიზიარებთ რა ელენე მეტრეველის მიერ გიორგი მთაწმინდელის პიროვნების ადეკვატურ შეფასებას მიგვაჩნია, რომ გიორგი ათონელი იმპერატორის წინაშე საუბრისას, პირველ რიგში, მოქმედებდა როგორც სასულიერო პირი, რომელიც მომსწრე იყო ბიზანტიელთა ქართველებზე პოლიტიკური ქედმაღლობისა და რელიგიური ცილისწამებისა, რასაც აუცილებლობიდან გამომდინარე უფრო ვრცლად შევეხებით.

ბერძენებს სურდათ ქართველი ბერების გამოძევება საბერძენთის ტერიტორიაზე არსებული მონასტრებიდან, მათ შორის იყო ათონიც. 1019-1029 წლებში მათ იერიში მიიტანეს მონასტერზე. ამ დროს ათონის წინამძღოლი გიორგი ვარაზვაჩე იყო. ამ უკანასკნელს იმპერატორის ღალატი დააბრალებს და მონოვატის კუნძულზე გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1029 წელს. ათონზე შექმნილი მძიმე ვითარებით ბერძენებმა ისარგებლეს და მონასტერი სამჯერ გაძარცვეს.⁵³

ბერძენების მხრიდან ქართველების შევიწროვება აქ არ დასრულებულა. მათ ამჯერად სვიმონწმინდის მონასტერს შეუტიეს. ამის შესახებ თავად გიორგი ათონელის ბიოგრაფიკ მოგვითხრობს. წყაროს მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვახდენთ მის სრულ ციტირებას გიორგი მცირეს თხზულებიდან:

„...კაცნი ვინმე სუმონ-წმინდელნი შურითა საეშმაკოდთა⁵⁴ აღიძრნეს ჩუენ ქართველთა გუდა, და ენება, რადთამცა ნათესავი ჩუენი ძირითურთ აღმოჰვებურეს სუმონ-წმიდით. და განიზრახეს გულარძნილებით, რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბინი რადმე დასწამონ, და ესრეთმცა სრულიად აღმოგუფებურნეს დიდებულსა ამისგან ლავრისა პირველითგან თვთ წმიდისა სუმონის მიერ დამკვდრებულნი. და ესრეთ ბოროტად შეიზრახნეს და წარვიდეს თევდოსი პატრეაქისა წინაშე, ვითარცა ახლად შემოსრულისა და ნუთ უმეცარისა, და დაცკვეს წინაშე მისსა, რეცა მომჭირნედ, და ჰრქუეს

⁵² მამისთვალშილი. ე. საქართველო - რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054წ). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010-2011. გვ. 86

⁵³ მამისთვალშილი. ე. საქართველო - რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054წ). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010-2011. გვ. 87 წლები). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. თბ. 1979. გვ.285 (?)

⁵⁴ ხაზგასმა ყველგან ჩემია გ.ე.

მას: „შეგუენიენ, წმიდაო მეუფეო, და გვჯსნენ დიდისა ჭირისაგან და განგუათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხოთესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა შუენსა ვითარ სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ-იდებენ თავთა თვსთა, და არა უნციოთ, თუ რასა ზრახვენ, ანუ რად არს სარწმუნოებად მათი, და ესრეთ დორიასად ზოგი მონასტრისად დაუპყრიეს.“ და ესმა რად ესე პატრეაქსა, დაუკვრდა და ჰრქუა მათ: „და ვითარ ეგების ესე, რომელმცა ქართველნი არა მართლმადიდებელი იყვნეს,“ რამეთუ წუთ უმეცარ იყო ნათესავისა ჩუენისა. ხოლო იგინი დაუმტკიცებდეს, და რეცა უკეთურებისა საფარველად ჰრქუეს მას, ვითარმედ: „არა უნციოთ, თუ ქართველნი არიან ანუ სომეხნი და ვერცა ხუცესი მათი უამსა წირავს მონასტერსა შინა ჩუენსა!“ ... და კაცთა მათ ამაოთა პატრეაქსა ესე გააგონეს, ხოლო იგი განცვბრდა ამას ყოველსა ზედა და ჰრქუა მათ: „არა ვინ არსა ნათესავსა მათსა შორის ბერძნულისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული?“ ხოლო მათ, უნდა თუ არა. აღიარეს, ვითარმედ: „ჰე, არს ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი და ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის,“ მაშინ პატრეაქსან მსწრაფელ ბრძანა მოყვანებად ბერისად. ხოლო ვითარცა შევიდა ბერი წინაშე მისსა, მოიკითხა პატივით და უბრძანა დაჯდომად. და ინყო უბნობად ბერისა ღმრთივ-სულიერთა წიგნთაგან, და რასა-იგი ჰკითხვიდა, ყოველსავე ღმრთივ-შუენიერად მიუგებდა. მაშინ გულისჯმა-ყო პატრეაქსან, ვითარმედ მაღლი ღმრთისად დამკვდრებულ არს მის თანა. და ჰრქუა ესრეთ ბერსა: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სინმინდე შენი. და აჰა ესერა, გხედავ მონყალეებითა ღმრთისადთა, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვთა კულა ყოველთა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ, ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათვს, - არსა რად ნაკლულეგანებად მართლისა სარწმუნოებისად მათ თანა ვინა ურთიერთარს განყოფილებად მათ შორის და ჩუენ შორის?“ ხოლო ნეტარმან მან გამოისახა სასწაული პატიოსნისა ჯუარისად პირსა თვსსა და ინყო წარმოთქუმად მართლისა სარწმუნოებისა ესრეთ, რომელ განაკვრვნა მსმენელნი, რამეთუ სული წმინდად იტყოდა პირით მისით. მაშინ პატრეაქსან ბრძანა: „კურთხეულ არს ღმერთი! ვიეთნიმე ნაკლულეგანებასა სწამებდეს ქართველთა, და აჰა ესერა, მრავლითა სახითა უმეშთაეს იპოვნეს ჩუენსა და უფროდს ხოლო ქალწულებითა, რომელი - იგი მაღლად უპყრიეს მათ.“ და ყოველნივე ეწამებოდეს, რამეთუ იყვნეს მეტროპოლიტნი და

ებისკოპოსნი და წარჩინებულნი ანტიოქისანი, ყოველთავე აღიდეს ღმერთი და წმიდასა ამას ქებაჲ შეასხეს და ნეტარებაჲ. ხოლო პატრეაქმან ცუდის-მზრახთა მათ და ამათა კაცთა სუმეონ-წმიდელთა ფრიად შეჰრისხნა და კანონსა ქუეშე საეკლესიოსა შეყარნა და სხუასაცა მრავალსა ძვრსა უთქუმიდა...“⁵⁵

მოხმობილი ვრცელი ციტატიდან ვასკვნით, რომ „კაცნი ვინმე სუმონ-წმინდელნი“ ქართველებს ბრალს სდებდნენ მონოთეიზიტობაში, ამას მოწმობს სიტყვები: „არა უწყით, თუ ქართველნი არიან ანუ სომეხნი.“ ათონის მთაზე დანყებული მტრობა ბერძნებსა და ქართველებს შორის, როგორც ვხედავთ, შავ მთაზეც გავრცელდა. ამჯერად, ბერძნები ქართველებს ბრალად სომეხთა რწმენაში სდებდნენ და ანტიოქიის პატიარქისგან, თევდოსისგან სათანადო რეაქციას ელოდნენ.

როგორც ჩანს, ქართველებისათვის მწვალებლობის დაბრალდება იხეთი სახე მიიღო, რომ პატიარქმა მოითხოვა სიმართლის დასადგენად საკუთრივ ქართველი ღვთისმსახურისაგან მოესმინა ჩვენი სარწმუნოების შესახებ, ამისთვის კი თავისთან იხმო გიორგი ათონელი. ამ უკანასკნელის სიტყვებმა პატრიარქი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ ქართველებს მწვალებლობაში ბრალს ტყუილად სდებდნენ და მათ მისცა სვიმონწმინდაში უამის წირვის უფლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შევეცდებოდით გაგვეცა იმ კითხვისთვის პასუხი, თუ რატომ დასჭირდა იმპერატორ კონსტანტინ X-ს გიორგი მთაწმინდელისთვის შემდეგი შეკითხვის დასმა: „არს რაჲ განყოფილებაჲ სარწმუნოებისა თქუენისაჲ სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენტასა თანა?“. ჩვენი აზრით, თუ გავივალისწინებთ სვიმონწმინდის მონასტერში დატრიალებულ ამბებს, ცხადი გახდება, თუ რატომ დაინტერესდა იმპერატორი ქართველთა და ბიზანტიელთა ერთმორწმუნეობის საკითხით. მან იცოდა, რომ ქართველებს მწვალებლობაში, ანუ მსგავსად სომეხებისა მონოთეიზიტობაში ედებოდათ ბრალი, სხვა შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ იმპერატორის ეს კითხვა მსგავს გარემოში კონსტექსტიდან ამოვარდნილი იქნებოდა.

⁵⁵ გიორგი მცირე. ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). გვ. 149-152

ამის შემდეგაც ბერძნები კვლავ განაგრძობდნენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას. ამჯერად შემოტევის საგანი საქართველოს ეკლესიის უდიდესი მონაპოვარი - ავტოკეფალია გახდა, რის შესახებაც გვამცნობს გიორგი მცირე:

„...კაცთა ვიეთმე მრავალღონეთა და მანქანათა მოაჭსენეს და აუნყეს პატრეაქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიაქისა ჯელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან, და თვთ დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა. და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა. და ჯერ-არს, რადთა ქალაქსა ამას ღმრთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისსა ჯელმწიფებასა ქუეშე იყვნენ. რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსოდ მცირე; და ჩუენდა მახლობლად არიან და ჯერ-არს, რადთა ჯელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელი პატრეაქისასა იმწყსებოდინ, და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს!“ ესე ყოველი განიზრახეს და დაამტკიცეს, რეცა უმეცრებასა ჩუენისათჳს. ხოლო წინააღმდეგომი შეემთხვა, რამეთუ ინყო პატრეაქმან სიტყუად ბერისა, ვითარცა ესერა აღვკვნერია, და ეტყოდა რომელსამე ლიქნით და რომელსამე მართლად, ვითარმედ: „შენ, მ ნეტარო მამაო, დაღაცთუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ. ჯერ-არს, რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღუარნი თქუენნი ჯელსა ქუეშე სამოციქულოდსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ, და ჰმართებესცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისადთა. და ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უნცი, ვითარმედ ვისმენს მეფე თქუენი, უკუეთუ, მიუნერო და აუნყო უმჯობესი. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიუნერო ოთხთავე პატრეაქთა საყდრის-მოდგამთა ჩუენთა და ვაუნყო თვთრჩულობად და ქედფიცხ[ე]ლობად ნათესავისა თქუენისად, და ვითარმედ თვნიერ სამოციქულპოდსა კანონისა თვთ იმწყსებიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა, და ესრეთ მრავალსა ლუანლსა შეგთხინე, ვიდრე არა თვთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ჯელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოს!...“ გიორგი მთანმინდელმა ანტიოქიის პატრიარქს მიუგო: აჰა ესერა, ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთად, მე მოვცე მათ ყოველთა წილ პასუხი. მოღებად ესე წიგნი „მიმოსვლად ანდრეა

მოციქულისად“ და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენი“. ხოლო პატრეაქმან უბრძანა თეოფილეს, ნათესავით ქართველსა, რომელი-იგი უკანაღსკნელ ტარსუს მიტროპოლიყ იქმნა, მოღებად წიგნისად მის, და ვითარ მოიღეს, პირველ წარკითხვისა ჰრქუა ბერმან პატრიაქსა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებულისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარ-გვყოფიეს, და არცა ოდეს ნვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და ვსწყევთ... და, რეცა განცხრომით, ჰრქუა პატრიაქსა: „წმინდაო მეუფეო, შეუენის ესრეთ, რათა წოდებულ იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!“ და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგე ჩუენ უმეცრად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე ვიყოფიან; იყო უამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართალმადიდებლობაჲ არაჲ იპოვებოდა და იოვანე გუთელ ებისკოპოსი მცხეთას იკურთხა ებისკოპოსად, ვითარცა სწერია ღიღსა სვნაქსარსა.“⁵⁶

მოცემული ციტატა ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორც იმის დასადგენად, რომ ბერძნები ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ასევე იმისთვისაც, რომ ვცხადყოთ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი დებულება, რომლის მიხედვითაც „ღიღი სქიზმა“ მოხდა არა აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან, არამედ უშუალოდ კონსტანტინეპოლთან.

როგორც ვხედავთ, ბერძნებმა ერთხელ დამარცხება არ იკმარეს და ამჯერად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას შეუტყეს. მათ მოითხოვეს მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვა და დამორჩილება ანტიოქიის საპატრიარქოსადმი. მათი პრეტენზიები

⁵⁶ გიორგი მცირე. ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს). გვ. 152-154

სრულიად უსაფუძვლო იყო და ემყარებოდა არასწორ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც საქართველოში არცერთს „ათორმეტთა მოციქულთაგან“ არ უქადაგნია ქრისტიანობა. ამასთანავე, ისინი აღნიშავდნენ, რომ ქართველები მცირე სამწყსოს წარმოდგენენ და ამავე დროს უმეცარნი არიან. ასე, რომ უკეთესი იქნება თუ ისინი ანტიოქიის პატრიარქს დამორჩილდებიანო.

გიორგი ათონელმა ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. მან მოატანინა პატრიარქს წიგნი – „მიმოსვლაჲ ანდრეა მოციქულისაჲ“. რატომ მაინცადამაინც – „მიმოსვლაჲ ანდრეა მოციქულისაჲ“ და არა რომელიმე ქართული საისტორიო წყარო? ამის მიზეზი, მარტივია ბერძნები მარტივად გააბათილებდნენ ქართულ წყაროებს და სადავოს გახიდნენ მის ავთენტურობას, ხოლო „იურიდიულად უდავო დოკუმენტის“ გაბათილება მათთვის ბევრად რთული, შეუძლებელიც კი იქნებოდა.⁵⁷

გიორგი ათონელმა ცხადყო, რომ ანდრეა პირველწოდებულმა საქართველოში იქადაგა ქრისტიანობა, ხოლო სვიმონ კანანელი აფხაზეთში ყოფნისას გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. ამის შემდეგ იგი პირიქით თავდაცვიდან შეტევამდე გადავიდა.

ქრისტემ მოციქულებს შორის პირველად სწორედ ქართველთა მქადაგებელ ანდრია პირველწოდებულს მოუწოდა სამოღვაწეოდ, ხოლო, თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა თავისი ძმა პეტრეც დაუმონაფა იესოს. რიგითობის შესაბამისად, გიორგი მთაწმინდელის მოთხოვნით, ბერძნული ეკლესიაც ქართულს უნდა დამორჩილებოდა.⁵⁸ ბერძნული ეკლესიის ქართულთან შედარებით დაბლა დგომას გამოხატავდა გიორგი ათონელი მაშინაც, როდესაც მიუთითებდა იმაზე, რომ მაშინ, როცა საბერძნეთში „მართალ-მადიდებლობაჲ არა იპოვებოდა“ იოანე გუთელი ეპისკოპოსად ეკურთხებოდა მცხეთაში. თავისი არგუმენტირებული მსჯელობით, წმინდანმა ბრწყინვალედ დაიცვა ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიურობა.

გიორგი მთაწმინდელი, ისევე, როგორც შემდეგ ბიზანტიის იმპერატორ, კონსტანტინე X დუკასთან საუბარში ქართველთა მწვალებლობის გამო ანტიოქიის პატრიარქის წინაშეც

⁵⁷ ტყემელაშვილი ლ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი. 2012. გვ. 110

⁵⁸ ტყემელაშვილი ლ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი. 2012. გვ. 111

განაცხადა, რომ ქართველებმა, რაც პირველად იცნეს ლმერთი აღარ მიდრეკილან მწვალებლობისადმი და ყოველთვის სწყევლიან და შეაჩვენებენ ყველა ერესს.

ციტატიდან ვასკვნით, რომ თუ საქართველოს სასულიერო და საერო ხელისუფლება ანტიოქიის პატრიარქის გადანყვეტილებას არ სცნობს და შეენინააღმდეგება მაშინ იგი „*მიუწერო ოთხთავე პატრეაქთა საყდრის-მოდუანტა ჩუენთა და ვაუნყო თვთრჩულობაჲ და ქედფიცხლობაჲ ნათესავისა თქუენისაჲ.*“⁵⁹ რომელ ოთხ პატრიარქს გულისხმობდა ანტიოქიის პატრიარქი თეოდოსი?

ამ საკითხთან დაკავშირებით, მართებულად მიგვაჩნია, პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის მოსაზრება. „*როგორც ჩანს, აღმოსავლეთის სხვა საპატრიარქოებს (ყოველ შემთხვევაში ანტიოქიის საპატრიარქოს მაინც) ჯერ კიდევ არ აქვთ გაზიარებული კონსტანტინეპოლის პოზიცია (ისინი ხომ იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ) და ისინი ჯერ კიდევ არ არიან რომთან გათიშულნი.*“⁶⁰

მართლაც, წინამდებარე წყარო გვარწმუნებს, რომ ამ დროს ანტიოქიის საპატრიარქო არ იზიარებდა კონსტანტინეპოლის პოზიციას სქიზმასთან დაკავშირებით, სხვა შემთხვევაში პატრიარქი თავის მხარდამჭერებს შორის იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქებთან ერთად რომის პაპს არ მოიაზრებდა, თვითონ ხომ მეხუთე იყო.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1063 თუ 1064 წელს კონსტანტინე X -ის წინაშე წარმოთქმული პროლათინური სიტყვის უკან იმალებოდა როგორც პოლიტიკური ასევე რელიგიური მიზეზები. მართალია, გიორგი მთაწმინდელი მიიჩნევდა, რომ ქართველები და ბერძნები ერთმორწმუნეები იყვნენ, მაგრამ მათ მაინც მტრად აღიქვამდა, რადგან ისინი ცდილობდნენ როგორც საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას, აგრეთვე რელიგიურადაც ავინროვებენ ქართველ ბერებს ათონსა და შავ მთაზე არსებულ მონასტრებში. ყველაფერთან ერთად ეჭვქვეშ აყენებდნენ ქართული ეკლესიის ყველაზე დიდ მონაპოვარს - ავტოკეფალიას. ბიზანტიის პარალელურად კი არის რომი,

⁵⁹ გიორგი მცირე. ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). გვ. 153

⁶⁰ მამისთვალიშვილი ე. საქართველო - რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054წ). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბ. 2010-2011. გვ. 87

რომელიც გიორგი მთაწმინდელისთვის არ არის დამპყრობელი და ამასთანავე, რომის პაპი, რომელიც კვლავ რჩება ავტორიტეტად აღმოსავლეთისათვის, კონსტანტინეპოლის გამოკლებით.

თავი II. საქართველო-რომის ეკუმენური და დიპლომატიური

ურთიერთობები XIII საუკუნის I ნახევარში

§1. ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობები

საქართველო - რომის ეკუმენურმა და დიპლომატიურმა ურთიერთობებმა, რომელიც XIII საუკუნემდე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, უკვე მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების დაწყებასთან ერთად სისტემური ხასიათი შეიძინა. ამაზე მეტყველებს რომის პაპებს ჰონორიუს III-სა და გრიგოლ IX-ის მიმონერა საქართველოს დედოფალ რუსუდანთან.

ამასთან დაკავშირებით პროფ. ალექსანდრე თვარაძე სრულიად მართებულად შენიშნავდა, რომ *„უკვე ლაშა-გიორგის დროს მძლავრი ქრისტიანული საქართველოს სამეფო დასავლეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობის უშუალო მონაწილე ხდება“*⁶¹ და შესაბამისად რომის პაპის ყურადღებასაც იპყრობს.

ნაშრომის მოცემულ პარაგრაფში ჩვენი მიზანია დავამტკიცოთ, რომ XIII-ის პირველ ნახევარში მცხეთასა და რომს შორის გაყრა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი, ის კი არა ეს საკითხი დღის წესრიგშიც არ იდგა. დიდი სქიზმიდან მოყოლებული საქართველო და რომი თანაზიარებაში იმყოფებოდნენ და მათ შორის არ მიმდინარეობდა დოგმატური დავები. პირველ რიგში, ამის მიზეზი იყო ის, რომ რომთან ეროვნული საკითხი წინ არ იწეოდა, თანაც ურიცხვი მტრების წინააღმდეგ გაუთავებელი ომები ქართველებს დროსა და საშუალებას არ უტოვებდა საფუძვლიანად ჩაბმულიყვნენ თეოლოგთა დისპუტებში.⁶² ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოგვეპოვება.

⁶¹ თვარაძე ა. საქართველო და და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბ. 2004. გვ. 129

⁶² უანენი რ. საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტ. VI, ნ. I. პარიზი. 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1996. გვ. 38 - 39

ურთიერთობის ამ ეტაპზე როგორც ნაშრომის წინა თავში ეს უკვე ვცხადყვეთ დასავლურ და ქართულ ეკლესიას შორის განხეთქილება მომხდარი არ არის. ამას განაპირობებს ის, რომ „საქართველოს სამეფო და დასავლეთი ამ დროს შეადგენენ ერთ მთლიანობას, რაც გამოიხატება საერთო რელიგიური ლაშქრობის მონყობის სურვილით,⁶³ ამასთანავე, წმინდა რელიგიური საბურველის უკან პოლიტიკური მოტივებიც იკვეთება. კერძოდ, ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. შევეცდებით, ეს პოსტულატი სხვა არგუმენტებითაც გავამყაროთ.

უნიის თეოლოგიურ ასპექტებზე საუბრისას ავგუსტინ მარკვეიჩი შენიშნავს: „XIII საუკუნეში საეკლესიო უნიამ შეიძინა სპეციფიკური თავისებურებები, რაც უმთავრესად გამონვეული იყო უნიატურ პროცესებზე პოლიტიკური ფაქტორების გავლენით“.⁶⁴ ჩვენ ვიზიარებთ მის პოზიციას და შევეცდებით საქართველოს მაგალითზე ნათლად ვაჩვენოთ ამ პოსტულატის მართებულობა.

ისტორიკოსთა ნაწილი, ისეთ მნიშვნელოვან ეპისტოლარულ ძეგლებს როგორცაა დედოფალ რუსუდანსა და რომის პაპების - ჰონორიუს III - სა და გრიგოლ IX - ს შორის არსებულ მიმოწერას, სათანადო ყურადღებას არ ანიჭებს და მასში ვერ ხედავს ქართული და რომაული ეკლესიის ერთიანობის მტკიცებას.⁶⁵

თეოლოგიის დოქტორი მიხეილ თამარაშვილი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ეპისტოლარული ძეგლები „შესანიშნავი საბუთები“ იყო „ქართველთა და რომაელთა ეკლესიების“ ერთობის მტკიცებისთვის.⁶⁶

რუსუდან დედოფლის მიერ რომის პაპისთვის მიწერილი პირველი წერილი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია უთარილოა. მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ

⁶³ თვარაძე ა. საქართველო და და კავკასია ვეროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ.129

⁶⁴ Августин Маркевич. Униатство: Богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. М. 2007. გვ. 22

⁶⁵ ისტორიკოსი მანანა ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ქართული ეკლესია რომს 1054 წელსვე გაეთიშა. ჯავახიშვილი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან IV-XIV საუკუნეებში. საღირსეცაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1997. გვ. 105. მკვლევარი გიორგი მაჭარაშვილს მიაჩნია, რომ განხეთქილება XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. სადოქტორო დისერტაცია. თბ. გვ.12

⁶⁶ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ. 1902. გვ. 7

მისი პასუხი 1224 წლის 12 მაისითაა დათარიღებული, სავარაუდოა, რუსუდანს იგი 1223 წლის მეორე ნახევრისთვის უნდა გაეგზავნა.⁶⁷ ჩვენი მიზნისთვის მოცემული წერილი ძალზედ მნიშვნელოვანია. მასში ნათლად ჩანს, რომ საქართველო წერილის დაწერის მომენტში რომის ეკლესიასთან გათიშული არ არის და მასთან თანაზიარებაში იმყოფება. სხვა შემთხვევაში რთული ასახსნელი ხდება დედოფლის მიერ წერილში გამოყენებული მიმართვის ფორმა: „უნმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფეჲ, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო საქართველოს თავმდაბალი დედოფალი რუსუდანი, ერთგული მსახური და შენი ასული ნინაჲ შენთა თავსა ვხრი და მოგესალმები.“⁶⁸

რუსუდანი რომის პაპს ყველა ქრისტიანის მეუფედ მოიხსენიებს. ლოგიკურია მცხეთასა და რომს შორის განყოფილება მომხდარი რომ ყოფილიყო, იგი პაპისთვის შემდეგ მიმართვას არ გამოიყენებდა. აგრეთვე, მიგვაჩნია, რომ ამ სიტყვების გამართლება პოლიტიკური მოტივებით ან დიპლომატიური პროტოკოლის⁶⁹ მოთხოვნით სამართლიანი არ იქნება, რადგან ამ დროს ამის არანაირი საჭიროება არ არსებობდა. რუსუდანს, როგორც ეს წერილიდანაც ჩანს, მიაჩნდა, რომ მონღოლების საფრთხე მოგერიებული იყო. პოლიტიკური მოტივების უსაფუძვლობას ვასკვნით იქიდანაც, რომ დედოფალი პაპს დაანონსებული ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ჯარის მიშველლებას ჰპირდებოდა, რაც გამორიცხული იქნებოდა თუკი საქართველოში შემოჭრის საფრთხე კვლავ იარსებებდა.⁷⁰

ამასთანავე, განყოფილის არსებობის შემთხვევაში უცნაურად გვეჩვენება წერილის შემდეგ ფრაგმენტიც: „გაუნწყებთ შენს უნმინდესობას, რომ ძმა ჩემი - ქართველთა მეფე - გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამრჩა. ასე რომ, ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშევრდომი ქრისტიანისათვის.“⁷¹ რუსუდანი პაპს კურთხევას

⁶⁷ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ. 1902. გვ. 8. წერილის დათარიღებასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება აქვს ი. ტაბალუას. მას მიაჩნია, რომ იგი უნდა დათარიღდეს 1224 წლით. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ. 1984. გვ. 77

⁶⁸ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ. 1984. გვ.176

⁶⁹ ჯავახიშვილი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან IV-XIV საუკუნეებში. გვ. 48

⁷⁰ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბ. 2019. გვ. 143

⁷¹ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ. 1984. გვ.176

სთხოვს თავისთვის და თავისი ქვეშევრდომი ქრისტიანებისთვის. ნუთუ დედოფალმა არ იცის, რომ პაპი კათოლიკური ეკლესიის მეთაურია? ნაკლებ სავარაუდოა სქიზმიდან თითქმის 170 წლის შემდეგ საქართველოს დედოფალს განყოფის შესახებ არაფერი სცოდნოდა. მაშ, რატომ სთხოვს მას კურთხევას?

ვეთანხმებით რა მიხეილ თამარაშვილს, მიგვაჩნია, რომ „*საქართველოს ეკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა არსებობდა.*“⁷² საქართველო, მსგავსად ბიზანტიისა არ დაობდა რომთან, პირიქით იგი ლოიალურად იყო განწყობილი მის მიმართ. შესაძლებელია, საქართველოს მესვეურები სულაც არ თვლიდნენ, რომ ლოიალური დამოკიდებულება სულიერად აზიანებდა ქართულ ეკლესიას, სხვა შემთხვევაში მცხეთა დიდი ხნით ადრე დაშორდებოდა რომს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ არ ვიზიარებთ მიხეილ თამარაშვილის, როგორც მეცნიერის, გიორგი მაჭარაშვილისეულ შეფასებას. იგი თავის სადისერტაციო ნაშრომში შენიშნავდა: „*ქართველოლოგიაში შეტანილი დიდი წვლილის მიუხედავად, მიხეილ თამარაშვილის შრომებს ნაკლიც აქვს, მათში აშკარად შეინიშნება კონფესიური კათოლიკობის ტენდენციური კვალი.*“⁷³

მიხეილ თამარაშვილის ნაშრომების გაცნობის შემდეგ ჩვენ ვერსად ვნახეთ, რომ იგი უპირატესობას ანიჭებდეს რომაულ თეოლოგიურ დოგმატს აღმოსავლურთან მიმართებაში. ის ფაქტებს ანიჭებს ნეიტრალიტეტს, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ იგი ისტორიული ნეიტრალიტეტის ფუძემდებელია. მიხეილ თამარაშვილი შეძლებისდაგვარად ობიექტურად აღწერდა წარსულს. იგივე პოსტულატს ვიზიარებთ კიდევ ერთ უცხოეთში მოღვაწე ქართველ - მიხეილ თარხნიშვილთან დაკავშირებით.

საქართველოსა და რომს შორის კეთილგანწყობილ რელიგიურ ურთიერთობას ამტკიცებს პაპ ჰონორიუს III - ის მიერ რუსუდანისთვის გამოგზავნილი 1224 წლის 12 მაისის წერილიც. პაპის წერილში ვკითხულობთ: „*შენი კეთილად ყოფნის ერთგულების სულისკვეთებით აღსავსე წერილი მამობრივი კეთილმოსურნეობით მივიღეთ და*

⁷² თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ. 1902. გვ. 8

⁷³ მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. 2014. თბ.16

ყურადღებით შევისწავლეთ მისი შინაარსი. ამასთანავე, უფლის მიერ დიდად განვიხარეთ იმ პატივისცემით, რომლითაც შენ ხარ განწყობილი ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი – მთელი ქრისტიანობის დედისა და მასწავლებლისადმი.. ვისურვებთ, რათა ღმერთმა, რომლის ხელშია სამეფოთა სამართალი და მათი მმართველობა, შენ და შენი სამეფო დაიკვას და მის მიმართ ზრდიდეს ყოველგვარ სიკეთეს სარწმუნოებასა და ერთგულებაში...

თუმცა ჩვენ ხორციელად თქვენგან შორს ვიმყოფებით, მაგრამ სულიერად თქვენთან ვართ. შენ და შენი სამეფოს სხვა ქრისტიანებს გულითადი თვალით ვიყურებთ და გვიყვარხართ რწმენისათვის, რომელიც თქვენ უფალ იესო ქრისტესადმი გაქვთ. მის მიმართ თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხთა გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელებში და იტანჯებით ისე, როგორც შრომანი ეკლებში, რისთვისაც დაჯილდოვებული იქნებით, მიაღწევთ რა სასურველ მიზანს. ეს იქნება თქვენი სულების ხსნა. ⁷⁴

როგორც ვხედავთ, პაპი დარწმუნებულია საქართველოსა და რომის ეკლესიების მტკიცე კავშირსა და ერთობაში, სხვა შემთხვევაში გაუგებარია რატომ უნდა გახარებოდა ჩვენი რწმენა?! ჰონორიუსი რუსუდანს ურჯულოთა შორის სიმტკიცესა და ქრისტიანული სარწმუნოების დაცვას სთხოვს და ამისთვის სულების ხსნას ჰპირდება.⁷⁵ გარდა ამისა, წერილის ბოლო ნაწილში პაპი ცოდვების მიტევების სიტყვასაც აძლევს მათ „ვინც ამ საქმეში (ჯვაროსნულ ლაშქრობაში გ.ე.) მონაწილეობას მიიღებს: ან თვითონ წავა თავის ხარჯზე, ან თუ თვითონ ვერ წავა, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით, თავის ხარჯზე შემცველად ადამიანს გაგზავნის, ასევე ისიც, ვინც სხვის ხარჯზე პირადად მიიღებს მონაწილეობას...“⁷⁶ აღსანიშნავია, რომ ინდულგენციების გაცემა მსგავსი ფორმულით მხოლოდ კათოლიკე მეფეებისთვის და ერებისთვის ხდებოდა. „ცხადია პაპი არც ამ

⁷⁴ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ. 1984. გვ.180

⁷⁵ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ. 1902. გვ. 11

⁷⁶ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 181

ლექსებს იხმარებდა, დედოფლისა და ქართველების ერთობაზე რაიმე ეჭვი რომ შეეტანა.“⁷⁷

ჩვენამდე მოაღწია საქართველოს მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის წერილმაც, რომელიც მან ჰონორიუს III-ს გაუგზავნა. ამ წერილში მსგავსად რუსუდანისა იგი პაპს „უნმინდეს მამას“ და „მთელი ქრისტიანული სამყაროს მეუფეს“ უწოდებს.⁷⁸ ამასთანავე, ქართველთა ამირსპარსალარი პაპს ლოცვა-კურთხევას სთხოვს ქვეყნისთვის და თავისი მემკვიდრე შანშესთვის.⁷⁹

ჰონორიუსი 1224 წელს რუსუდანთან ერთად საპასუხო წერილს ივანე მხარგრძელსაც უგზავნის, სადაც ისევე როგორც დედოფლისთვის მიწერილ წერილში სიხარულს გამოთქვამს ქართველთა მხედართმთავრის რწმენის გამო, ხოლო მის ძმისწულსა და მემკვიდრეს, შანშეს, მოციქულეობრივ ლოცვა-კურთხევას უთვლის.

ზემოთ განხილული ეპისტოლარული ძეგლები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, საქართველოდან გაგზავნილი ორი წერილი და რომიდან დაბრუნებული ამდენივე პასუხი მიუთითებს რუსუდანის სისუსტეზე, თანაც გასათვალისწინებელია დიპლომატიური პროტოკოლის აშკარა დარღვევა, როცა ივანე მხარგრძელი რუსუდანზე გრძელ წერილს სწერს პაპს.⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დედოფლის ძალაუფლება შესუსტებულია, ფაქტი ერთია, საქართველოს რანგით მეორე პირის პათოსი რომის პაპის მიმართ ზუსტად ემთხვევა რუსუდანისას, რანგით პირველი პირისას. არ იცვლება არც მიმართვის ფორმები და არც ის ფაქტი, რომ რომის პაპს ორივე მათგანი ყველა ქრისტიანის მეუფედ მიიჩნევს.

მომდევნო წლებში საქართველოსა და რომს შორის მიმოწერა შეწყდა, რისი მიზეზიც უეჭველად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები უნდა გამხდარიყო. ჯალალ ად-დინის გამანადგურებელმა შემოსევებმა ძლიერ დააზიანა ქვეყანა,

⁷⁷ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ. 1902. გვ. 11

⁷⁸ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 178

⁷⁹ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 179

⁸⁰ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ. 131

დედოფალი იძულებული გახდა თბილისიდან ქუთაისში გაქცეულიყო და იქიდან ემართა საქართველო.⁸¹

ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის პერსპექტივა ჯალალ ად-დინის შემოჭრასთან ერთად მეორეხარისხოდ იქცა. საქართველოს მთელი ყურადღება არა წმინდა მიწისკენ, არამედ ქვეყნის საზღვრებზე იქნა გადატანილი. მეორეს მხრივ, დასავლეთში ჰონორიუს III-სა და საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ II-ს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა გაჩაღდა. ასეთ ვითარებაში აღარც რომს ეცალა წმინდა მიწისთვის.

ჯალალ ად-დინის გარდაცვალებასა და საქართველოში მდგომარეობის დასტაბილურებას რომთან მიმონერის განახლება მოჰყვა. ჰონორიუს III-ის გარდაცვალების შემდგომ, 1227 წლიდან რომის პონტიფიკსი გრიგოლ IX ხდება, რომელიც წინა პაპის მსგავსად ცდილობს აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროსთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს.

გრიგოლ IX-მ და საქართველოს დედოფალმა რუსუდანმა კვლავ გააჩაღეს მიმონერა. პაპის მიერ გამოგზავნილ 1234 წლის 13 აპრილით დათარიღებული წერილიდან ვიგებთ, რომ რომის კურიას ძნელებდობის უამს ჩვენთან მინორიტეტის ორდენის ძმები გამოუგზავნია.⁸² წერილიდან ირკვევა, რომ რუსუდანს ამ ორდენის ბერები ღირსეულად მიუღია. ამის შესახებ გრიგოლ IX წერდა: „როგორც ჩვენ გვწამს, გაიგე და ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრებს ერეტიკოსთა უმართლო შეურაცხყოფისაგან, კათოლიკურ ეკლესიას შეამკობს კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებითა და სასწაულებრივი მოქმედებით.“⁸³

როგორც ჩანს, საქართველო და რომი ურთიერთობის ამ ეტაპზეც თანაზიარებაში იმყოფებიან, სხვა შემთხვევაში პაპი არ აღნიშნავდა, რომ მინორიტი ბერების

⁸¹ თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ. 1995. გვ. 481

⁸² ფრანცისკანელთა ორდენი

⁸³ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ.185

პატრონობით რუსუდანი კათოლიკურ ეკლესიას ამკობს. ლოგიკურია არც უკვე ჩადენილი ცოდვების მითევებას დაჰპირდებოდა.⁸⁴

რაც შეეხება კათოლიკე მისიონერებს, მათი საქართველოში ჩამოსვლის თარიღზე და მიზანზე ვრცლად შემდგომ პარაგრაფში გვექნება საუბარი.

შემდეგი ეპისტოლარული ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია 1240 წლის 13 იანვრითაა დათარიღებული. როგორც ჩანს, 1234-1239 წლებში დედოფალმა რუსუდანმა პაპს დახმარების თხოვნით მიმართა, სანაცვლოდ კი რომის ეკლესიასთან „შეერთება“ შესთავაზა. (?) ამაზე მიგვითითებს გრიგოლ IX-ის საპასუხო წერილი, სადაც იგი ცდილობს აუხნას რუსუდანს თუ რატომ ვერ დაეხმარება რომის კურია და ჯვაროსნები საქართველოს.

გრიგოლ IX დახმარებაზე უარის თქმას იმით ასაბუთებს, რომ ჯვაროსნები დაკავებულნი არიან სარკინოზებთან ბრძოლით იტალიაში, სირიასა და „ისპანიაში“, ტერიტორიული სიშორე კი ხელს უშლის, რადგან მათ „არ გამოუშვებენ“ აქეთ. ამასთან ერთად ამცნობს ერეტიკოსებთან ბრძოლისა და ფრიდრიხ II-სთან გამწვავებულ ურთიერთობაზეც.⁸⁵

სამაგიეროდ, პაპი არ მალავს თავის სიხარულს ეკლესიათა „შეერთების“ თხოვნაზე. მნიშვნელობიდან გამომდინარე წერილის ამ პასაჟს ვრცლად მოვიხმობთ: „რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ვეთავაზობთ და ითხოვთ - თქვენი სულიერი სახლი შეუერთოდ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას, რადგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სათანადოდ მოემსახურება თქვენს ხსნას და თქვენს მიმართ ჩვენს სიხარულს, რაც არსებობს თქვენი ხსნის ღონინძიებათა სრულყოფისათვის, ვინაიდან კათოლიკური ეკლესია, ქრისტეს ძალა - ერთია, უფალი მოციქულთა მეთაურს ნეტარ პეტრეს, აძლევა და უფლებამოსილებას და ხელისუფლებას, მიუთითებდა მის გადანყვეტილებაზე: „და მე გეტყვი შენ, ჩემი, და ბჭენი ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდნან მას.“ ამიტომ მან თავისი მუდმივი ედიქტით უბრძანა - მხოლოდ პეტრეს ემწყემსა მისი ცხოვარნი და იწინასწარმეტყველა რა კერპთაყვანისმცემელთა მომავალი მოქცევა, თქვა, რომ ისინიც შეუერთდებიან ამ

⁸⁴ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 185

⁸⁵ თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ. 1995. გვ.486-487

ერთადერთ ეკლესიას, რომელიც წარმოიშვა იუდეველებისაგან. მანვე აშკარად ბრძანა, რათა მათგან შექმნილიყო ერთიანი მრევლი და ეკლესიის სათავეში, რომელიც გააერთიანებდა იუდეველებსა და კერპთაყვანისმცემლებს, მდგარიყო ერთი მოძღვარი.“

86

ზემოთ მოყვანილი წყარო განსხვავებულად აქვს ნათარგმნი მიხეილ თამარაშვილს. თუკი მოცემულ თარგმანში შეგვიძლია „ერთი მოძღვარის“ უკან პაპი მხოლოდ ვიგულისხმობთ, მის თარგმანში პირდაპირ ჩანს პონტიფექსი და მისი მთავარი სურვილი - აღიაროს საქართველომ მისი პრიმატი: „პატივისცემით ვაუწყებთ, ვავიწყებთ და ვთხოვთ თქვენს დიდებულებასა, რათა შემოუერთდეთ რომის ეკლესიას, მის მწყემსს დაემორჩილოთ და ამ სამოციქულო საყდრის მორჩილება მიაღებინოთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთაც. თქვენის შრომით აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ორკეცად დაიმკვიდრებთ სასუფეველის გვირგვინსა.“⁸⁷

ამ უკანასკნელმა წერილმა ისტორიკოსთა დიდ ნაწილში დაბნეულობა გამოიწვია. მღვდელი მიხეილ თამარაშვილი მასზე დაყრდნობით ასკვნიდა, რომ: „მარტო ამ წერილიდან სჩანს საქართველოს ეკლესიის გაყრა.“ მიუხედავად ამისა, თავადვე აღნიშნავდა, რომ ამ „გაყრას“ ბოლო მალევე მოელო, რადგან „თვით რუსუდანი სთხოვს პაპსა რომის ეკლესიასთან შემოერთებას.“⁸⁸ ასევე ამ წერილიდან გამომდინარე რემონ უანენი ასკვნიდა, რომ „აქ (1240 წლის 13 იანვრით დათარიღებულ წერილში) პირველადაა მინიშნებული ქართველთა განდგომა.“⁸⁹

ჩვენთვის საინტერესოა იმის დადგენა თუ რა მიზეზით შეიძლება მომხდარიყო 1234 - 1239 წლებში განხეთქილება, ან კი საერთოდ მოხდა მსგავსი რამ?

⁸⁶ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 189-190

⁸⁷ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 17 ამასთან დაკავშირებით თავად ი. ტაბალუა შენიშნავდა, რომ მას და მ. თამარაშვილს სხვადასხვა წყაროებით უსარგებლიათ შესაბამისად ეს სხვაობებიც ამათ მოიტანა. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 190

⁸⁸ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 17

⁸⁹ უანენი რ. საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტ. VI, ნ. I, პარიზი. 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1996. გვ. 39

წერილში, როგორც ვხედავთ, პაპი საუბრობს რომის ეკლესიის გამორჩეულობაზე და პაპის პრიმატის აღიარებაზე, ერთ ადგილას კი შენიშნავს: „საყვარელნო შეილნო, დიდად გვიხარის, რომ ღვთის სიტყვა გიცვნიათ და სარწმუნოება თქვენს ქვეყანაში ეკლესიის დაფუძნებიდგანვე შეურყეველად დარჩენილა. როგორათაც თქვენვე გვაუწყებთ წერილით.“⁹⁰

ჩნდება ლოგიკური კითხვების ჯაჭვი. როგორც გრიგოლ IX აღნიშნავს, საქართველო არასდროს ჩამოსცილებია და ყოველთვის „შეურყეველად“ იდგა თავის სარწმუნოებაზე, რაც მას ძალიან ახარებდა. მაშინ რა იგულისხმება ქართული ეკლესიის რომაულთან შეერთებაში? თუ არც გაჰყრია რაღა საჭიროა შეყრა? ან რამ განაპირობა მოკლევადიანი „განხეთქილების“ შემდგომ დედოფლის საგარეო კურსის რომისაკენ ასეთი უცაბელი შემოტრიალება? რატომ სწერს რუსუდანი დასავლური ეკლესიის მეთაურს და სთავაზობს რომის ეკლესიასთან შეერთებას? სად არის ამ დროს მცხეთის კათალოკოსი? ან რა პოზიცია უჭირავს მას დედოფლის ამ ქმედების მიმართ?

შვეცდებით ამ კითხვებზე მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი გავცეთ. პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ არ ვიზიარებთ მიხეილ თამარაშვილის შეხედულებას მოკლევადიანი განხეთქილების შესახებ. ჩვენი აზრით, მცხეთასა და რომს შორის ამ დროისთვის მსგავსი არათფერი მომხდარა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს დედოფალი დგამს მეტად ჭკვიანურ დიპლომატიურ ნაბიჯს. თუ აქამდე საქართველო რომთან კონფლიქტში არ შედიოდა და თავს არიდებდა რელიგიური საკითხების განხილვას, რითაც რომის მხრიდან საპასუხო ლოიალურ დამოკიდებულებას იღებდა. ამჯერად, მონღოლთა წინაშე მართლ დარჩენილი ქვეყნისთვის, მხოლოდ მისიონერები და სიტყვიერი გამხნეება არ იყო საკმარისი. საქართველო საჭიროებდა რეალურ სამხედრო დახმარებას, რომლის იმედიც მხოლოდ პაპისგან შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ ჩვენი დახმარების სანაცვლოდ რა შეიძლება შეეთავაზებინა რუსუდანს გრიგოლ IX-თვის?

⁹⁰ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ.14

მოცემულ სიტუაციაში ერთადერთი, რითაც პაპის დაინტერესება შეგვეძლო მისი პრიმატის აღიარება იქნებოდა, რაც შესთავაზა კიდევაც რუსუდანმა კათოლიკური ეკლესიის მეთაურს. რაც შეეხება „ფილიოკვეს“ საკითხს, მისი აღიარება ურთიერთობის ამ ეტაპზე სრულიად არ იყო სავალდებულო რომთან თანაზიარებაში ყოფნისთვის. რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯი საქართველოს მხრიდან განპირობებული იყო უფრო პოლიტიკური მოტივებით, ვიდრე სარწმუნოებრივი.⁹¹

XIII საუკუნეში საეკლესიო უნიამ თავისებური მახასიათებელი შეიძინა, რაც თავის მხრივ უმთავრესად განპირობებული იყო უნიატურ პროცესებზე პოლიტიკური გარემო - ფაქტორების გავლენით.⁹²

საქართველოს შემთხვევაში ეს პოლიტიკური ფაქტორები მონღოლების შემოჭრასთან და დედოფლის დასავლეთ საქართველოში გაქცევასთან იყო დაკავშირებული. ამ მიზეზით იყო ნაკარნახევი რუსუდანის თხოვნა ქართული და რომაული ეკლესიის „შეერთების“ თაობაზე.

რაც შეეხება უნიის ძირითად მახასიათებელს, როგორც რუსი ეპისკოპოსი ავგუსტინ მარკვეიჩი შენიშნავს: „XIII საუკუნის უნიის განსაკუთრებულ თავისებურებად ითვლება მისი დადებისას საეკლესიო ერთიანობის პრობლემის გადანყვეტით მართლმადიდებელი ქვეყნების მონარქთა დაინტერესება, რაც რომთან ერთიანობას მოითანდა. ამ უნიის დადებისას მართლმადიდებლური იერარქია თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა და მსგავსად კლირიკოსებისა და საერო პირების უმრავლესობისა ნეგატიურად იყო განწყობილი რომთან გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით.“⁹³

ამის უშუალო მაგალითად წარმოგვიდგება რუსუდანი, რომელიც თავადაა დაინტერესებული, მონღოლებისგან მომავალი საფრთხის შესაკავებლად, უნიით და რომთან ერთიანობით, ამიტომაც სწორედ იგი სთავაზობს პაპს მისი უზენაესობის აღიარებას, შესაბამისად რომთან „შეერთებას.“

⁹¹ ჭავჭავიძე ი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1966. გვ. 111

⁹² Маркевич августин. Униатство: богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. М. 2003. გვ. 22

⁹³ Маркевич августин. Униатство: богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. გვ. 29

რაც შეეხება კლირიკოსებსა და საერო პირებს, წყაროების არქონის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მათ პოზიციებზე ვისაუბროთ, თუმცა გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ისინი უნიის მიმართ ნეგატიურად იქნებოდნენ განწყობილნი მიუხედავად იმისა, რომ პაპი ამ ეტაპზე უნიის დასადგებად მხოლოდ თავისი პრიმატის უპირობო აღიარებას ითხოვდა.

XIII საუკუნეში ძირითადი მიზეზი იმისა თუ რატომ იწვევდა პოლიტიკურ კონიუქტურაში ცვლილებები უნიის უარყოფას იყო სასულიეროთა მიერ უნიის არ მიღება და უნიატორული წამონწყებების პოლიტიკური ნიშნით ანგაჟირებულება.⁹⁴

საქართველოს შემთხვევაშიც საქმე უნდა გვექონოდა პოლიტიკურ მოტივებთან. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რუსუდანს რომთან ერთობა მონღოლების წინააღმდეგ სამხედრო ძალის შესაძენად სჭირდებოდა, მაგრამ გრიგოლ IX-ის წერილიდან ცხადი იყო, რომ ქართველებს ჯვაროსნების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამის ლოგიკური შედეგი იყო 1243 წელს დადებული ზავი მონღოლებთან. მშვიდობის დამყარებისა და ქვეყანაში მდგომარეობის დასტაბილურების შემდეგ რომთან უნიამ მნიშვნელობა დაკარგა, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იგი უფრო პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე სარწმუნოებრივით.⁹⁵

სავარაუდოა, რომ სწორედ ამ იმედგაცრუების შემდეგ უნდა დაწყებულიყო ბზარების გაჩენა საქართველო - რომის ეკლესიებს შორის. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ განხეთქილება მაშინათვე მოხდა. „ეს შეუძლებელიცაა, რადგან ეკლესიათა გაყრა ეს ხანგრძლივი „პროცესია“, რომლის დროსაც ისევ ეძიებენ გზებს ეკუმენური გზით გაერთიანებისაკენ.“⁹⁶

ისტორიკოსთა ნაწილისთვის დამაბნეველი გარემოებაა ისიც, თუ რატომ ეგუებოდა საქართველოსთან თანაზიარებაში მყოფი რომი აქ ბერძნული წესის არსებობას? მომდევნო პარაგრაფში შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

⁹⁴ Маркевич августин. Униатство: богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. გვ. 30

⁹⁵ ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1966. გვ. 111

⁹⁶ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბ. 2019. გვ. 132

§ 2.XIII საუკუნის ქრისტიანი ქართველები - ლათინთა

წარმოდგენაში

მოცემული პარაგრაფის მიზანს იმ პოსტულატის დამტკიცება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ბერძნული წესის არსებობა და მისი ლათინურით არ ჩანაცვლება სულაც არ იყო დამაბრკოლებელი გარემოება საქართველო - რომის ურთიერთობაში. სხვაობა იმდენად მცირე იყო, რომ XIII საუკუნის ზოგიერთ წყაროში ქართველები პირდაპირ კათოლიკეებად მოიხსენიებიან.

სანამ უშუალოდ გემოთ ხსენებული წყაროების შედარება - ანალიზზე გადავიდოდეთ გვინდა აქვე მოვიხმოთ ავგუსტინ მარკევიჩის სრულიად მართებული შენიშვნა: *„კათოლიკეების მიერ რომისადმი მართლმადიდებელი ქრისტიანების დაქვემდებარების XIII საუკუნეში შემუშავებულმა მეთოდმა კპოვა შემდგომი განვითარება: საფუძველი ჩაეყარა პაპის ძალაუფლებისადმი არამხოლოდ ცალკეული მართლმადიდებელი კლირიკოსებისა და საერო პირების დამორჩილების პრაქტიკას, არამედ მთელი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების დაქვემდებარებას, რომლებიც დასაწყისში შეინარჩუნებდნენ აღმოსავლური ღვთისმეტყველების წესებს. მოცემულ შემთხვევაში შეერთების პირობად უნინარეს ყოვლისა სახელდებათა ამ ეკლესიის იერარქიის მიერ პაპის მეთაურობის აღიარება.“⁹⁷*

როგორც ვხედავთ, ავგუსტინ მარკევიჩი მიიჩნევს, რომ რომის პოლიტიკა XIII საუკუნეში სულაც არ ისახავდა მიზნად ლათინური წესების შემოტანას ღვთისმსახურებაში. ერთადერთი, რასაც იგი აღმოსავლური ეკლესიებისაგან მოითხოვდა პაპის პრიმატის აღიარება იყო, ბერძნული წესის არსებობაზე კი თვალს ხუჭავდა. შევეცდებით საქართველოს მაგალითზე დავამტკიცოთ ამ პოსტულატის მართებულება.

XIII საუკუნის დასავლელი ავტორების უმნიშვნელოვანესი ცნობები, სადაც ჩანს, საქართველოს ეკლესია და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ასპექტები, რომლებიც

⁹⁷ Августин Маркевич. Униатство: Богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. М. 2007. გვ. 29

ამ საკითხის შესწავლისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, ნათარგმნი და გამოქვეყნებული აქვს ალექსანდრე თვარაძეს.⁹⁸

ჩვენი კვლევისთვის საჭირო ავტორების ძიებისას სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

1) ავტორები, რომლებიც აღნიშნავენ საქართველოში ბერძნული წესის არსებობას. (მეხუთე ანონიმი, ფრანცისკანელი ანონიმი ბერი, უაკ დე ვიტრი, ვინსენტ დე ბოვე, ბენედიქტ პოლონელი, მარკო პოლო)

2) ავტორები, რომლებიც შემოიტარებდნენ ზოგადი განმარტებით იმის შესახებ, რომ ქართველები ქრისტიანები არიან. ისინი თავს არიდებენ ბერძნული წესისა და კათოლიკური მრწამსის ხსენებას. (ოლივერუსი)

3) ავტორები, რომლებიც ვერ გრძობენ საქართველოსთან რომის განყოფას და ამიტომაც ქართველებს კათოლიკეებად მოიხსენიებენ. (დიუნსტაპლის მონასტრის ანალები, ალბერიხი)

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ დასავლელი ავტორების მხრიდან ქართველების კათოლიკეებთან გაიგივება უბრალო შემთხვევითობა ვერ იქნება, რადგან დიდი სქიზმიდან უკვე საუკუნენახევარზე მეტია გასული და მართლმადიდებელ და კათოლიკე ქვეყნებს შორის სხვაობის დანახვა მარტივი შესაძლებელია.

XII საუკუნის დასასრულით დათარიღებული წყარო, რომლის ავტორსაც ა. თვარაძე „მეხუთე ანონიმის“ სახელით მოიხსენიებს, აღნიშნავს, რომ ქართველები „ეფესარსტიისთვის იყენებენ ფერმენტირებულ პურს და საერთოდ ყველა საკითხში ბერძნებს ბაძავენ.“⁹⁹ იგივე ცნობას იმეორებს XIII საუკუნის პირველი ნახევრის ფრანცისკანელი ანონიმი ბერი.

„ქართველები საღვთო წერილს ბერძნულად კითხულობენ და საეკლესიო საიდუმლოებებსაც ბერძნული წესით ასრულებენ. მათ სამღვდელთა მრგვალი

⁹⁸ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბ. 2004.

⁹⁹ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ. 139

ტონზურები აქვს, ხოლო საერო პირებს - ოთხკუთხედი“¹⁰⁰ - წერდა XIII საუკუნის 10-იანი წლების მიწურულისთვის საქართველოზე აკრას ლათინი ეპისკოპოსი - ჟაკ დე ვიტრი. აღსანიშნავია, რომ მას უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან. იგი 1217 წელს აკრაში შეხვდა ქართველებს და თარჯიმნის დახმარებით გაესაუბრა მათ.¹⁰¹

XIII საუკუნის პირველ მეოთხედში ვინსენტ დე ბოვე ქართველთა სარწმუნოებასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ქართველები მართლაც ქრისტეს თაყვანისმცემელი ხალხია, ბერძნულ წესს იცავენ, სპარსელთა მემობლად ცხოვრობენ და შორს არიან აღთქმული მინისაგან;“¹⁰²

ჩვენთვის მეთად საინტერესოა, ინოკენტი IV-ის მიერ მონღოლეთში გაგზავნილი ელჩების ჩანაწერები, რომლებიც თავად არიან თვითმხილველნი ქართველებისა და მათი ზნე-ჩვეულებების. შესაბამისად მათი ცნობები უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ამ პერიოდის რელიგიური ვითარების წარმოსაჩენად. მათგან აღსანიშნავია, ბენედიქტ პოლონელი, რომლის გადმოცემის მიხედვითაც, ქართველები წმინდა წერილების ბერძნულ ვერსიას იყენებდნენ და ჯვარს ატარებდნენ ბრძოლის ველზე. ამასთანავე, მონღოლეთში ბერძნული წესების შესაბამისად ლოცულობდნენ.¹⁰³

ცოტა მოგვიანებით XIII საუკუნის მეორე ნახევარში ვენეციელი ვაჭარი მარკო პოლო საქართველოს შესახებ საუბრისას შენიშნავდა: „ისინი (ქართველები გ.ე.) ბერძნული წესის ქრისტიანები არიან და თმას ჩვეულებრივ, ეკლესიის მსახურთა მსგავსად, მოკლედ ატარებენ.“¹⁰⁴

ავტორთა ნაწილი შემოიფარგლება იმის მითითებით, რომ ქართველები გულმხურვალე ქრისტიანები არიან. მაგალითად, პადერბორნისა და კიოლნის ტაძრის სქოლასტი ოლივერუსი შენიშნავდა, რომ: „ქართველები ქრისტიანები არიან, ცხოვრობენ

¹⁰⁰ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ვეროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ.141

¹⁰¹ დაწვ. იხილეთ. გოგოლაძე ა. წითლანაძე თ. ქარჩავა თ. სილაგაძე ნ. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. თბ. 2015. გვ. 106 ჯავახია ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. გივი უორდანი 90. თბ. 2001. გვ. 232

¹⁰² ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). რედ. მეტრეველი რ. 2004. გვ. 186-187

¹⁰³ ჯავახია ბ. ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტე პოლონელი, ჟან დე მანდევილე.) საისტორიო კრებული. I. 2011. გვ. 175

¹⁰⁴ ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). რედ. მეტრეველი რ. 2004. გვ. 203

სპარსეთის მეზობლად აღთქმული ქვეყნიდან მეტად შორს.¹⁰⁵ ოლივერუსი არ წერს, რომ ქართველები კათოლიკე ან მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, არამედ მხოლოდ ზოგად განსაზღვრებას - „ქრისტიანს“ იყენებს.

სერიოზული დისკუსია გამოიწვია ფრანგი ჯვაროსანის დე ბუას წერილმა ბებანსონის არქიეპისკოპოსის, ამედე დე ტრემლესადმი, სადაც საუბარია საქართველოს მეფე - ლაშა - გიორგიზე. მასში ვკითხულობთ: „მეფე მათი (ქართველების გ.ე.) წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით.“¹⁰⁶ ამ მონაკვეთმა ბევრი განსხვავებული შეხედულება დაბადა. მაგალითად, ისტორიკოსი გ. მაჭარაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ციტატის გაგება მხოლოდ ორნაირად შეგვიძლია. ერთის მხრივ, შეიძლება ლაშა-გიორგი კათოლიკეა, მაგრამ ცუდი კათოლიკე, მეორეს მხრივ, კი დებუამ იცის, რომ საქართველოს მეფე საერთოდ არ არის კათოლიკე და ამის გამო აძაგებს მის რწმენას. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ წყარო საქართველო - რომის ეკლესიების გაყრის დათარიღებისთვის არ გამოგვადგება, რადგან ზედმეტად ბუნდოვანია.¹⁰⁷

ჩვენის მხრივ, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ შესაძლებელია დებუა, როდესაც იგი შენიშნავს ალექსანდრესგან ლაშა-გიორგის სარწმუნოებით განსხვავებას, უბრალოდ გულისხმობს სხვაობას, წარმართული რელიგიის თაყვანისმცემელ ალექსანდრესა და ქრისტიან ლაშა-გიორგის შორის. მართებულად არ მიგვაჩნია ალექსანდრე დიდის კათოლიკეებთან ასოცირება, რასაც ვხედავთ მკვლევარ გ. მაჭარაშვილის მსჯელობაში.

ავტორთა დიდი ნაწილი საპირისპიროდ მიუთითებს, რომ საქართველო კათოლიკურ რწმენას აღიარებს. დიუნსტაპლის მონასტრის ანალებში აღნიშნულია, რომ „ქართველები მძლავრად შეიარაღებულნი, რწმენით კათოლიკენი, მუსლიმთა წინააღმდეგ მოდიან.“¹⁰⁸

¹⁰⁵ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ. 144

¹⁰⁶ ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბ. 1989. გვ. 97. თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ. 140

¹⁰⁷ მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. გვ. 132

¹⁰⁸ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ. 142

კიდევ ერთი XIII საუკუნის 20 - იანი წლების ავტორი ალბერტი ალნიშნავს, რომ „ეს ქართველები არიან ძლიერი კათოლიკენი და მაგრად შეიარაღებულნი.“¹⁰⁹

სავარაუდოა, რომ სწორედ ამ წყაროებს ეყრდნობოდა მ. თამარაშვილი, როდესაც შენიშნავდა: „ამ დროის მწერლები ქართველებს კათოლიკეებად უწოდებენ „*Viri catholici*“.“¹¹⁰ ზემოთ ნახსენები ორი წყაროც კმარა იმისთვის, რომ არ გავიზიაროთ მკვლევარ გ. მაჭარაშვილის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ შეხედულების დათვქსირებისას მ. თამარაშვილს არ ჰქონდა საჭირო წყაროები, რომლებიც მის პოსტულატს დაამტკიცებდა.¹¹¹

როგორც ვხედავთ, რომში კარგად უწყოდნენ, რომ ქართული ეკლესია ბერძნული წესის მიმდევარი იყო. საქართველოშიც ესმოდათ, რომ ლათინური და ბერძნული ეკლესიები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ დოგმატური და ლიტურგიული თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, რომი კვლავ აგრძელებდა საქართველოსთან კეთილგანწყობილ ურთიერთობას. არ მოგვეპოვება ამ პერიოდის არცერთი წყარო, რომელიც რომსა და საქართველოს შორის დოგმატურ საკითხებზე დავას დაადასტურებდა. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? რატომ არ აპროტესტებდა რომი საქართველოში ბერძნული წესით ღვთისმსახურების აღვლენას, ან რატომ არ მოითხოვდა ჩვენგან ლათინური წესის დამკვიდრებას?

XII - XIII საუკუნის დასავლელი მოგზაურები განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებენ როგორც ქართველ მეფეებს, ასევე ქართულ ეკლესიას, რაც ერთადერთ რამეზე უნდა მიუთითებდეს: „ლათინური სამყარო არ კარგავს ქართველი ქრისტიანების იმედს, როგორც მათი მოკავშირისა მუსლიმთა წინააღმდეგ.“¹¹²

ამაზე მეტყველებს წყაროები, რომელშიც ქართველები განსხვავებით ლაჩარი ბერძნებისაგან, მამაც მეომრებად და ურჯულოთა წინააღმდეგ მებრძოლ ხალხად არიან

¹⁰⁹ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. გვ. 143

¹¹⁰ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 7

¹¹¹ მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. გვ. 129

¹¹² ჯავახია ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. გივი უორდანი 90. თბ. 2001. გვ. 235

წარმოჩენილნი. ბერძნებს, ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში უილიამ / გიომ ტვიროსელი, თავის ნაშრომში „ზღვის გადაღმა ქვეყნების ამბავთა ისტორია“, აფასებდა, როგორც ქალივით განაზღებულებს, გადაცემულებსა და სუსტებს. მათთან დაკავშირებით ტვიროსელი რომის პაპს სწერდა: „ჩვენ არ გვაქვს იმედი, ბერძნების იმპერიისგან რამენაირი დახმარების მიღების, მიუხედავად იმისა რომ, ისინი დაკავშირებულნი არიან ჩვენთან სისხლით. ასევე, ბევრად უფრო მდიდრები არიან. ისინი საკუთარ თავსაც კი ძლივს იცავენ. ბერძნების ძალა იმდენად დაკნინდა, რომ თქვენო უკეთილშობილესობავ, [მიმართავს პაპს - გ. ე.] როგორც გაიგებდით, რამდენიმე წელში, მათ საკუთარი იმპერიის ნახევარიც კი დაკარგეს.“¹¹³

ბერძნებისგან საპირისპიროდ ქართველებთან დაკავშირებით უილიამ ტვიროსელი შენიშნავდა: „...ღვთის მადლით, მუდმივი გამარჯვებებით ეს ერი (იბერები გ.ე.) ისე გაიზარდა და გაძლიერდა, რომ მათ გატეხეს და დაამხეს სპარსელთა ამპარტავნება... მისი მცხოვრებლები გამოირჩევიან მაღალი აღნაგობით, უაღრესი სიძლიერითა და თავიანთი მხედრული თვისებებით.“¹¹⁴

როგორც ავგუსტინ მარკევიჩის ზემოთ მოყვანილ ციტატიდან ჩანს, რომი ამ დროს ჯერ კიდევ არ ითხოვდა აღმოსავლური ეკლესიებისგან ღვთისმეტყველების არსებული წესის შეცვლას დასავლურით, ანუ ბერძნულის ჩანაცვლებას ლათინურით. XIII საუკუნეში მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის არ მიმდინარეობს სერიოზული საღვთისმეტყველო დავები, რომლებიც რამენაირად ხელს შეუშლის უნიის დადებას.¹¹⁵ ურთიერთობის ამ ეტაპზე პონტიფიქსებისთვის საკმარისი იყო რომის პაპის უზენაესობის აღიარება, ამიტომაც, ბერძნული წესით წირვა - ლოცვის აღვლენა ხელს სულაც არ უშლიდა საქართველო - რომს შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობებს.

ამრიგად, მიუხედავად ლიტურგიული სხვაობისა, დასავლელ ავტორებთან ბერძნებისგან განსხვავებით ქართველების ნეგატიურ კონტექსტში მოხსენებას ვერ

¹¹³ A History of Deeds Done Beyond The Sea. Vol. I 1949, გვ. 83. ციტ. გოგოლიშვილი თ. ლათინური აღმოსავლეთის და ბიზანტიის ყოველდღიურობა უილიამ ტვიროსელის მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომი თბ. 2018. გვ. 42

¹¹⁴ თვარაძე ა. იბერები გიომ ტვიროსელის ქრონიკაში. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, N. 9, თბ. არტანუჯი. 2008. გვ. 186.

¹¹⁵ Августин Маркевич. Униатство: Богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. М. 2007. გვ. 29

ვხდებით. ჩვენი დაკვირვებით, ზემოთ მოხმობილ წყაროებში ბერძნული წესი არსად არ იძენს უარყოფით შინაარსს. რომი არ აპროტესტებდა ჩვენში დამკვიდრებულ აღმოსავლურ ღვთისმსახურებას, რადგან საქართველოს მიიჩნევდა ჯვაროსნული ლაშქრობებში ჩართვის პოტენციურ კანდიდატად. პოლიტიკური მიზეზების გარდა იყო რელიგიური გარემოებებიც, კერძოდ, სერიოზული დოგმატური დავების არარსებობა და პაპის უზენაესობის აღიარება, რასაც საქართველო დიდი სქიზმიდან მოყოლებული არ უარყოფდა. თოთოეულ მხარეს სურდა ურთიერთობა, რადგან ორივეს ჰქონდა საკუთარი მიზნები. ქართველებისთვის რომი იყო მოკავშირე დასავლეთში, პაპობისთვის კი საქართველო - აღმოსავლეთში. ამდენად, ეს იყო სამოკავშირეო ურთიერთობა და ცხადია, არც პაპობას და არც ჩვენ არ გვსურდა განსხვავების აღიარება. სხვაობის აღიარება ავტომატურად ნიშნავდა საქართველოს სქიზმატიკოს ბიზანტიის გვერდით დაყენებას, ამით კი ერთადერთ მოკავშირეს ვკარგავდით დასავლეთში. შეიძლება ჩვენ მიერ პაპის დატოვება დიპტიქში სწორედ დასავლეთში მოკავშირის შენარჩუნების სურვილს უკავშირდება. ვინაიდან ქართველები პონტიფექსს კვლავ პირვანდელი სტატუსით მოვიხსენიებდით ეს უკანასკნელი თვლიდა, რომ ქართველები მას ვაღიარებთ და არ ვიდევით სქიზმატიკოსი ბიზანტიელების პოზიციაზე. ამრიგად, განსხვავებაზე თვალის დახუჭვა ორივე მხრიდან შეგნებულად ხდებოდა.

§ 3. როლის დაშორდა მცხეთა წმინდა ტახტს

ნაშრომის წინა პარაგრაფებში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ზოგადად შევეხეთ მცხეთის გაყრას რომთან და აღვნიშნეთ, რომ ეს იყო პროცესი, რომელიც პირობითად 1240 წლის შემდეგ დაიწყო. ამთავითვე ხაზი უნდა გავუსვა, რომ ეკლესიათა გაყრის ზუსტად დათარიღება არ არის იოლი საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა უცნობია ზედმიწევნით სწორი დრო. შესაბამისად საკვირველი არ არის იმ თარიღთა სიმრავლე, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით მცხეთის წმინდა ტახტთან დაშორების განსასაზღვრად. შევეცდებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგინოთ ქართველ და

უცხოელ მკვლევართა შეხედულებები ქართულ მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების გაყრის თარიღთან დაკავშირებით.

ისტორიკოსი მანანა ჯავახიშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში მიუთითებს, რომ „ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რომის კათოლიკურ ეკლესიას გაეთიშა არა XIII ს-ში (მ. თამარაშვილის მოსაზრება), არამედ განხეთქილებისთანავე (1054 წელი) ე.ი. XI ს-ში.“¹¹⁶ ჩვენი ნაშრომის პირველ თავში გარკვევით ვაჩვენეთ, რომ 1054 წელს არათუ ქართული, არამედ ბიზანტიის ეკლესიაც კი არ ჩამოშორებია რომს საბოლოოდ. დღეისათვის კარგადაა გარკვეული, რომ 1204 წლამდე არაერთი მცდელობა იყო დასავლური და აღმოსავლური ეკლესიების შერიგებისა, თუმცა პოლიტიკურმა გარემომ - ფაქტორებმა და ლათინთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ საბოლოოდ ჩატეხა ხიდი ორ სამყაროს შორის.¹¹⁷

ამავე არგუმენტის მოშველიებით ვერ გავიზიარებთ ისტორიკოს გ. მაჭარაშვილის შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ეკლესია რომს XI - XII საუკუნეების მიჯნაზე ჩამოშორდა.¹¹⁸ ამასთან ერთად საპირისპირო მოსაზრებების გასაბათილებლად ძალზე სუსტია ავტორის ერთ-ერთი არგუმენტი და ძირითადად ემყარება ვარაუდს, რომ შესაძლებელია ვატიკანის დახურულ საიდუმლო არქივებში დაცული იყოს დოკუმენტები, რომლებშიც პაპები 1230-1240 წლებზე ადრე მოუწოდებენ საქართველოს გაერთიანებისკენ.¹¹⁹

მ. თამარაშვილი მიიჩნევდა, რომ რომსა და საქართველოს შორის ერთობა მტკიცედ იყო დაცული 1230 წლამდე, თუმცა მას შემდეგ მოკლე ხნიანი განხეთქილება მომხდარა და ერთობა მხოლოდ 1240 წელს აღდგენილა. სამწუხაროდ, ის არ უთითებს, თუ როდის დაირღვა კვლავ ერთობა. მიუხედავად ამისა, პაპი ინოკენტი IV-ის 1245 წლით დათარიღებული წერილის კომენტარებისას შენიშნავს, რომ ამ დროისთვის საქართველოს ეკლესია ან არ შეერთებია რომის ეკლესიას, ან კვლავ გაჰყარია მას. პაპს

¹¹⁶ ჯავახიშვილი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან IV-XIV საუკუნეებში. გვ. 135.

¹¹⁷ A. Papadakis. Ecumenism in the thirteenth century: The Byzantine case. ST. Vladimir's theological quarterly. Vol. 27. No 3. 1983. p. 207.

¹¹⁸ მაჭარაშვილი გ. ეკლესიური ერთობის დარღვევა რომსა და საქართველოს შორის. 2003. თბ., გვ. 11.

¹¹⁹ მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. 2014. თბ., გვ. 128.

საქართველოს პატრიარქისთვისაც გამოუგზავნია შეერთების შესახებ წერილი, ალბათ უფრო იმიტომ, რომ შემოერთებული ქართველებისთვის სხვებსაც მიეძაძათ.¹²⁰ სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმებით მ. თამარაშვილს ამ აზრს, რადგან წერილიდან გარკვევით ჩანს, რომ ქართულ და დასავლურ ეკლესიას შორის ერთობის დარღვევა დაწყებულია. თუკი რომი და მცხეთა, კვლავ 1240 წლამდე, არსებულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მაშინ გაუგებარი ხდება წერილის შემდეგი მონაკვეთი: „მოგმართავთ შენ მუდმივი სიყვარულით, რათა მამაღმერთის ძის გულისთვის გულწრფელად დაადგე კათოლიკური სარწმუნოების დაცვის გზას, რასაც, როგორც გემოთ იყო ნათქვამი, ინარჩუნებს და იცავს რომის ეკლესია. თუ ამ უკანასკნელთან გაერთიანებას კეთილი სურვილით განახორციელებ რაც შეიძლება მალე, ხალისით შეუერთდები მას მთელი შენი ქვეყნით, გადალახავ რა ყველა ხელისშემშლელ დაბრკოლებას, მით უფრო მეტ მორწმუნეს დაარწმუნებ მიჰყვეს შენს საქებარ გზას.“¹²¹

აქვე გვინდა ნათქვამს დავამატოთ, რომ ინოკენტი IV - ის ეს წერილი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მცხეთის საბოლოოდ დაშორებას წმინდა ტახტთან. ეს იყო ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, როგორც ბიზანტიამ გაიარა 1054 წლიდან 1204 წლამდე, ანუ საბოლოო სქიზმამდე და რომელიც ასევე უნდა გაეგლო საქართველოს. ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

მ. თამარაშვილის დათარიღებას, ოდნავი ცვლილებებით, ბევრი მიმდევარი აღმოაჩნდა. მაგალითად, მკვლევარი ლელა პატარიძე განხეთქილებას 1234 - 1240 წლებს შორის ათავსებდა,¹²² რაზეც მ. თამარაშვილიც საუბრობდა, როცა მოკლევნიან დაშორებაზე აკეთებდა აქცენტს. ასევე, 1230 წლის შემდეგ პერიოდს ასახელებდა ტრისტან მაჭარაშვილი.¹²³ რომთან კავშირის განყვეტას XIII - ში მომხდრად თვლის კიდევ ერთი ქართველი მეცნიერი ნუგზარ პაპუაშვილიც.¹²⁴

¹²⁰ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ., 1902. გვ. 13 – 18.

¹²¹ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ. 1984., გვ. 88.

¹²² პატარიძე ლ. 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. ჟურნ: „დიאלოგი“. 2005. №1 (2). გვ. 28-35.

¹²³ მაჭარაშვილი ტ. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია. კრებ: საისტორიო შტუდიები. თბ., 2000. გვ. 139.

¹²⁴ პაპუაშვილი ნ. რელიგიის კარიბჭე.(რელიგიის ისტორიის შესავალი)/ თბ., 1996. გვ. 301.

რომში მოღვაწე ქართველი კათოლიკე სასულიერო პირი და მეცნიერი მიხეილ თარხნიშვილი წმინდა ტახთან მცხეთის ჩამოშორებას 1240 წლით ათარიღებს.. იგი შენიშნავდა: „საქართველო რომის ტახტს მოგვიანებით ჩამოშორდა და ეს გამოყოფა თანდათან განხორციელდა. პირველი ცნობა ამის შესახებ 1240 წელს გვხვდება.“¹²⁵

ამავე პოზიციას იზიარებდა 1995 წელს დაწერილ ნაშრომში - „საქართველო-რომის ურთიერთობა“ პროფ. მურმან პაპაშვილიც,¹²⁶ თუმცა მის მიერ 2019 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, „საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტი“, იგი დასკვნის სახით შენიშნავს, რომ გაყრა „ეს იყო პროცესი, რომელიც დაიწყო 1234 წლის შემდეგ, როცა საქართველოში საქმიანობა დაიწყო კათოლიკე მისიონერებმა და სავარაუდოდ დასრულდა 1329 წელს, როცა თბილისში დაარსდა კათოლიკური ეკლესია ლათინური იერარქიით.“¹²⁷ ჩვენ სრულიად ვიზიარებთ პროფ. მურმან პაპაშვილის დასკვნას იმის შესახებ, რომ გაყრა არის პროცესი, რომელიც წარმოუდგენელია კონკრეტული წლით დავათარილოთ. მეორეს მხრივ, ვერ დავეთანხმებით მას მსჯელობის პირველ ნაწილში, რადგან ვფიქრობთ, მისიონერები, როგორც ეს გრიგოლ IX - ის 1233 წლის წერილიდან ჩანს, საქართველოში ურწმუნოთა და სხვა მწვალებელთა მოსაქცევად ჩამოდიოდნენ და არა ქართველების.

სემ ჰიუსტონის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სტეფან რაპი არ ასახელებს განყოფის პერიოდს და სრულიად საპირისპიროდ წერს: „მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ეკლესია თანდათან მიიწვედა ბიზანტიურ ეკლესიასთან განხეთქილებისკენ. როგორც ჩანს, რუსუდანი ცდილობდა ბიზანტიური გავლენა პაპობის გავლენით დაეხლანსებინა.“¹²⁸ დამატებით, რასაც სტეფან რაპი ამ პერიოდის ქართულ

¹²⁵ თარხნიშვილი მ. წერილები. თამარ ჭუმბურიძის გამოცემა. თბ. 1994. გვ. 148.

¹²⁶ პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995. გვ. 52.

¹²⁷ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბ., 2019. გვ.164.

¹²⁸ Rapp H. Stephan. Georgian Christianity: The Blackwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry. Chichester. 2010. გვ. 148. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული ციტატა მეტად ორაზროვანია, რაც მის სხვადასხვანაირ გაგებას განაპირობებს. სტეფან რაპის პოზიციის განხილვისას ისტორიკოსები (გ. მაჭარაშვილი. მ. პაპაშვილი) ასკვნიდნენ, რომ მას განხეთქილების თარიღად XIII საუკუნის პირველი ნახევარი მიაჩნდა. თუ მათ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს (საქართველო XIII საუკუნის პირველ ნახევარში „შეუერთდა ბიზანტიური ეკლესიის სქიზმას“. მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. 2014. თბ. გვ. 6) მივიღებთ მხედველობაში მაშინ გაუგებარი ხდება წინადადების მეორე ნაწილი. თუკი საქართველო - რომის

და რომაული ეკლესიების ურთიერთობაზე შენიშნავს არის ის, რომ: „*მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ურთიერთშემხვედრი ნაბიჯებისა, (იგულისხმება ფრანცისკანელი და დომინიკანელი მისიონერების საქართველოში ჩამოსვლა და კათოლიკური ეკლესიის ცენტრის სმირნიდან თბილისში გადმოტანა გ.ე.) მართლმადიდებელ ქართველებს არასდროს მიუღიათ ფორმალური კვლავ შეერთება რომის ეკლესიასთან.*“¹²⁹

რემონ უანენის ვარაუდით, 1233 წლის აპრილით დათარიღებული გრიგოლ IX - ის წერილიდან ვიგებთ, რომ ქართველები ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ განდგომილნი რომის ეკლესიისაგან.¹³⁰ ჩვენ ამ წერილზე უკვე გვექონდა ნაშრომის წინა პარაგრაფში საუბარი და აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ სრულიად ვიზიარებთ რემონ უანენის ამ ვარაუდს.

მართალია, ისტორიკოსი დ. თინიკაშვილი არ გვთავაზობს საკუთარ დათარიღებას, თუმცა აღსანიშნავია, მისი მეტად ზუსტი შენიშვნა, რომელსაც მთლიანად ვიზიარებთ და ამიტომაც ვახდენთ მის ზუსტ ციტირებას: „...1054 წლიდან 1230-იან წლებამდე საქართველოს ეკლესიას ვერც რომის ეკლესიის ნაწილად ანუ მისდამი დაქვემდებარებულად და ვერც მისგან გამიჯნულად ანუ განხეთქილებაში მყოფად მივიჩნევთ.“¹³¹ მართლაც, მიუხედავად პროლათინური პოლიტიკისა ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო სასულიერო საკითხებში არც ბერძნებს ემორჩილება და არც ლათინებს.

მეცნიერთა ნაწილი საქართველო - რომის დაშორებას უფრო წინ სწევს და მას XIV საუკუნით ათარიღებს. მათ შორის აღსანიშნავია, ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ვიკარიუსი დასავლეთ საქართველოში გაბრიელე ბრავანტინი. იგი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „როდისა და ჩნდება კათოლიკე ეკლესია საქართველოში, როგორც ამას აღიარებს ნიკეა - კონსტანტინეპოლის კრება?... კონფესიურად პასუხი გაცილებით ფაქიზი და განსხვავებულია (როგორც ისტორიული, ასევე მოძღვრების

დაშორება სტეფან რაპის მიხედვით, მართლაც XIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო მაშინ რალატომ ცდილობდა რუსუდანი ბიზანტიის გავლენის დაბალანსებას შაჰობით?

¹²⁹ Rapp H. Stephan. Georgian Christianity: The Blackwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry. Chiechester. 2010. გვ. 148.

¹³⁰ უანენი რ. საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტ. VI, ნ. I, პარიზი. 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1996. გვ. 75.

¹³¹ თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI - XIII საუკუნეებში. თბ., 2015. გვ. 56.

თვალსაზრისით). ორმაგი იერარქია და მხოლოდ ერთი აღიარებული წესი, განსაკუთრებით კი ლათინური, მეტყველებს იმ გაყოფაზე, რაც მორწმუნეთა შორის მოხდა. საფიქრებელია, რომ მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან შეიძლება ვილაპარაკოთ, ერთი მხრივ, რომის ეპისკოპოსთანთანაზიარებაში მყოფ კათოლიკე ეკლესიაზე და, მეორე მხრივ, მის გვერდით არსებულ ისეთ კათოლიკე¹³² ეკლესიაზე, რომელიც რომის ეპისკოპოსთან სრულ თანაზიარებაში არ იმყოფება.¹³³ გარდა გაბრიელე ბრაგანტინისა გაყრის თარიღს XIV საუკუნეში ათავსებენ, თამაზ ბერაძე და მანანა სანაძე. მათ მიაჩნიათ, რომ განყოფა 1318 წელს უნდა მომხდარიყო.¹³⁴

ეს არის იმ შეხედულებებისა და ავტორების ჩამონათვალი, რომლებიც გვთავაზობენ მცხეთის წმინდა ტახტთან დაშორების საკუთარ ვერსიას. ჩვენ წინა პარაგრაფში მოკლედ უკვე შევხეთ ამ საკითხს, აქ კი შევეცდებით ჩვენი მსჯელობა უფრო განვავრცოთ.

გრიგოლ IX - ის 1240 წლის 13 იანვრით დათარიღებულ წერილზე საუბრისას შევნიშნავდით, რომ სავარაუდოდ სწორედ ამ იმედაცრუების (იგულისხმება მონღოლების წინააღმდეგ მარტო დარჩენილი საქართველოსთვის დახმარებაზე უარის თქმა მთელი რიგი მიზეზების გამო გ.ე.) შემდეგ უნდა დაწყებულიყო საქართველოს ეკლესიის დაშორება წმინდა ტახტისგან. ამ აზრს გვიმტკიცებს ზემოთ ციტირებული, 1245 წლის 25 ივლისით დათარიღებული ინოკენტი IV - ის წერილი საქართველოს პატრიარქისადმი, სადაც ეს უკანასკნელი ქართული ეკლესიის მეთაურს სთხოვს რომის ეკლესიასთან შეერთებას.¹³⁵ გავიხსენოთ, რომ იგივე გრიგოლ IX დედოფალ რუსუდანს 1240 წლით დათარიღებულ წერილში უწონებდა კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთების გადაწყვეტილებას. მაშინ ჩვენ პონტიფექსის სიტყვების ანალიზისას მასში ჩავდეთ არა ის შინაარსი, რასაც ხშირად გულისხმობენ, ანუ კათოლიკური დოგმატებისა და წესის აღიარება, არამედ პაპის პრიმატის მიღება, რასაც ისედაც არ უარყოფდა საქართველოს საერო და სასულიერო მესვეურები.

¹³² ტერმინ „კათოლიკეს“ განმარტებისთვის იხ. გაბრიელე ბრაგანტინი. კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. I. თბ. 2018. გვ. 22-23.

¹³³ გაბრიელე ბრაგანტინი. კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? გვ. 30-31

¹³⁴ ბერაძე თ. სანაძე მ. საქართველოს ისტორია. I. თბ. 2003. გვ. 193.

¹³⁵ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ., 1984. გვ. 88.

როგორც ვხედავთ, ხუთი წელი გავიდა და რუსუდანი ჯერაც არ „შეერთებია“ რომის ეკლესიას. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? მან ხომ თავად ითხოვა რომის „სულიერ სახლთან“ „შეერთება“? ნაკლებ სავარაუდოა ქართული ეკლესია რომისას ჯერ „შეერთებულიყო“ და შემდეგ კვლავ „გაყოფილიყო“ და ეს სულ რაღაც ხუთ წელში მოესწრო. უფრო დამაჯერებელია ვერსია, რომ ქართული ეკლესია არც „შეერთებია“ კათოლიკურს და არც „გაყოფილი“. მან ზუსტად იგივე პოზიციას შეინარჩუნა რომის მიმართ, რაც ჯერ კიდევ 1240 წლამდე ჰქონდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ „შეერთდა“ პაპის გულმხურვალე წერილის შემდეგ ქართული ეკლესია რომისას. ჩვენი აზრით, მონღოლებთან გაფორმებული ზავის შემდეგ ამის პოლიტიკური საჭიროება აღარ არსებობდა. შესაბამისად ურთიერთობა ზუსტად იმ სტადიაზე დარჩა, სადაც იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ საქართველო - რომის ურთიერთობაზე აუცილებლად აისახებოდა ის ფაქტი, რომ პაპმა გაჭირვების დროს დახმარების ხელი ვერ გამოუწოდა ქართველებს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მცხეთა მაშინვე ჩამოშორდა წმინდა საყდარს.

ჩვენი აზრით, 1240 წლიდან საქართველო - რომს შორის იწყება მსგავსი ურთიერთობა, როგორც ბიზანტია - რომს შორის იყო 1054 წლის შემდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ მცხეთის წმინდა ტახტთან დაშორების პროცესი უკვე დაწყებულია. რომი ცდილობს საქართველოს ეკლესიის შეერთებას, საქართველოს საეკლესიო თუ საერო მესვეურები კი გადაჭრით არც თანხმობას აცხადებენ და არც უარყოფენ ამ შემოთავაზებას. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ის უნდა იყოს, რომ საქართველოს დასავლეთში კვლავ რომი ესახება მოკავშირედ და არ სურს მასთან ურთიერთობის გაფუჭება.

პაპი ზრდის საქართველოში მისიონერების რაოდენობას. ჯერ კიდევ 1245 წელს ინოკენტი IV - მ აღმოსავლეთში მათ შორის საქართველოში გამოგზავნა მინორიტების ორდენის მონაზვნები. უკვე 1258 წელს პაპი ალექსანდრე IV (1254-1261) გზავნის ფრანცისკანელთა ორდენის წევრებს, როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავს იმავე ხანს საქართველოში დომინიკანელი ბერებიც წამოსულან.¹³⁶ თუკი დასავლეთში მისიონერები ძირითადად დაკავებულნი არიან საგანმანათლებლო - ზნეობრივ - მორალური

¹³⁶ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, 1902. გვ. 18.

ქადაგებებით, აქ, საქართველოში ცხადია ხდება კათოლიკობის ქადაგება, მაგრამ არა ქართული ეკლესიის საზიანოდ,¹³⁷ არამედ მონღოლთა უღელქვეშ მოქცეული ერთ-ერთ ყველაზე საიმედოდ მიჩნეული ქვეყნის განსამტკიცებლად. თავის მხრივ, საქართველომ თავისი ერთადერთი მოკავშირის წარმომადგენლებს, კათოლიკე მისიონერებს საშუალება მისცა თავიანთი საქმე გაეკეთებინათ.¹³⁸ მისიონერთა აქტიურმა საქმიანობამ ცხადი გახადა ის სხვაობები, რომლებიც არსებობდა დოგმატური თუ რიტუალური თვალსაზრისით საქართველოსა და რომს შორის.¹³⁹ მართალია, ამ სხვაობების გარშემო დავა არ დაწყებულა, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

მიუხედავად ამისა, საქართველო - რომის ურთიერთობა არასდროს დაძაბულა ისე, როგორც ეს ბიზანტია - რომის შემთხვევაში მოხდა. ამის უმთავრესი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ საქართველო არ ეცილებოდა პირველობაში და არ აყენებდა ეჭვქვეშ პაპის უზენაესობას. ამას ემატებოდა ქართველთა მხრიდან დავის შეუძლებლობის ის ფაქტორიც, რომ ბიზანტიის იმპერიის ადგილას უკვე ლათინთა იმპერია არსებობდა.¹⁴⁰

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება დოკუმენტი, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებსა და კათოლიკე მისიონერებს შორის დავას დაგვიდასტურებდა. სამაგიეროდ, გვაქვს ფაქტები, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს მიუთითებენ. საქართველოში კათოლიკე მისიონერების წარმატებაზე მიუთითებს აქ დაარსებული მონასტრები. მათ უკვე ჰქონდათ 60-იანი წლების შუა რიცხვებისთვის „წმინდა მარტინის ქართული მონასტერი“,¹⁴¹ რომლის არსებობასაც გვიმტკიცებს პაპის 1265 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი რჩევებს აძლევს კათოლიკე პატრებს შემდეგი

¹³⁷ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს მ. პაპაშვილი, რომ თუკი მისიონერთა აქტიური საქმიანობა გამოიწვევდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვას მაშინ მათი მოქმედებები აიკრძალებოდა. პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ. 160.

¹³⁸ პაპაშვილი მ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII-XV საუკუნეები.) ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში ისტორია და თანამედროვეობა. კრებ. I. თბ., 2013. გვ. 100.

¹³⁹ მაჭარაშვილი ტ. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია. კრებ: საისტორიო შტუდიები. თბ., 2000. გვ. 138.

¹⁴⁰ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ. 156-157.

¹⁴¹ პროფ. მ. პაპაშვილი შენიშნავს, რომ „წმინდა მარტინის ქართული მონასტერი“ სავარაუდოდ თბილისში უნდა ყოფილიყო. პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995. გვ. 86.

მუშაობისთვის.¹⁴² გარდა ამისა, მათ საქართველოში კიდევ ოთხი მონასტერი დაუარსებიათ. მათ შორის ორი თბილისში ყოფილა, ერთი კი - ახალციხეში.¹⁴³

აგრეთვე, მართალია, ლიონის უნიის (1274 წ.) მიმართ საქართველოს ოფიციალური პოზიცია არ ჩანს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია უნიის გაფორმებიდან სულ რაღაც 15 წლით დაშორებულმა ეპისტოლარულმა ძეგლმა. რომის პაპ ნიკოლოზ IV-ს საქართველოს კათალიკოსისთვის 1289 წლის 7 ივლისს გამოუგზავნია წერილი, სადაც ნათლად ჩანს პაპის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის მიმართ. ჩნდება ლოგიკური კითხვა. თუკი საქართველო ლიონის უნიის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი მაშ, რატომ მიმართავდა პაპი საქართველოს კათალიკოსს აბრაამ I - ს შემდეგ სიტყვებით: „*პაპი ნიკოლოზ მეოთხე პატიოსან ძმას, საქართველოს პატრიარქს.*“ „*მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.*“¹⁴⁴ პაპი საქართველოს კათალიკოსს ძმად მოიხსენიებს, რაც უეჭველად დიდი პატივისცემის ნიშანი უნდა იყოს. ამასთანავე, მას უთვლის მშვიდობასა და კურთხევას. აღსანიშნავია, წერილის შემდეგი მონაკვეთიც „...*იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით გინვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც, როგორც უკვე ვსთქვით, აღიარებს რომის ეკლესია... იმედი გვაქვს და დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზას, რადგან ამ წიგნის მომტანმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა, მინორიტების მონაზონმა ივანე მონთეკორბინელმა მოგვითხრა თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედება, რომლის მოსმენით განვიხარეთ.*“¹⁴⁵ ნიკოლოზ IV დარწმუნებულია, რომ მისი წერილი სათანადოდ შედევს გამოიღებს და ქართველთა პატრიარქის მხრიდან უყურადღებოდ არ დარჩება. ლოგიკურია, იგი ასეთი დარწმუნებული ვერ იქნებოდა თუ 1274 წელს ლიონის კრებაზე ჩვენ ბიზანტიელთა პოზიციას დავიცავდით და რომის წინააღმდეგ წავიდოდით. ამასთანავე, მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება წერილის კიდევ ერთი მონაკვეთი,

¹⁴² ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). თბ., 1984. გვ. 89-90.

¹⁴³ პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995. გვ. 87.

¹⁴⁴ თამარაშვილი მ. ისტორია კათალიკოსისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 19.

¹⁴⁵ თამარაშვილი მ. ისტორია კათალიკოსისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 20

რომელშიც საუბარია მინორიტების მონაზონის იოანე მონტეკორვინოს მონათხრობზე პაპისთვის. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მომენტმა, კერძოდ, პაპი ნიკოლოზ IV აღნიშნავს, რომ მან მეტად განიხარა იმ „მოქმედებებით“, რომლებიც ქართულ ეკლესიას გაუტარებია. ბუნებრივია, რომ პონტიფექსი ამ მოქმედებებში კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგოს არათერს იგულისხმებდა. როგორც ჩანს, ქართული მხარე, პირიქით, ხელს უწყობდა მისიონერთა თვართო მოღვაწეობას საქართველოში. ამაზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ თავად მინორიტი მონაზონი რომში ახალი მისიონერების ჩამოსაყვანად გამგზავრებულა.¹⁴⁶

ამავე ნიკოლოზ IV-მ წერილი საქართველოს მონარქებს - დემეტრე II-სა და დავით ნარინსაც გამოუგზავნა. ერთ მონაკვეთში ვკითხულობთ: *„ვინვეთ თქვენს ხელმწიფებას, რათა მიაქციოთ ყურადღება უფალს, შეუდგეთ ერთგულებით სარწმუნოებისა და საუკუნო ცხოვრების საქმესა; დაიცვათ მორწმუნებით ქრისტეს სჯული, გულმხურვალებით და მართლმკვეთელობით განაგრძოთ ეკლესიის ერთობა.“¹⁴⁷* განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წერილის ბოლო სიტყვები „განაგრძოთ ეკლესიის ერთობა“. ამ სიტყვების მნიშვნელობას თაქტობრივად ანულირებდა ისტორიკოსი გ. მაჭარაშვილი და აღნიშნავდა, რომ, მართალია, ეს სიტყვები ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს ამ დროს რომი და საქართველო ერთობას განაგრძობდნენ, მაგრამ თუ ყურადღებით გავეცნობით ნიკოლოზ IV - ის მიერ აბრაამ I - სთვის მიწერილ წერილს დავინახავთ, რომ არანაირი ერთობა არ არსებობდა და რაც არ არსებობდა ის ვერც გაგრძელდებოდა. წერილის ამგვარ განსხვავებას გ. მაჭარაშვილი პაპის დიპლომატიითა და მისი „ენადაშაქრულობით“ ხსნიდა.¹⁴⁸

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ამ სხვაობის უკან მხოლოდ პაპის დიპლომატია იმალება. პირველ რიგში, ვსვამთ შემდეგ კითხვას. თუკი, როგორც აღნიშნეთ, XIII საუკუნის პირველ ნახევარში პაპი თვლიდა, რომ უნიის საკითხი უნდა მოგვარებულიყო უშუალოდ

¹⁴⁶ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 21

¹⁴⁷ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 19

¹⁴⁸ მაჭარაშვილი გ. ლიონის უნია და საქართველო. თბ. 2007. გვ. 12-13

სახელმწიფო მონარქებთან, რა შეიცვალა ახლა? რატომ სწერს ნიკოლოზ IV წერილს როგორც დავით ნარინს და დემეტრე II თავდადებულს ასევე საქართველოს პატრიარქს - აბრაამ I-ს? რა შეიცვალა პაპის დიპლომატიკაში? და რატომ გახდა საჭირო უნიატურ პროცესებში სამღვდელოების ჩართვა საჭირო?

როგორც ჩანს, XIII საუკუნის პირველ ნახევარში პაპობის მიერ შექმნილი უნიატორული მოდელის გამოყენების ნაკლებად ეფექტურობამ პაპს უბიძგა დათქმულიყო და ახალ უნიატურ პროექტებში ჩაერთო მართლამადიდებელი სამღვდელოებაც. სწორედ, ამის შედეგად დაიწყო უნიის საკითხის შესახებ საეკლესიო კრებების მოწვევაზე მსჯელობა. მასზე განხილული უნდა ყოფილიყო როგორც კანონიკური, ასევე უნიის საღვთისმეტყველო ასპექტები.¹⁴⁹ შესაბამისად, რომმა საჭიროდ ჩათვალა მისიონერების ხელით წერილი გამოეგზავნა როგორც საერო ლიდერებისთვის, ასევე, სულიერი მეთაურისთვისაც. თანაც უფრო ვრცელი, ვიდრე იბერიისა და ქართველთა მეფეებისთვის.¹⁵⁰

რაც შეეხება წერილის შინაარსში არსებულ განსხვავებას, იგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ რომთან დაშორება არ მომხდარა 1240 წელსვე, არამედ ეს იყო გრძელვადიანი პროცესი. პაპი ზუსტად იგივე პათოსით სწერს წერილებს საქართველოს მესვეურებს, როგორც თავის დროზე რუსუდანს. საქართველო კვლავ აღიქმება კათოლიკეთა მხრიდან ქრისტიანული სამყაროს ნაწილად. ქართველებს არ ითვლებიან სქიზმატიკოსებად და ეს არ ხდება პაპის „ენადაშაქრულობის“ გამოისობით, არამედ იმით, რომ ჩვენ არ გვაქვს საღვთისმეტყველო დავები კათოლიკეებთან და ხელს არ ვუშლით მისიონერთა საქმიანობას.

მართალია, დასაწყისში ჩვენ ვახსენეთ, რომ მცხეთის რომთან დაშორება რაღაცით ჰგავდა, კონსტანტინეპოლისას - რომთან და ამაში, პირველ რიგში, სქიზმის დროში განწევასა და ურთიერთობის აღდგენის მცდელობებს ვგულისხმობდით, მაგრამ რეალურად მათ ბევრად მეტი განსხვავება ჰქონდათ.

¹⁴⁹ Маркевич августин. Униатство: богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. გვ. 30.

¹⁵⁰ იბერიელთა მეფედ მოხსენიებულია დავით VI ნარინი, ხოლო ქართველთა მეფედ დემეტრე II თავდადებული. თამარამელი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 19

პირველ რიგში, საქართველო - რომს შორის ურთიერთობას არასდროს მიუღია მტრული ხასიათი, რადგან ჩვენ შორის არ იდგა რომის მემკვიდრეობის საკითხი. ამასთანავე, საქართველოს რომთან აკავშირებდა მთავარი - სწორედ მისგან მიიღეს ქართველებმა ქრისტიანობა IV საუკუნეში. გაქრისტიანებულ საქართველოს პირველი იერარქიც სწორედ რომიდან დაუნიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში ქართული ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული არ წაშლილა ისტორიული მახსოვრობა. ამრიგად, ჩვენ შორის კავშირი ისეთივე ძველია, როგორც ქართული ეკლესია.¹⁵¹

მეორეც, თუკი XIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის იმედი არ უნდა გვექონოდა, რადგან იგი ლათინთა იმპერიამ ჩაანაცვლა, არც მიხეილ VIII პალეოლოგოსის თაოსნობით აღდგენილ იმპერიაზე დაყრდნობა შეგვეძლო, რადგან ის თავის მხრივ დახმარებას დასავლეთიდან მოელოდა. ამდენად, რომთან ურთიერთობის გაფუჭება ერთადერთ რეალურ მოკავშირესთან გზის მოჭრას ნიშნავდა.

ამრიგად, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ მცხეთის წმინდა საყდართან დაშორება დაიწყო 1240 წელს. ეს იყო პროცესი, რომელსაც განსხვავებით კონსტანტინეპოლი - რომის დაშორებისგან არ ახლდა დაპირისპირებები და განკვეთები. იგი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. რომის პაპი ცდილობდა, რომ კვლავ დაებრუნებინა საქართველო თავის სულიერ სახლში, რაზეც ქართველი მონარქები არც ცივი უარით პასუხობდნენ და არც ეთანხმებოდნენ, რადგან გადაჭრით უარის თქმა მოკავშირის დაკარგვას ნიშნავდა. საბოლოოდ, დაშორების პროცესი 1329 წელს დასრულდა, როდესაც თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო არსდება, თავისი ლათინური იერარქიით, მის მეთაურად კი ინიშნება იოანე ფლორენციელი. სავარაუდოდ, ამ პერიოდიდან დაიწყო ჯერ კიდევ მისიონერთა პირველი ჩამოსვლიდან დაწყებული კათოლიკეთა რაოდენობის ზრდა.¹⁵²

¹⁵¹ პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ. 1995. გვ. 60

¹⁵² თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI - XIII საუკუნეებში. თბ. 2015. გვ. 53

თავი III. XIV საუკუნის პირველი ნახევარი

§ 1. თეორიული ჯვაროსნული ლაშქრობის მიზანი

XIV-XV საუკუნეებში ეგვიპტე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქვეყანა იყო, რომელსაც შეეძლო წმინდა მიწის სათანადოდ დაცვა ჯვაროსანი სახელმწიფოებისგან. ამისთვის მას საკმარისად ჰქონდა როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები. *„ეგვიპტეზე გადიოდა ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო სავაჭრო გზა, ინდოეთიდან მენამულ ზღვამდე, სუეცამდე და კაირომდე, შემდეგ კი ხმელთაშუა ზღვის პორტებამდე“*¹⁵³. 1291 წლის 18 მაისს ჯვაროსანთა უმთავრესი დასაყრდენი სირიაში - სენ ჟან დ'აკრა დაეცა. მისი აღება უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა ჯვაროსნებისთვის. სწორედ ამის შემდგომ იწყება ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისთვის პროგრამების შედგენა.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ქუვეითის ხელოვნების კოლეჯის პროფესორი ჰაიათ ალ ნაჯი აკრას დაცემით მთავრდება ჯვაროსნული ლაშქრობების ერთი პერიოდი და იწყება ახალი ეტაპი. მის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს მრავალფეროვანი პროგრამები, რომელთა უმეტესობის მთავარი შემოქმედი საფრანგეთის მეფეა და რომლის საბოლოო მიზანსაც წმინდა მიწის განთავისუფლება წარმოადგენს.¹⁵⁴

მოცემული პარაგრაფის მიზანი ამ თეორიების მოკლე მიმოხილვა იქნება, რათა უფრო ნათელი გახდეს რა შეიცვალა რომის პაპების დიპლომატიკაში XIV საუკუნეში და როგორ აისახებოდა ეს საქართველოსთან ურთიერთობაში.

XIV საუკუნის დასაწყისში მთელს ევროპაში გავრცელდა სომეხი ბერისა და მწერლის ჰეიტონის პროგრამა, რომელმაც მაშინვე მოიპოვა დიდი წარმატება. იგი წარმოშობით კილიკიის სომეხთა სამეფოს მმართველი დინასტიის - ლამბრონიის დინასტიიდან იყო. 1307 წელს პაპ კლიმენტ V - ს მონოდების შემდეგ მან დაწერა თავის უმთავრესი ნაშრომი სათაურით - „Flos istorium terrae orientalis“, რომელიც ქართულად სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვაილი“. მასში

¹⁵³ აბდ ალ-ჰამიდ შარაფი. აღმოსავლეთ-დასავლეთის თოთხმეტსაუკუნოვანი ბრძოლა. ახალი ხედვა. არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ, თბილისი, 2019, გვ.61.

¹⁵⁴ Dr. Hayat Nasser Al – Hajji. The Crusading Deals During Fourteenth an Fifteenth Century, 1976. გვ. 35

გადმოცემულია ისტორია დაწყებული ქრისტედან, ვიდრე მის ეპოქამდე. მან თავისი დროისა და მოთხოვნების გათვალისწინებით პაპს შესთავაზა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის პროგრამა.¹⁵⁵ წიგნი დაყოფილია ოთხ ნაწილად. პირველ წიგნში საუბარია ინდოეთის, სომხეთის, საქართველოს და აზიაში მდებარე სხვა სამეფოების გეოგრაფიულ გარემო - პირობებზე. მეორე წიგნში მუსლიმების სახელმწიფოს შექმნაზე და გაძლიერებაზეა საუბარი. მესამე ნაწილში მოთხრობილია მონღოლთა ისტორია და მათი შემოსევები. ნაშრომის ბოლო ნაწილი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში განხილულია მონღოლთა შესაძლო ალიანსი ქრისტიანულ სამყაროსთან, რათა შედგეს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა წმინდა მიწის გასათავისუფლებლად.¹⁵⁶

მას შემდეგ რაც ჰეიტონმა მიმოიხილა აზიის გეოგრაფია, ისტორია, სარკინოზების დაპყრობები და მათი მემკვიდრეები, დასვა კითხვა: როდის უნდა წავიდნენ ჯვაროსნები მტრების წინააღმდეგ საომრად და წმინდა მიწის გასათავისუფლებლად. მან თავადვე უპასუხა ამ კითხვას და აღნიშნა: „*ღმერთმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ახლა შესაფერისი დროა იმისთვის, რომ წმინდა მიწა მტრებისგან განთავისუფლებულ იქნას.*“¹⁵⁷ თავისი შეხედულების გასამყარებლად ისიც დაუმატა, რომ ქრისტიან მეფეებსა და მთავრებს მშვიდობა ჰქონდათ ერთმანეთში, ხოლო მონღოლების გამოჩენამ და მათთან განცდილმა მარცხმა მტრები აღრინდელთან შედარებით დაასუსტა. უფრო მეტიც მონღოლების აქტიურობამ მათ დააკარგვინათ ყველა სარკინოზი მთავარი, რომელიც სულთანს ეხმარებოდა. ყველა ისინი მკვდრები არიან, მხოლოდ ერთი მარდინის სულთანი დარჩა და ისიც დაემორჩილა მონღოლებს. აქედან გამომდინარე, ჰეიტონი ვერ ხედავდა უკეთეს დროს ეგვიპტეზე შესატევად, რადგან მხოლოდ ასე შეიძლებოდა წმინდა მიწის დაბრუნება ყოველგვარი საფრთხისა და ტკივილის გარეშე.¹⁵⁸

ჰეიტონის თეორიის მიხედვით, სრულიად შესაძლებელია მონღოლებთან ალიანსი და საერთოდაც ყველასთან ვისთანაც ქრისტიანები მოინდომებენ. ამ ალიანსის შედეგად

¹⁵⁵ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la défaite de Nicopolis. University Montréal. 2012. გვ.15

¹⁵⁶ Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. Translated by Robert Bedrosian. New Jersey. 2004. გვ. 7-55

¹⁵⁷ Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. გვ. 50

¹⁵⁸ Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. გვ. 50

ჯვაროსნები სამხედრო დახმარებას მიიღებენ დაკარგული მიწების გასათავისუფლებლად. მონღოლებთან შესაძლო ალიანსი სარკინოზების სამხედრო შესაძლებლობებმა და ჯვაროსნების სისუსტემ გამოიწვია. ჰეიტონს სწამდა, რომ ახალი ლაშქრობა, რომელშიც დასავლეთიც მიიღებდა მონაწილეობას მონღოლების ინტერესებშიც შედიოდა.¹⁵⁹

მის ამ ფიქრებს ამაყრებდა ისიც, რომ მონღოლთა ყაენს ოლჯათუს (1304-1316) თავად მიუწერია ჯვაროსნებისთვის და ეგვიპტის წინააღმდეგ დახმარებას შეჰპირებია. ჰეიტონი კლიმენტი V - ს მიმართავს, ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ მან არასაკმარისად განათლებულმა პაპს რჩევა შეჰკადრა. მიუხედავად ამისა, მაინც ბედავს და ურჩევს მას, რომ გამოიყენოს მომენტი, რადგან შეიძლება ოლჯათუს შემდგომ ტახტზე ისეთი ყაენი ავიდეს, რომელიც მუჰამედის გზას გაჰყვება და სარკინოზებს დაუზავდება.¹⁶⁰

ჰეიტონის აზრით, ომში მოკავშირეებს პრობლემები შეექმნებოდათ იმ შემთხვევაში თუ ეგვიპტის სულთანი ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება აღმოჩნდებოდა. თუ იგი შეძლებდა დაემორჩილებინა ნუბიელები და ეგვიპტელი ბედუინები. მტრის უპირატესობებს ისიც ემატებოდა, რომ მათ არ ჰქონდათ მომარაგებასთან დაკავშირებით პრობლემები. ვინაიდან სახმელეთო და საღვათო გზები დაცული იყო შეიძლებოდა ნებისმიერი საჭირო რამ შემოეტანათ უცხო ქვეყნებიდან. მეორეს მხრივ, თუ ნილოსის წყლის რაოდენობა არსაკმარისი აღმოჩნდება ეგვიპტეში შიმშილი დაისადგურებს და მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდება სირიაში გადავიდეს, ამისთვის მათ მოუწევთ თავიანთი ცხენების გაყიდვა. თუ ამას დაემატება ნუბიელებთან, ეგვიპტელებთანა და მონღოლებთან ომიც ქრისტიანებს შეეძლებათ იერუსალიმის გამოხსნა.¹⁶¹

ჰეიტონისეულ ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმაში, რომლის მიზანიც წმინდა მიწის გამოხსნა იყო, საქართველოს როლიც იყო გათვალისწინებული. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, იგი ურჩევდა: „თუკი თქვენი უწმინდესობა ნებას დამრთავს, კიდევ ორი

¹⁵⁹ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la défaite de Nicopolis. გვ. 15-16

¹⁶⁰ Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. Translated by Robert Bedrosian. გვ. 50

¹⁶¹ Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. Translated by Robert Bedrosian. გვ. 50-51

წინადადება მექნება. პირველი ისაა, რომ თქვენმა უწმინდესობამ ქართველთა (ეს ქრისტიანი [ხალხია] და შესაძლოა ყველა სხვა ერზე მეტად ერთგულებენ წმინდა მიწის სინწინდეთა მომლოცველობას) მეფეს მისწეროს დაეხმაროს და შეენიოს მომლოცველებს, რათა მათ კვლავაც მოილოცონ წმინდა მიწა. ჭეშმარიტად მნამს, ღვთისა და თქვენი უწმინდესობის ღვთისმოსაობის გულისთვის, ისინი თქვენს ნაბრძანებს აღასრულებენ. ვინაიდან მართლმორწმუნე ქრისტიანები არიან და ძალმოსილნიც, მამაცი მებრძოლეები და სომხეთის მეზობლად ცხოვრობენ.¹⁶²

ფრანგმა პუბლიცისტმა პიერ დიუბუამ, რომელიც რამდენიმე პოლიტიკური პამფლეტის ავტორია, დანერა ნაპრომი „De recuperatione Terre Sancte“. იგი ევროპას სთავაზობდა წმინდა მიწის კოლონიზაციას, რომელშიც განსაკუთრებული როლი ქალებს ეკისრებოდათ. სამხედრო თვალსაზრისით იგი ახალს არათვერს ამბობდა. როგორც მისი წინამორბედები, ჯერ ეგვიპტის დაპყრობისკენ მოუწოდებდა ჯვაროსნებს, რის შემდეგაც წმინდა მიწის გათავისუფლება უფრო გამარტივდებოდა. გარდა სამხედრო და დემოგრაფიული მიზნებისა, ჯვაროსნულ ლაშქრობას უნდა ჰქონოდა ეკონომიკური მიზნებიც. ხმელთშუა ზღვა უნდა გადაქცეულიყო ქრისტიანულ ტბად. არაბები დასავლელ ქრისტიანებთან ერთად მშვიდობის გარანტორები უნდა გამხდარიყვნენ ამ რეგიონში. წმინდა მიწის მფლობელობა დამყარებული უნდა ყოფილიყო ეკონომიკურ რეგულაციებზე.¹⁶³

პიერ დიუბუა მოუწოდებდა ფილიპე IV ლამაზს შეეცმნა აღმოსავლეთის იმპერია თავისი ვაჟისთვის, თავად კი დარჩენილიყო საფრანგეთში და მიეხედა იქაური საქმეებისთვის. მისი აზრით, ახალი სამეფოს შემადგენლობაში შეიძლება შესულიყო ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანა, მათ შორის ეგვიპტეც, რომლის დაპყრობასაც იგი მარტივად თვლიდა მას შემდეგ, რაც მისი სანაპირო დაუცველი აღმოჩნდებოდა.

ჰაიათ ალ ნაჯი სამართლიანად შენიშნავს, რომ თავისი შეხედულებებით პიერ დიუბუა ჰგავს მის თანამედროვე რაიმონ ლულს, რომელიც წმინდა მიწის ათვისებას იქ სკოლების

¹⁶² Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. Translated by Robert Bedrosian. გვ. 53

¹⁶³ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. გვ. 16 - 19

დაარსებით ფიქრობდა, სადაც შეისწავლიდნენ ლათინურ ენას კათოლიკური წესის შესანარჩუნებლად. გარდა ლათინურისა, სკოლებში შეისწავლიდნენ ბერძნულსა და არაბულს, რათა სქიზმატიკოსებსა და მუსლიმებს უფრო გაადვილებოდათ კათოლიკეობაზე მოქცევა.¹⁶⁴

XIV საუკუნის დასაწყისში თეორიული ჯვაროსნული ლაშქრობის კიდევ ერთი შემოქმედი იყო მარინო სანუტო უფროსი (სანუდო) ტორსელო წარმოშობით მდიდარი ვენეციური ოჯახიდან. იგი დაახლოებით 1260 წელს უნდა დაბადებულიყო, მისი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ნაშრომს, რომელშიც იგი წმინდა მინის გათავისუფლების საკუთარ ვერსიას სთავაზობდა იმდროინდელ ევროპას ეწოდება: „Liber Secretorum Fidelium Crucis“, რომელიც სიტყვასიტყვით ქართულად ითარგმნება როგორც „ჯვრის ერთგულთა საიდუმლოებების წიგნი.“

მარინო სანუტოს მიხედვით, ჯვაროსნული ლაშქრობა წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევდა, როდესაც ევროპა ეგვიპტეს ეკონომიკურ ომში დაამარცხებდა. რა თქმა უნდა, კომერციულ ომში უდიდესი როლი ვენეციას ენიჭებოდა. რეალურად სანუტოს გეგმა მიზნად ისახავდა ეგვიპტის გადაქცევას ვენეციის კოლონიად, რათა საზღვაო რესპუბლიკას გზა გახსნოდა ინდოეთთან სავაჭროდ.¹⁶⁵

ავტორი იმას თუ რატომ არ შედგა აქამდე ჯვაროსნული ლაშქრობა წმინდა მინის გამოსახსნელად „მწუხრის ომით“ ხსნიდა. 1303 წელს მონღოლთა ყაენ ყაზანთან გაგზავნილ წერილში სანუტო ადანაშაულებდა მწუხრის ომის მონაწილეებსა და ედვარდ I - ს, რადგან ისინი ჩართულნი იყვნენ ერთმანეთთან ომში და არ ფიქრობდნენ უპირველესი მტრის - ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრებაზე.¹⁶⁶

აშკარაა, რომ მისი ნაშრომი ვენეციელების განდიდებას ემსახურებოდა. ამ უკანასკნელთა გარეშე მას სარკინოების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა ვერ წარმოედგინა. მათი მონაწილეობის არგუმენტად მოჰყავდა როგორც ისტორიული და გეოგრაფიული მიზეზები, ასევე ვენეციელების სანაოსნო შესაძლებლობები. სანუტო იყო

¹⁶⁴ Dr. Hayat Nasser Al – Hajji. The Crusading Deals During Fourteenth an Fifteenth Century, გვ. 40

¹⁶⁵ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. გვ. 21

¹⁶⁶ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 179

ღრმად მორწმუნე ადამიანი და განსწავლული ლათინურ ქრისტიანობაში. მას უსიტყვოდ სჯეროდა პაპის ავტორიტეტის, ამიტომაც თვლიდა, რომ ისინი ვინც არ ემორჩილებოდნენ პაპის ქადაგებებს სავაჭრო ემბარგოს შესახებ სქიზმატიკოსები იყვნენ.¹⁶⁷

მარინო სანუტო სთხოვდა პაპს შეეგროვებინა 15 ათასიანი ქვეითთა არმია და 300 კავალერისტი, რათა დაეპყროთ ეგვიპტე. იმისთვის, რომ თავისი პროექტის რეალურობაში დაერწმუნებინა პაპს წარუდგინა სანდო პიროვნება, რომელიც მოახერხებდა მონღოლებთან დაკავშირებას. ამ უკანასკნელთ პარალელურად უნდა შეეციათ სირიისთვის. მართალია, „Liber Secretorum Fidelium Crucis“ პაპ იოანე XXII-ს წარუდგინა და მისი მონონებაც დაიმსახურა, მაგრამ პონტიფექსს არანაირი დაპირება ან ბრძანება მის შესასრულებლად არ გაუცია. რეალურად იგი კარგად იაზრებდა, რომ სანუტოს გეგმა განუხორციელებელი იყო.

მარინო სანუტო თავისი პროექტით არ ყოფილა ნოვატორი და მისი წინადადებები არ იყო იმ ეპოქისთვის ახალი. იგი უკვე არსებულ ტრადიციას აგრძელებდა, რომლის მიხედვითაც, უნდა მომხდარიყო ალიანსი აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან და მონღოლებთან.¹⁶⁸

გარდა პოლიტიკური ჩანაწერებისა, აგრეთვე გვაქვს მისიონერული ნაშრომებიც, რომელთა ავტორებიც გამოირჩევიან ეკლესიურობით. მათთვის ჯვაროსნული ლაშქრობები არ მოიცავს მხოლოდ სამხედრო ნაწილს, არამედ ეს არის საზოგადოების სულიერი მისწრაფება. მათგან აღსანიშნავია: რაიმონ ლული, გიომ დ'ადამი და ბურკარდი.

რაიმონ ლული წარმოშობით მაიორკის სამეფოდან იყო. იგი თავისი ღრმის გამოჩენილ პოეტად, ფილოსოფოსად, მათემატიკოსად და მწერლად ითვლება. გარდა ამისა, ლული ფლობდა აღმოსავლურ ენებსაც, მათ შორის არაბულსაც, რომელიც აღმოსავლეთში მისიონერული საქმის შესრულებას უადვილებდა. არაბულთან ერთად იგი ფლობდა ებრაულსაც, რომელიც მან ისწავლა ევროპის განათლების ცენტრებში:

¹⁶⁷ The Book of the Secret of the Faithful of the Cross. Liber Secretorum Fidelium Crusis. Trans by Peter Lock. Ashgate. 2011. გვ. 10-11

¹⁶⁸ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. გვ. 21

პარიზში, ბოლონიაში, სალამანკასა და ლონდონში. მისი ნაშრომია „Liber de fine”, სადაც იგი აყალიბებს წმინდა მიწის დაბრუნების საკუთარ პროგრამას.

რაიმონ ლულმა წარმოადგინა ჯვაროსნული ლაშქრობის იდეალისტური პროექტი, სადაც ომს მუსლიმებთან მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული. მთავარი წმინდა მიწის დასაბრუნებლად არა იარაღი, არამედ მისიონერული საქმიანობა იყო. ურწმუნოები ნელ-ნელა მისიონერთა მუშაობის შედეგად უნდა დაკავშირებულიყვნენ ქრისტეს სიტყვას. მისი აზრით, მისიონერთა საქმიანობას ურწმუნოები სიხარულით უნდა შეგებებოდნენ. მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა წავიდეს ხალხი ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ქრისტეს სიყვარულია. ლული თვლიდა, რომ პაპებისა და კარდინლების როლი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების დროს სამხედრო საკითხების მოგვარება იყო. უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობა კი მამა ღმერთს ჰქონდა, რომლის შემწეობითაც არაძალადობრივი საშუალებებით უნდა მოექციათ ურწმუნოები ჭეშმარიტ რწმენაზე.¹⁶⁹

გარკვეულწილად რაიმონ ლული სწორედ მისიონერთა ცუდ მუშაობას აბრალებდა ყაზან ყაენის მიერ მონღოლთა სახელმწიფო რელიგიად ისლამის გამოცხადებას. ახლო აღმოსავლეთში ლულის ყოფნის დროს მან შეიტყო ჭორები, რომ ყაზან ყაენს სურდა ჭეშმარიტი ცოდნის მიღება ქრისტიანობაზე. სწორედ იმიტომ, რომ მან ვერ მიიღო შესაბამისი ინფორმაცია, ის გახდა მუსლიმი.¹⁷⁰

რაიმონ ლული პაპობის მთავარ იარაღს ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების საქმეში - ქადაგებებს, ინდულგენციებს, ფინანსურ დაინტერესებას, არ მიესალმებოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თეორია განსხვავდება მისი თანამედროვეების ნაშრომებისაგან, როგორც იდეური თვალსაზრისით ასევე განხორციელების გზებითაც.¹⁷¹

დომინიკანელი ბერი გიიომ ადამი იყო კლიმენტი V-ის მისიონერი სპარსეთში, ხოლო 1314-1317 წლებში სმირნის ეპისკოპოსი. იგი 1318 წელს გახდა სულთანის არქიეპისკოპოსი. 1316-18 წლებში მან დაწერა ნაშრომი „De modo Sarracenos extirpandi”,

¹⁶⁹ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. გვ. 22 -23

¹⁷⁰ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 176

¹⁷¹ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. გვ. 24

რომელშიც მან წარმოადგინა ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტი. მასში წმინდა მიწის განსათავისუფლებლად შემუშავებული იყო ოთხი ძირითადი პუნქტი:

1. ჯვაროსნებს უნდა გაენადგურებინათ „ცუდი ქრისტიანები“, რომლებიც სულთანს ეხმარებოდნენ ჭეშმარიტი ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. ქრისტიანებს უნდა აეღოთ კონსტანტინეპოლი და აქ ბერძნული დომინაცია ჩაენაცვლებინათ ლათინურით. უნდა აღინიშნოს, რომ გიომ ადამი ბიზანტიელების მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი და ამას არც მალავდა თავის ნაშრომში. მათ ისევე როგორც სარკინოზებს, მტრებად თვლიდა, რადგან ბიზანტიის იმპერატორს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სულთანთან. კონსტანტინეპოლთან დაკავშირებით ადამი შენიშნავდა, რომ ის ისევე ქრისტიანებმა უნდა დაიკვან. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები მუდმივად მტრობდნენ დასავლელებს. საჭიროა მათი დაპყრობა და ეკლესიების გაერთიანება. მისი შეფასებით ეს იქნება უძლები შვილის დაბრუნება დედასთან.

3. ჯვაროსნები უნდა დაუკავშირდნენ მონღოლთა ხანს, რათა შეიტყონ მისი პოზიცია სულთანთან მიმართებაში. უარყოფითი განწყობის შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მათი ჩართვა ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართულ ალიანსში. თათართა ჩაბმით ანტიეგვიპტურ კოალიციაში ჯვაროსნები უფრო დარწმუნებულები იქნებიან საკუთარ წარმატებაში.¹⁷²

4. საბოლოოდ, ქრისტიანებმა უნდა დაიკავონ ეგვიპტე, რათა გზა გაჭრან ინდოეთისკენ. საღზავო ბლოკადა იზოლაციაში მოაქცევს მტრებს, რაც გზას გაუნთავისუფლებს ჯვაროსნებს წმინდა მიწისკენ. წითელ ზღვაში გემების განთავსება უნდა დავალებოდათ გენუელებს, როგორც ყველაზე რისკიან მეზღვაურებს.¹⁷³

ერთი შეხედვით სწორედ ჩამოყალიბებული გეგმა მაინც უტოპიური იყო, რადგან კომერციული თვალსაზრისით იგი წამგებიანი იყო როგორც ხმელთაშუაზღვის სავაჭრო ქალაქებისთვის, ასევე ახლო აღმოსავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოებისთვის. გიომ ადამის პროგრამის მიხედვით, ერთადერთი მოგება, რაც შეიძლება „ცუდ ქრისტიანებს“ ენახათ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობიდან ეკონომიკური იყო.

¹⁷² Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 24-26

¹⁷³ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 294

მთავარი ნაკლი, რაც გიომ ადამის მიერ შემუშავებულ პროექტს ჰქონდა მონინაალმდეგეთა ძალების მინიმალიზაცია იყო, რომელიც ერთის მხრივ, დასავლელთა ენთუზიაზმის ზრდას იწვევდა, მეორეს მხრივ, კი სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა.¹⁷⁴

გიომ ადამი ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველების მოკავშირეობაზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა, ვინაიდან მან კარგად უწყობდა თუ როგორი მებრძოლები იყვნენ ქართველები.¹⁷⁵ 1318 წელს, როდესაც იგი საუბრობდა მონღოლთა მიერ ეგვიპტელ მამლუქებზე მოპოვებულ გამარჯვებებზე აღნიშნავდა, რომ მათ გვერდით მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველებიც.¹⁷⁶

კიდევ ერთი გამორჩეული დომინიკანელი მისიონერი, რომელმაც საკუთარი თეორია შესთავაზა მაშინდელ ევროპას იყო ბურკარდი. მან დაწერა ნაშრომი: „Directorium ad passagium faciendum“. ბურკარდმა იმოგზაურა ბიზანტიის იმპერიაში, აფრიკასა და აღმოსავლეთში. მან თავისი ნაშრომი მიუძღვნა ფილიპე VI ვალუას, რომელიც თავადაც იყო ჯვაროსნული ლაშქრობის იდეით დაინტერესებული იმდენად, რომ თავისი პროექტის კი შეადგინა. მაშინდელი ევროპა წმინდა მიწის გათავისუფლებაში მთავარ როლს სწორედ საფრანგეთის მეფეს აკისრებდა. ბურკარდის აზრით, მხოლოდ საფრანგეთის მეფეს ჰქონდა ძალები, რათა დაემარცხებინა თურქები, ეგვიპტელები, არაბები და სხვა მტრები. მას ჰქონდა ღმერთისგან ნაკარნახევი წმინდა ამოცანა. ერთის მხრივ, წმინდა მიწიდან გამოედევნა სარკინოზები. მეორეს მხრივ, დაეცვა წმინდა მიწაზე არსებული სინდინდები. ეს მიწა დაკავებული ჰქონდათ უღმერთოებს, რომლებთანაც არანაირი მოლაპარაკება არ ჭრიდა. ისინი აწამებდნენ და ანადგურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ამიტომაც ბურკარდი მათ სატანის მსახურებს უწოდებს.

ბურკარდის პროგრამაში დიდი დატვირთვა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასაც. ბერძნების დაცვის გარეშე იერუსალიმის აღება გაჭირდებოდა. მისი გეგმა ითვალისწინებდა სქიზმატიკოსი ბიზანტიელების გაერთიანებას კათოლიკეებთან. ყველაზე დიდი კავშირი, რაც ჯვაროსნებს შეეძლოთ ჰქონოდათ ბიზანტიის იმპერიასთან პოლიტიკური იყო.

¹⁷⁴ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la défaite de Nicopolis. გვ. 26-27

¹⁷⁵ Mamuka Tsursumia. Couched Lance and Mounted Shock Combat in the East The Georgian Experience. Journal of Medieval Military History: Vol. XII. 2014. გვ. 108

¹⁷⁶ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 185

ბურკარდი, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველი იყო ვინც გაიაზრა ოსმალთა დამარცხების მნიშვნელობა წმინდა მიწის გათავისუფლების საქმეში. მიუხედავად ამისა, მას ძალზედ დაკნინებულად წარმოედგინა მათი სამხედრო შესაძლებლობები.¹⁷⁷

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული თეორიების საფუძველზე ვასკვნით შემდეგ: სენ ჟან დ'აკრის დაცემის შემდეგ ევროპაში მაშინვე დაიწყო ფიქრი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებაზე, რომლის საბოლოო მიზანიც წმინდა მიწის დაბრუნება უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, მთავარი მიზნის გვერდით იყო ეკონომიკური თუ რელიგიური ინტერესებიც: სავაჭრო მონოპოლიის მოპოვება, ეკლესიების გაერთიანება და მუსლიმთა მოქცევა კათოლიკობაზე. მიუხედავად ამისა, ყველა ამ პროექტის ამოსავალი წერტილი იერუსალიმის გამოხსნა იყო ეგვიპტის ბატონობისგან. ახალი პროექტების თანახმად, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ როგორც კათოლიკურ სახელმწიფოებს, ასევე აღმოსავლეთის ქრისტიანებსა და მონღოლებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ისლამი მიღებული.

აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს. ამაზე მიუთითებს აკრას დაცემიდან სულ რამდენიმე თვეში პაპ ნიკოლოზ IV - ის მიერ გამოგზავნილი წერილი ქართველი მეფეებისადმი.¹⁷⁸ წერილში ვკითხულობთ: „... მუდამ მზრუნველნი ქრისტიანების საკეთილდღეოდ, დიდად ვნატრობთ და ვცდილობთ ღვთის შემწეობით წმინდა ადგილების ხელმეორედ დახსნას; ამასვე უნდა ნატრობდნენ და ცდილობდნენ ყველა კათოლიკე ხელმწიფენი და მთელის ქვეყნის მთავრებიც; ეს საღვთო საქმე, რომელიც შეეხება მთელს ქრისტიანობას, უნდა იყოს მათი პირველი საზრუნველი, და შეწევნითა ღვთისათა, უნდა ხმარობდნენ ყოველ საშუალებას მის კეთილად დასაბოლოებლად. ამიტომ იესო ქრისტეს სახელით და მისის პატივისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფეებს, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით

¹⁷⁷ Bonta Cornel. La croisade tardive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. გვ. 27-30

¹⁷⁸ იგულისხმება დემეტრე II, რომელიც პაპს ისევ ცოცხალი ჰგონია და დავით VI ნარინი.

და ევრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანების სასიქადულოდ და თქვენ საუკუნო გასაბედნიერებლად. იმედი გვაქვს, ამ საქმეში ყველანაირი საშუალება მიიღოთ და გულმოდგინებით ეცადოთ, რათა საუკუნო ბედნიერების ღირსნი შეიქმნეთ; ჩვენც უფლისამიერ მუდამ ვაქებთ თქვენს მოსწრაფებას და მეცადინეობას.¹⁷⁹ წერილის ბოლოს საუბარია პონტიფექსის მიერ გამოგზავნილ მინორიტების ორდენის წარმომადგენელ ორ მონაზონზე - გილემ დე კიეროსა და მატეო თიატინელზე. სწორედ ამ უკანასკნელთ ზეპირად უნდა გაეცნოთ ქართველთა მეფეებისთვის ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა.¹⁸⁰ როგორც ვხედავთ, პაპს ჯერ არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ამ დროს დემეტრე II გარდაცვლილი იყო და ჯვაროსნულ ლაშქრობაში ვერ წავიდოდა. რაც შეეხება დავით VI ნარინს, ის დასავლეთ საქართველოს შემომტკიცებისათვის ჯერ კიდევ იბრძოდა და არ შეეძლო წმინდა მინაზე წასასვლელად საკუთარი სახელმწიფოს უპატრონოდ მონღოლებისთვის დატოვება. საბოლოოდ, ევროპაში ერთმანეთში გაჩაღებულმა დაუსრულებელმა ომებმა ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება კიდევ რამდენიმე ათეული წლით გადადო მომავლისთვის.

რაც შეეხება მონღოლთა ჩართვას ჯვაროსნულ ლაშქრობებში, მათი დაპყრობების სანყის ეტაპზე, როდესაც ისინი ლათინურ მიწებს დაემუქრნენ, არ განიხილებოდა მათთან თანამშრომლობა. მას შემდეგ რაც მონღოლთა იმპერია ულუსებად დაიშალა, ყაენმა ჰულაგუმ და მისმა მემკვიდრეებმა საჭიროდ მიიჩნიეს მამლუქთა წინააღმდეგ დასავლეთთან მოლაპარაკებების დაწყება, რასაც პაპობა და კათოლიკე მეფეები მოწონებით შეხვდნენ. ასე დაიწყო ჯერ კიდევ 1262 წელს მიმონერა დასავლელ მონარქებსა და მონღოლთა ყაენებს შორის.

1262 წლის აპრილში ჰულაგუ ყაენმა საფრანგეთის მეფეს ლუი IX-ს წერილი გაუგზავნა, სადაც აცნობებდა, რომ ის ეგვიპტეზე თავდასხმას აპირებდა და მოუწოდებდა ფრანგული ფლოტი დაეხმარებინა, რომელიც თავის მხრივ მამლუქების სახელმწიფოს საზღვაო ბლოკადას მოუწყობდა. ილხანთა ყაენმა ცალკე წერილი გაუგზავნა პაპ ურბან IV-ს,

¹⁷⁹ თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ. 491

¹⁸⁰ პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. გვ. 88

რომელმაც ეს წერილი დიდი სიფრთხილით მიიღო, რადგან დასავლეთს ჯერ კიდევ არ სჯეროდა მონღოლთა მხრიდან გამოვლენილი კეთილგანწყობის. პონტიფიქსი მათ კვლავ ისეთივე მტრებად რაცხდა, როგორც მამლუქებს.

პაპ ურბან IV-ის მემკვიდრე კლიმენტი IV-ის პერიოდში ხდება იმის გააზრება, რომ მონღოლთა მოკავშირეობა ეგვიპტის სულთან ბეიბარსის წინააღმდეგ შესაძლებელია. ჰულაგუ ყაენის პოლიტიკას მისი შვილი აბალაც აგრძელებდა და კვლავ აწარმოებდა მიმოწერას როგორც პაპთან, ასევე დასავლელ მეფე-მთავრებთან. როგორც პ. ჯექსონი აღნიშნავს, აბალას მხრიდან ასეთი აქტიურობა შეიძლება განპირობებული ყოფილიყო იმით, რომ 1268 წელს მამლუქებმა ანტიოქია დაიპყრეს. ამის პარალელურად კი ლუი IX - მა და მისმა ძმამ სიცილიის მეფე შარლ ანჟუელმა ჯვარი მიიღეს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობითვის. სამწუხაროდ, თავად საფრანგეთის მეფე შავი ჭირით გარდაიცვალა და ტუნისიდან ლაშქრობა მხოლოდ მომავალმა ედვარდ I - მა გააგრძელა და დაუკავშირდა მონღოლებს. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ მათი მოქმედებები შეთანხმებული იქნებოდა, მაგრამ მონღოლებმა პირველივე შეტაკების შემდეგ უკან დაიხიეს. პრინცი ედვარდი იძულებული გახდა 1272 წელს პალესტინიდან უკან დაბრუნებულიყო. აბალა ხანმა შემდგომშიც გააგრძელა დაწყებული მოლაპარაკებები, მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მისი ძმის ტახტზე ასვლით.

თოგუდანმა ისლამი მიიღო, რაც კათოლიკურ ევროპასთან კავშირის განწყვეტას ნიშნავდა, ხოლო ეგვიპტესთან მოლაპარაკებების დაწყებას. მისი აზრით, მამლუქებს მუსლიმი დამპყრობლის ძალაუფლების აღიარება უფრო არ გაუჭირდებოდათ. თოგუდანის პოლიტიკა აბალას ძემ არღუნმა კვლავ შეცვალა და დაუბრუნდა მამამისის პოლიტიკას დასავლეთთან მიმართებაში. მისი მმართველობის პერიოდში ოთხი დელეგაცია გაიგზავნა დასავლეთში. ყაენის მეოთხე დელეგაცია ჯერაც ევროპაში იმყოფებოდა, როდესაც პაპმა ნიკოლოზ IV - მ აკრას დაცემის შესახებ შეიტყო. პაპმა ყაენტან სასწრაფოდ გააგზავნა დესპანი და მოუწოდა მიეღო ქრისტიანობა და ერთად

გათავისუფლებინათ წმინდა მიწა, მაგრამ სანამ ეს წერილი ილხანთა საყაენოში ჩააღწევდა არღუნი მანამ გარდაიცვალა.¹⁸¹

ამდენად, როგორც ვხედავთ, 1262 წლიდან აკრას დაცემამდე მონღოლებსა და დასავლეთ კათოლიკურ სამყაროს შორის მუდმივი კონტაქტი არსებობდა. ეგვიპტის სულტანატის წინააღმდეგ იგვემებოდა ერთობლივი სამხედრო კამპანიები. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, რომ საკუთრივ კათოლიკური სახელმწიფო - ვენეცია აწარმოებდა სავაჭრო ურთიერთობებს ეგვიპტესთან და სულაც არ ფიქრობდა წმინდა მიწის გათავისუფლებაზე.

XIV საუკუნის ბევრ თეორეტიკოსთან შევხვედებით ეგვიპტის ეკონომიკური ბლოკადის გეგმას, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაეუძღურებინა ეგვიპტე და შედარებით მარტივი გაეხადა მისი დამარცხება. ამ გეგმის ნაწილი იყო ეგვიპტეზე დაწესებული ემბარგოც. რომელმაც შემდეგ თავში შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ, რათა ვაჩვენოთ კონტრასტი ჯვაროსნული ლაშქრობის იდეის მოღალატე კათოლიკეებსა და მუდამ ერთგულ მოკავშირე - საქართველოს შორის. რომლის დახმარების იმედიც შაჰობას მუდმივად ჰქონდა.

§ 2. იოანე XXII-ის აღმოსავლური პოლიტიკა და ქართულ - რომაული ეკლესიათა უნიის საკითხი

მიუხედავად დასავლეთში შექმნილი მრავალრიცხოვანი თეორიებისა, სადაც დაწვრილებით იყო განწერილი მოძრაობის მარშუტი, აღჭურვილობა, დაფინანსება და ჯვაროსნული ლაშქრობისთვის საჭირო სხვა დეტალები, ვერცერთი მათგანის განხორციელება ვერ მოხდა. რისი უმთავრესი მიზეზიც ევროპელი მონარქების განსხვავებული მისწრაფებები იყო.

ავინიონელი პაპების თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე XXII აღმოსავლური პოლიტიკის წარმოებისას აქცენტს ორ ძირითად ასპექტზე აკეთებდა. პირველ რიგში, მისი მიზანი აღმოსავლეთით მისიონერული მოძრაობის გაფართოება იყო, რომლის

¹⁸¹ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. გვ. 165-169

საბოლოო შედეგადაც მონღოლების ქრისტიანობაზე მოქცევა წარმოედგინა. მეორე მხრივ, კი პაპი კვლავ მიისწრაფოდა აღმოსავლეთში მოკავშირეების შექმნისა და ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისაკენ, რათა საბოლოოდ მოელო ბოლო ეგვიპტის სასულთნოსათვის.

ნაშრომის მოცემულ პარაგრაფში შევეცდებით საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით იოანე XXII-ის აღმოსავლური პოლიტიკის რეალური მიზნებისა და შედეგების განხილვას. ამასთანავე, აქცენტს გავაკეთებთ რომის მხრიდან ეკლესიათა უნიის წინადადებაზე, რასაც ემატებოდა მანამდე უპრეცედენტო ფაქტი. პაპი საქართველოს წმინდა საყდართან დაბრუნების სანაცვლოდ, სურვილის შემთხვევაში, მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევას ჰპირდებოდა, რაც თვალნათლივ მიუთითებს საქართველოს გაზრდილ ავტორიტეტზე. ამავე პარაგრაფში შევეცდებით, ვაჩვენოთ საქართველოს როლი ავინიონელი პაპის აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების საქმეში და გამოვკვეთოთ ის პლიუსები, რომლებიც, თავის მხრივ, ექნებოდათ ქართველებს კათოლიკეთა მიზნების განხორციელების შემთხვევაში.

პირველ რიგში, საინტერესოა ვნახოთ, თუ რა როლი ენიჭებოდა საქართველოს ავინიონელი პაპის მიერ აღმოსავლეთში წარმართებს შორის მისიონერულ საქმიანობაში. პაპობამ ჯერ კიდევ XIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო მისიონერების გამოგზავნა საქართველოში. პირველები აქ ფრანცისკანელთა მონაზვნები მოვიდნენ, რომელთა მიზანსაც კათოლიკობის ქადაგება წარმოადგენდა *„იმათთანაც, ვინც არ ცნო უფალი და მის ნეტარ სახელს ამოდ არ მოიხსენიებს.“*⁴⁸² მალე საქართველოში ჩამოდიან დომინიკანელი მონაზვნებიც. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა საჭირო იყო ტერიტორიულად არც თუ ისე დიდ საქართველოში ორი ორდენის გამოგზავნა? რა მიზნები ამოძრავებდათ პაპებს, როდესაც ჩვენთან მისიონერთა რაოდენობას გამუდმებით ზრდიდნენ? აშკარაა, რომ ისინი მხოლოდ ქართველების კათოლიკურ რწმენაზე დასაბრუნებლად არ იყვნენ მოვლენილნი.

¹⁸² ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს). გვ.185

ამის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტის გახსენება და ერთმანეთთან დაკავშირება. 1240-იანი წლების მიწურულს ევროპაში გავრცელდა ხმები, რომ მონღოლებს ერთი ღმერთის სწამდათ, მათი მეთაურები კი ქრისტიანები იყვნენ, ან ქრისტიანობის მიმართ კეთილგანწყობილნი. ამან გზა გაუხსნა ლათინ მისიონერებს - დომინიკანელებსა და ფრანცისკანელებს პროზელიტიზმისაკენ. ამას დაემატა ილხანთა მხრიდან დასავლეთ კათოლიკურ სამყაროსთან თანამშრომლობის სურვილი. ამრიგად, ორივე მხრიდან არსებობდა კოლაბორაციის სურვილი, რომელსაც საერთო მტრის (ეგვიპტის სასულთნო გ. ე.) წინააღმდეგ ბრძოლა განაპირობებდა.¹⁸³ პირველი მისიონერები, რომლებიც 1253-1254 წლებში ლუი IX -ის დავალებით მონღოლებთან წავიდნენ იყვნენ ვილემ რუბრუკი და ბართლომე კრემონელი. მათ გარდა მონღოლებში ქრისტიანობის ქადაგებისა, დავალებული ჰქონდათ ამ უკანასკნელთა ჩართვა ანტიეგვიპტურ კამპანიაში. როგორც ვხედავთ, მისიონერების ძირითადი დავალება აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელება და დასავლეთის პოლიტიკური მიზნების ხელშეწყობა იყო.

ფრანცისკანელებმა დომინიკანელებზე ადრე მოიკიდეს ფეხი როგორც ილხანთა საყაენოში, ასევე ოქროს ურდოშიც. 1298 წლის შემდგომ მათ მიაღწიეს კაფას, რომელიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გენუელთა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა. კაფა გახდა ორივე ორდენის დასაყრდენი ოქროს ურდოში წარმართული ქადაგებისთვის. რაც შეეხება ილხანთა საყაენოს, მათ ასეთი ცენტრები 1270 იან წლებში სივასში, სალმასსა და თავრიზში ჰქონდათ, დომინიკანელებს კი - სივასსა და ბალდადში.¹⁸⁴

1295 წელს ილხანთა ყაენმა ყაზანმა ისლამი მიიღო, რითაც ევროპამ დაკარგა მოკავშირე ეგვიპტის სულთანატის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ იგივე ყაზან ყაენი და მისი მემკვიდრე ოლჯაითუც ცდილობდნენ არ გაეფუჭებინათ ურთიერთობა კათოლიკე დასავლეთთან, რელიგიური სხვაობა, ჩვენი აზრით, მაინც სერიოზულ დაღს ასვამდა მათ ურთიერთობას. განსაკუთრებით ეს აისახებოდა ნდობის ფაქტორზე. ილხანთა საყაენოს კათოლიკეობაზე მოქცევის საქმეში დიდი წვლილი უნდა შეეტანათ

¹⁸³ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. გვ. 256

¹⁸⁴ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. გვ. 257-258

მისიონერებს, რომლებსაც მთავარ დასაყრდენად არღუნ ყაენის მიერ დაარსებული ქალაქი - სულთანიე იქცა, რომელიც 1318 წელს ჰაჰმა იოანე XXII - მ ის არქიეპარქიად გამოაცხადა. მისი ბულა - *Redemptor noster* 1318 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა. სულთანიეში პირველ წინამძღოლად დომინიკანელი ფრანცისკე პერუჯელი (ფრანკე და პერუჯა¹⁸⁵) დაინიშნა.¹⁸⁶ იმავე 1318 წელს მიხეილ თამარაშვილის ცნობით ჰაჰ იოანე XXII - ს საქართველოშიც გამოუგზავნია ფრანცისკანელი და დომინიკანელი მონაზვნები კათოლიკობის გასავრცელებლად. კლიმეტი V - ს 1307 წელსაც გამოუგზავნია „ბლომათ“ მისიონერები.¹⁸⁷ მისიონერთა მომძლავრება საქართველოში ილხანთა შემდგომ ოქროს ურდოში დაწყებულ ისლამიზაციის პროცესს უნდა დავეკავშიროთ. ამ მოვლენის შესაჩერებლად საჭირო იყო აღმოსავლეთში დიდი რაოდენობით მქადაგებლის თავმოყრა და მათ მიერ კათოლიკური სიტყვის გავრცელება. საქართველოში მყოფ ფრანცისკანელებსა და დომინიკანელებს მიზნად არამარტო საქართველოში რომის სარწმუნოების გავრცელება, არამედ ოქროს ურდოს ისლამიზაციის პროცესის შეჩერება და მათი კათოლიკეებად მოქცევაც ექნებოდათ.

როგორც ვხედავთ, XIV საუკუნის დასაწყისში, როცა ოქროს ურდოს ისლამიზაციის პროცესი ცხადი გახდა ჰაჰობამ ამ ტერიტორიაზე გააძლიერა მისიონერული საქმიანობა.¹⁸⁸ როგორც ერთ - ერთი მისიონერის ჩანაწერებიდან ირკვევა, ადგილობრივი სუფიები მათ საქმიანობას წინააღმდეგობას არ უწევდნენ, სანამ ფრანცისკანელებმა საჯაროდ არ დაიწყეს მუსლიმური რელიგიის ლეგიტიმურობის უარყოფა.¹⁸⁹ აქვე გაჩნდა იმის შესაძლებლობაც, რომ ფრანცისკანელ მონაზვნებს კათოლიკობა მომთაბარეებს შორისაც ექადაგათ.¹⁹⁰ საკუთარი როლის გააზრებამ ფრანცისკანელ მამებს შეუქმნა იმის საფუძველი, რომ გაეზვიადებინათ საკუთარი მისიონერული საქმიანობის მიღწევები, რათა

¹⁸⁵ ჰაჰაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. გვ. 91

¹⁸⁶ გაბრიელე ბრაგანტინი. კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? გვ. 27-28

¹⁸⁷ თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ. 28

¹⁸⁸ Хаутала Р. Письма францисканцев из Золотой Орды: сведения латинских источников о религиозной политике хана Узбека (1312/13 – 1341). *Rossica Antiqua*. 2014. №1. გვ. 82-83

¹⁸⁹ Аннинский С. А. Известия венгерских миссионеров XIII-XIV вв. о татарах и восточной Европе// Исторический архив. М. Л. 1940. №3. გვ. 91, 109

¹⁹⁰ Аннинский С. А. Известия венгерских миссионеров XIII-XIV вв. о татарах и восточной Европе. გვ. 92-93

დასავლეთიდან სხვა ძმების ჩამოსვლისათვის სტიმული მიეცათ და მათთვის მომავალი მისიონერული საქმიანობისათვის ხელსაყრელი სამყარო შეეთავაზებინათ.¹⁹¹ ამ ფაქტების გათვალისწინებით გვააქვს მყარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თრანციკანელთა ორდენის ჩვენთან დაფუძნება მომავალში საქართველოს ჯუჩის ულუსში კათოლიკობის გავრცელების ბაზად ქცევას ემსახურებოდა. მისიონერული საქმიანობა ოქროს ურდოში დაკისრებულ ამოცანას უფრო მარტივად შეასრულებდა თუ მასში ქართული სახელმწიფო თავის წვლილს შეიტანდა. მსგავსი პერსპექტივა (იგულისხმება ოქროს ურდოს გაკათოლიკება გ.ე.) ქართულ მხარეს სიამოვნებით უნდა მიეღო, რადგან საქმე ეხებოდა მონღოლთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას. ეს აზრი მით უფრო სარწმუნო გახდება თუ აქვე მოვიყვანთ ერთ-ერთი მისიონერის, იოგანკას სიტყვებს, რომელიც წერდა: „თათრებს უყვარდათ ქრისტიანები, ხოლო სარკინომებს ვერ იტანდნენ და სდევნიდნენ.“¹⁹²

საქართველოს მნიშვნელობის გააზრებას როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობისთვის, ასევე ოქროს ურდოს ისლამიზაციის პროცესის შესაჩერებლად შედეგად მოჰყვა პაპის აქტიური უნიატორული პოლიტიკის განახლება, რომელიც კარგა ხანს იყო მივიწყებული. სწორედ ამ პოლიტიკის განახლების ნიშანი უნდა ყოფილიყო 1322 წლის 15 ოქტომბერს, პაპ იოანე XXII - ის მიერ მიწერილი წერილი საქართველოს მეფისათვის. მასში პაპი არ საუბრობს და არ მოუწოდებს გიორგი ბრწყინვალეს ეგვიპტის წინააღმდეგ ორგანიზებულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისკენ. მიუხედავად ამისა, ამ წერილის გააზრება პოლიტიკური მოტივების გარეშე მაინც არ შეგვიძლია. იოანე XXII - ისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართველებთან კიდევ ერთხელ მოსინჯოს ბედი და მათი კათოლიკურ სამწყსოში დაბრუნება სცადოს. რეალურად კი ამ მცდელობის უკან, როგორც უკვე ვთქვით, უფრო დიდი პოლიტიკური მიზანები იმალება: პაპს სურს წმინდა მიწის დასაბრუნებლად აღმოსავლეთში საქართველოს სახით კიდევ ერთი ჯვაროსანი ქვეყნის რომის საყდართან შეერთება. წერილში ვკითხულობთ: „... უდიდეს ტკივილსა და

¹⁹¹ Аннинский С. А. Известия венгерских миссионеров XIII-XIV вв. о татарах и восточной Европе. გვ. 91-92, 109 - 110

¹⁹² Аннинский С. А. Известия венгерских миссионеров XIII-XIV вв. о татарах и восточной Европе. გვ. 93

მღელვარებას განვიცდით, რაკი ვხედავთ, რომ ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი მონყვეტილია მისი მეთაურისაგან; ... ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალ ქრისტესთვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას და ნაკლებად მნიშვნელოვნად არ ჩათვალოთ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში უფლის შთაგონებით და ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით ვაკეთებთ. ეს მორჩილი ძმები დაკავებულნი არიან თქვენი და თქვენის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ხალხთა განათლებით, წმინდა საღვთო წერილის ავტორიტეტის დახმარებით, რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ“.¹⁹³ პაპი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ საქმისგან იგი არ ელის არანაირ სარგებელს, არც ჩვენი დამცირება ან „პატივის აყრა“ სურს, არამედ მხოლოდ ჩვენი პატივისთვისა და ამაღლებისთვის იღწვის.

ამ წერილში, გარდა იმისა, რომ იოანე XXII მოუწოდებს გიორგი ბრწყინვალეს კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებისკენ, ასევე აღსანიშნავია ორი გარემოება. პირველი: პაპი ქართველთა სურვილის შემთხვევაში თანახმაა მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევაზე: „... თუ თქვენ წამოგვიყენებთ საბაბს, რომ ეს შეუძლებელია საყოველთაო კრების გარეშე, ჩვენ გიპასუხებთ: კეთილგანწყობით ვუყურებთ ასეთი კრების მოწვევას თქვენთვის და თქვენგან ახალშეძენილთათვის; მზად ვართ თქვენი რწმუნებულები და დესპანები პატივითა და გულითადობით მივიღოთ.“¹⁹⁴ საინტერესოა, რა არის ამის მიზეზი? რატომ მიდის პაპი ასეთ „დათმობაზე“ საქართველოსთან მიმართებაში?

ერთადერთი ახნა, რომელიც შეიძლება ამ ფაქტის მოვუძებნოთ, პაპ იოანე XXII - ის აღმოსავლურ პოლიტიკის აღსრულებაში საქართველოს უდიდესი როლის მნიშვნელობაზე გადის. ვფიქრობთ, სწორედ ამის გამო მიდის პაპი მსგავს „დათმობაზე“, რადგან თუ ქართველები დაინახავენ პაპის გულწრფელობას მაშინ კურიას აღმოსავლეთში გარანტირებულად ეყოლება მოკავშირე როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ასევე მონღოლთა მოსაქცევად წარმართულ საქმიანობაში. „თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ლიონის უნიის შემდეგ აღმოსავლეთში წმინდა ტახტისთვის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავისი მნიშვნელობით კონსტანტინეპოლის

¹⁹³ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 203-207

¹⁹⁴ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 208

ადგილს იკავებდა.¹⁹⁵ საქართველოს მნიშვნელობაზე მიუთითებს, პაპის სიტყვები თუ როგორ აღნიშნავენ ისინი საქართველოს წმინდა საყდართან დაბრუნებას: „... მოვანწყობთ ქრისტეს მიერ საყოველთაო ლხინს ყველა მორწმუნესათვის და აღფრთოვანებით და სიხარულით გამოვაცხადებთ, რომ კათოლიკური ეკლესია დაუბრუნდა რა თავის თავდაპირველ მშენიერებას...“¹⁹⁶

მეორე, პაპი არ თვლის საჭიროდ უნიის საკითხზე მოსალაპარაკებლად გამოგზავნოს „საეკლესიო პრელატები ან სხვა დიდებული პირები“, რადგან მინორიტები (ფრანცისკანელები გ.ე.) არიან სამღვდლო აღქმის დიდი ხნის გამოცდილების მქონენი და საღვთო წერილში განსწავლულები. პაპი საქართველოს მესვეურებს ავალებს, რომ კარგად მოუსმინონ და დაუჯერონ მის მიერ გაგზავნილ მონაზვნებს. აგრეთვე, უბრუნველყონ მათი მშვიდობიანი მოგზაურობა, რათა ჩააღწიონ თათრებამდე და „მათ იქით მცხოვრები ხალხებისაკენაც განაგრძონ გზა.“¹⁹⁷ მინორიტი ძმების მიმართ გამოცხადებული ამხელა ნდობა მხოლოდ ერთ რამეზე უნდა მიუთითებდეს. პაპს სწამს, რომ ისინი თავს გაართმევენ დაკისრებულ მოვალეობას. ამ რწმენას კი საქართველოში მათ მიერ მიღწეული წარმატებები უმტკიცებს. კერძოდ, როგორც ვიცით, ზოგიერთმა ქართველმა ამ დროს კათოლიკეობა მიიღო და აქ მოღვაწე მისიონერებთან ერთად ამ საქმიანობაში ჩაება.¹⁹⁸ ამის ნათელი მაგალითი დემეტრე ტფილეელია. იგი 1320 წლის დეკემბერში თაბრიზიდან გაემგზავრა ხან - ბალიკისკენ სამ ფრანცისკანელ და ერთ დომინიკანელ ბერთან ერთად. მათი მიზანი მთავარეპისკოპოსი ჯოვანი მონტეკოვრინოსთვის დახმარების აღმოჩენა იყო. 1321 წლის 9 აპრილს სალსეტეს კუნძულის ქალაქ თანაში დემეტრე ტფილეელი მონაშეობრივად აღესრულა.¹⁹⁹

¹⁹⁵ პაპაშვილი მ. ჯვაროსნული ლაშქრობების თეორიული პროექტები და საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომათა კრებული. № 15. თბ. 2018. გვ. 116

¹⁹⁶ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 208

¹⁹⁷ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 208-209

¹⁹⁸ პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. გვ. 92 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. გვ.31

¹⁹⁹ ვურაკი კარლო. დემეტრე ტფილეელი, წამებული თანაში (ინდოეთი). კრებ: კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში. №1. თბ. 2018. გვ. 33-34

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება გიორგი ბრწყინვალის საპასუხო წერილი. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია, მეფემ მინორიტი მონაზვნები კარგად მიიღო. სწორედ ამით იყო განპირობებული იოანე XXII-ის გადაწყვეტილება, რომ ოსმალებისგან შევიწროვებული კათოლიკური ეკლესიის ცენტრი სმირნადან თბილისში გადმოეტანა. ამ გადაწყვეტილების მიზეზს თავად პაპი შემდეგნაირად ხსნიდა იოანე ფლორენციელისადმი მიწერილ წერილში: „ამერიდან, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების, ღვთაებრივი კულტის საზღვრების გართობისა და ასევე სხვა გონივრული მოსაზრებით, ჩვენი მორჩილი ძმების რცევით და ჩვენი სამოციქულო უფლებამოსილებით, საქართველოს სამეფოს დიდებულ ადგილს - თბილისს ჩვენ ავამაღლებთ საეპისკოპოსო ქალაქის რანგამდე...“²⁰⁰ გარდა ქართველთა მხრიდან კათოლიკე მისიონერების მიმართ გამოვლენილი კეთილგანწყობისა და სხვა რელიგიური მომენტებისა, ამ მოქმედების უკან იყო სხვა მიზეზიც, რომელზეც ვრცლად საუბრობს პროფ. მ. გაბაშვილი. იგი აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრის სმირნიდან თბილისში გადმოტანას ეკონომიკური, კერძოდ კი სავაჭრო მიზეზით ხსნის. მისი აზრით, XIV საუკუნის I ნახევარში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თავრიზსა და ტრაპიზონზე გამავალმა სავაჭრო მაგისტრალმა, თბილისი კი ამ მაგისტრალის მნიშვნელოვანი საკვანძო წერტილი იყო. ამრიგად, რომს ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე კათოლიკური ეკლესიის ცენტრი გადმოაქვს იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელიც ამ დროს აკონტროლებდა ტრაპიზონის საგარეო საქმეებს და ამავე დროს აწარმოებდა აქტიურ პოლიტიკას აღმოსავლეთის მიმართულებითაც.²⁰¹

თუკი აღმოსავლეთ საქართველოში არ შეგვიძლია დაბეჭითებით ვისაუბროთ კათოლიკეთა მიმართ მმართველი წრეებისა და სამღვდელოების დამოკიდებულებაზე წყაროების მოშველიებით, საბედნიეროდ, დასავლეთ საქართველოს შემთხვევაში მსგავსი წყარო მოგვეპოვება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ საუკუნის პირველი ნახევარი მწირია უცხოური წყაროებით. აქედან გამომდინარე, ერთიორად იზრდება

²⁰⁰ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს.). გვ. 213

²⁰¹ გაბაშვილი მ. რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში? ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია. №1. თბ. 2003. გვ. 33 - 39

ცხუმის კათოლიკეთა ეპისკოპოსის - პეტრე გერალდის 1330 წლით დათარიღებული ლათინურენოვანი წერილის მნიშვნელობა. მისი ქართულენოვანი თარგმანი გამოქვეყნებული აქვს ვ. კიკნაძეს. წერილის ადრესატები კენტერბერიის არქიეპისკოპოსი და ინგლისის სხვა ეპისკოპოსები არიან. მასში ვკითხულობთ: „... კვირაობით, რომელიმე ლარიბი ქართველისაგან შეწირულებას ვიღებ. ასე ვატარებ ამ ცხოვრებას. მეორე მხრივ, ამ ქვეყნის მბრძანებელი, რომელიც მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის, (მამია დადიანი გ.ე.) მზად არის მთელი თავისი ლაშქრით, დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად გასალაშქრებლად. იგი ასე იქცევა: რომაული ეკლესიისადმი მორჩილებასა, კათოლიკობის მიღებაზე და სარწმუნოების ერთიანობაზე თანახმაა. აქაურ კათოლიკეებს სასაფლაოც მისცა. მიუხედავად ქართველთა ორი სამეფოს (ზოგიერთი) ჩეულებისა, აქ ვარდაცვლილ კათოლიკეს არ ასხვავებენ სქიზმატიკოსისაგან, მაგრამ თვით კათოლიკენი ვერ შეეგუვნენ სქიზმატიკოსებს და (მიცვალებულებს მათი), სასაფლაოს გარეთ მარხავენ...“²⁰². აქედან კარგად ჩანს დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეების დამოკიდებულება კათოლიკური ეკლესიისა და კათოლიკეთა მიმართ. როგორც ვხედავთ, მამია დადიანი თანახმა ყოფილა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა, გამხდარიყო კათოლიკე და ხელი შეეწყო უნიისათვის. მიუხედავად ამისა, იგივე წერილში ნათლად ჩანს მოსახლეობისა და სამღვდელოების დამოკიდებულებაც, რასაც კეთილგანწყობილს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ. პეტრე გერალდი კენტერბერიის არქიეპისკოპოსთან ჩიოდა, რომ სქიზმატიკოსი ქრისტიანები არაფერში „არ უგონებდნენ“. სამღვდელოებას არ მოსწონდა, რომ მამია დადიანმა კათოლიკეებს სასაფლაო დაუთმო. „...ამის გამო იმდენად გაიზარდა შფოთი, რომ კათოლიკე ლათინთა მიერ სასაფლაოს შუაგულში აღმართული ჯვარი ამოვლიჯეს და აგრეთვე ლათინთა მიერ აღმართული 15 საფლავის ქვა დაამტვრიეს. ლათინელებმა ხელახლა აღმართეს ისინი. აქაურმა სქიზმატიკოსებმა, მღვდლებმა და ხალხმა, სარკინობთა და იუდეველთა ხელის შეწყობით, მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები) სქიზმატიკოს ეპისკოპოსთა - ეპისკოპოსთან წაიღეს.“²⁰³ როგორც ჩანს, დასავლეთ

²⁰² კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. „მნათობი“. 1982. №9. გვ.157

²⁰³ კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 157

საქართველოში უნიას მმართველი წრეები უფრო დადებითად ხვდებოდნენ, ვიდრე სამღვდელთა და ხალხი.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, იოანე XXII-ის მიერ გამოთქმული სურვილი მიღწეული ყოფილიყო უნია საქართველოსა და რომს შორის დაკავშირებული იყო მის მიერ დაგეგმილი ჯვაროსნული ლაშქრობის აღსრულებასთან.²⁰⁴ მის ამ ინიციატივას აღმოსავლეთ საქართველოში ნაკლები ენთუზიაზმით შეხვდნენ, რის მიზეზსაც, პირველ რიგში, უნიის საჭიროების არქონა წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ XIV საუკუნეში ჯვაროსნულ ლაშქრობებთან დაკავშირებით არაერთი თეორია შეიქმნა, თავად მის ორგანიზებას საშველი არ დაადგა. 1291 წლის შემდეგ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვიპირეთში ჯერ კიდევ პირველმა ავინიონელმა პაპმა კლიმენტი V-მ დაგეგმა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ინიციატივით 1309 - 1310 წლებში წამოწყებული ლაშქრობა წარმატებით განხორციელდა. პონტიფექსის გეგმის თანახმად, ლაშქრობის ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე ჰოსპიტალიერთა ორდენის დიდ მაგისტრს - ფულკ დე ვილარეტსა და პაპის ლეგატს უნდა აეღოთ. თეორიულად საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზი საორგანიზაციო თუ ფინანსური საკითხების უზრუნველყოფაში უნდა ყოფილიყო ჩართული, თუმცა რეალურად იგი მინიმალურ როლს ასრულებდა ლაშქრობის ორგანიზება - მიმდინარეობაში. ფაქტობრივად ლაშქრობა გარდაიქმნა პაპისა და ჰოსპიტალიერების პროექტად. ამას არაერთი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, ის, რომ მასში მონაწილეობას ნაკლებად იღებდნენ საერო პირები. ამასთანავე, ლაშქრობის მონაწილეები სახსრების ნაკლებობას განიცდიდნენ.²⁰⁵ მართალია, პაპმა მის დასაფინანსებლად 300 000 ფლორინი შეაგროვა, მაგრამ ეს თანხა საკმარისი მაინც არ იყო ლაშქრობისთვის საჭირო ხარჯების დასაფარად. კლიმენტი V - მ დახმარებისთვის კვიპროსსა და სომხეთსაც მიმართა, რათა ისინი ჯვაროსნებს შესწოდნენ ფულითა და სამხედრო რესურსით.²⁰⁶ საბოლოოდ, ექსპედიცია მაინც დაიწყო 1310 წელს ბრინდისიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი

²⁰⁴ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ. 210

²⁰⁵ Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. Clarendon Press. Oxford. 1986. გვ. 15-16

²⁰⁶ Dr. Hayat Nasser Al - Hajji. The Crusading Deals During Fourteenth an Fifteenth Century. გვ. 33

საბოლოო დანიშნულება თავიდანვე ბუნდოვანი იყო. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ჰოსპიტალიერებმა ლაშქრობას მიმართულება შეუცვალეს და გამოიყენეს თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად როდოსზე.²⁰⁷ კლიმენტი V - ის მეორე მცდელობა, გაეგზავნა ჯვაროსნები წმინდა მიწის დასაბრუნებლად, ასევე წარუმატებელი გამოდგა. ამის მიზეზი დასავლელი რაინდებისა და არისტოკრატების მხრიდან უფრო ტურნირებით დაინტერესება გახლდათ, ვიდრე რეალური ომით.²⁰⁸ მიუხედავად ამისა, ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა დავინწყებას არ მისცემია და კურია კვლავ განაგრძობდა მოკავშირეების ძებნას აღმოსავლეთში. უნიის შემოთავაზება იოანე XXII-ის მიერ სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

ამასთანავე, როგორც წინა პარაგრაფის დასასრულს აღვნიშნეთ, პაპის ანტიეგვიპტურ პოლიტიკას აღმოსავლეთში უფრო მტკიცე დამცველი ჰყავდა საქართველოს სახით, ვიდრე დასავლეთში. ამის თქმის საფუძელს გვაძლევს სავაჭრო ქალაქების (ვენეცია, გენუა და სხვა) მოღალატური ქმედებები. ისინი პაპის დაწესებულ ემბარგოს არ ემორჩილებოდნენ და ეგვიპტესთან აკრძალული საქონლით გაცვლა - გამოცვლას აწარმოებდნენ. ამის მაგალითად მოვიყვანო ვენეციას, რომელიც დიდწილად ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული.

XIV საუკუნეში მუსლიმებისთვის ემბარგოს დაწესების იდეა ახალი სულაც არ იყო. ის ბევრად უფრო ადრე გაჩნდა, თუმცა აკრას დაცემამდე ცოტა ხნით ადრე კიდევ ერთხელ წამოაყენა ფიდენციო პადუელმა. ამჯერად ემბარგო უნდა დაეწესებინათ ეგვიპტისთვის. აკრძალვა უნდა გავრცელებულიყო იმ საქონელზე, რომელიც განსაკუთრებით პრობლემური იყო ეგვიპტეში. ეს იყო: რკინა, კალა და სხვა მეტალები. ასევე, ხე - ტყის მასალა, ზეთი, თაფლი და რაც მთავარია მონები. ამაზე ჯერ კიდევ აკრას დაცემამდე საუბრობდა პაპი ნიკოლოზ IV, რომელმაც 1289 წლის 28 დეკემბერს გამოცემული ბრძანებით აღექსანდრიასა და ეგვიპტის დანარჩენ ქალაქებში მუსლიმებთან რკინითა და ხე - ტყის მასალით ვაჭრობა აკრძალა. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, პონტიფიკატების

²⁰⁷ Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. გვ. 16

²⁰⁸ Setton M. Kenneth. The Papacy and the Levant (1204-1571). Vol. I. The Thirteenth and Fourteenth Centuries. Philadelphia. 1976. გვ.179. შენიშვნა 72

ეს ბრძანებები ხდებოდა შერჩევითი, რის გამოც ემბარგოს მიზანი, მიეყენებინა ეგვიპტისთვის ეკონომიკური ზიანი, აღუსრულებელი რჩებოდა. სელექციურობის ნათელი მაგალითია იმავე ნიკოლოზ IV-ის მიტევება იერუსალიმის პატრიარქისათვის, რომელიც ეგვიპტესთან ვაჭრობას აწარმოებდა.

სენ ჟან დ'აკრის დაცემის შემდეგ პაპების გამოცემული აკრძალვები ბევრად უფრო მკაცრი ხდება. მაგალითად, ნიკოლოზ IV - მ, ამ ფაქტიდან სულ რამდენიმე თვეში, 1291 წლის 13 აგვისტოს გამოსცა ბრძანება, რომელიც განსაკუთრებით ვენეციასა და გენუას ეგვიპტესთან ვაჭრობას უკრძალავდა. ამ შემლუდვას უნდა ემოქმედა ათი წლის განმავლობაში, მაგრამ პაპის სიკვდილს მისი გაუქმება მოჰყვა. შემდეგმა პაპმა, ბონიფაციუს VIII-მ ემბარგოს ხასიათი შეცვალა და მას ყოველ ექვს თვეში ანახლებდა. წინამორბედისაგან განსხვავებით, ის უფრო მკაცრი იყო აკრძალვის აღსრულებასთან მიმართებაში და ყველას ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა, ვინც ეგვიპტესთან ვაჭრობას გააჩალებდა.²⁰⁹

ემბარგოს შერჩევითობა განსაკუთრებით გამოჩნდა ავინიონელი პაპების დროს. 1308 წელს კლიმენტი V გამოსცა ბულა, რომლითაც იგი კრძალავდა ვაჭრობას ეგვიპტესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა. ვაჭრობაზე შემლუდვა განსაკუთრებულად ვრცელდებოდა პიზაზე, გენუაზე, ანკონასა და ვენეციაზე. გენუელები არ ემორჩილებოდნენ პაპის ბრძანებას რის გამოც 1311 წელს კლიმენტი V-მ მისწერა და შეახსენა, რომ ემბარგოს წესები მათაც უნდა შეესრულებინათ. მიუხედავად ამისა, 1317 წელს იოანე XXII ჩიოდა, რომ გენუელები კვლავ განაგრძობდნენ ვაჭრობას და ამარაგებდნენ სულტანს ქრისტიანი მონებითა და სხვა აკრძალული საქონელით. არც ვენეცია იცავდა ბულით გათვალისწინებულ აკრძალვებს, რადგან ისინი თითქმის მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი ვაჭრობაზე. 1302 წლიდან მოყოლებული, როდესაც მათ ხელშეკრულება დადეს სულტანთან, 1322 წლამდე ისინი უწყვეტად აწარმოებდნენ გაცვლა - გამოცვლას ეგვიპტესთან. მათ გახსნილი ჰქონდათ პორტები სირიაშიც. 1322 წელს იოანე XXII-მ ლეგატები გაუგზავნა ვენეციას, რათა მათ გამოეცხადებინათ ყველა იმ

²⁰⁹ Stefan K. Stantchev. Embargo: The origins of an idea and the implications of a Policy in Europe and the Mediterranean. ca. 1100 – ca. 1500. Univeristy of Michigan. 2009. გვ. 176 - 193

ვენეციელის ეკლესიიდან განკვეთა ვინც უპრობლემოდ ვაჭრობდა ალექსანდრიაში. ვენეციელებმა, რომლებიც განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიდნენ კლიმენტი V-ის დროს, გადანყვიტეს დათმობაზე წასვლა და მომდევნო წელს აკრძალეს პირდაპირი ვაჭრობა ეგვიპტესთან. ემბარგოს მოქმედების პერიოდში ვენეცია ვაჭრობას ძირითადად არაპირდაპირი გზებით აწარმოებდა კრეტის, სომხეთისა და კვიპროსის მეშვეობით. ასევე ჰქონდა ალტერნატიული სავაჭრო ბაზრები ტანასა და ტრაპიზონშიც, თუმცა 1343 წელს, როდესაც ტანაში არეულობა დაიწყო და ამას ზედ დაერთო პოლიტიკური არეულობა, ჩრდილოეთის გზები უსაფრთხო აღარ იყო, ამიტომაც გაჭირვების უამს მათ თხოვნით ისევ პაპს მიმართეს. ვენეციელები კლიმენტი VI-ს სთხოვდნენ, რომ მათთვის ნება დაერთო ეგვიპტესთან ვაჭრობის აღდგენისა. ვენეციის დოჟი წერილში ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ვენეციამ პაპის მიერ შექმნილ საზღვაო ლიგაში, რომელიც თურქების წინააღმდეგ იყო მიმართული, ისედაც დიდი წვლილი შეიტანა და სთხოვდა ნება დაერთო, რათა მას აღედგინა ვაჭრობა მუსლიმებთან. 1344 წლის აპრილში პაპმა სპეციალური ლიცენზია გამოსცა ვენეციელებისთვის, რომელმაც გზა გაუხსნა მათ ვაჭრობას ალექსანდრიასთან.²¹⁰

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მკაცრი აკრძალვებისა, ეგვიპტესთან ვაჭრობის ბოლომდე აკრძალვა მაინც ვერ ხდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კურია თავად იყო უძლური ემბარგოს აღსრულებისას ფინანსური საჭიროებებისა და აკრძალვებით გამოწვეული დაძაბულობების გამო. აქედან გამომდინარე, პაპობა იძულებული გახდა შეემუშაებინა სამი გზა, რომლითაც თავისივე აკრძალვას დაარღვევდა. პირველი - პაპის მიერ ვაჭრობა დაშვებულ იქნა მაღალი რანგის პრელატებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთში იყვნენ ან აპირებდნენ გემების გაგზავნას იქ „სუფთა“ (იგულისხმება ის საქონელი, რომლითაც ვაჭრობა ეგვიპტესთან არ იყო აკრძალული - გ. ე.) საქონლით სავაჭროდ. მეორე - მიტევება გარანტირებული ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც განკვეთილნი იყვნენ ეგვიპტესთან ვაჭრობის გამო, მაგრამ მზად იყვნენ პატიების მისაღებად ამ მოგების ნაწილი დაეთმოთ. ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში არსებობდა, ხოლო კლიმენტი V-ის დროს, 1308 წელს განახლდა. მთელ რიგ

²¹⁰ Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. გვ. 203-204

შემთხვევაში მსგავსი მიტევება უკავშირდებოდა წმინდა ტახტის ფინანსურ საჭიროებებს. ნორმან ჰოსლის სხვადასხვა დროს მსგავსი შენდობის მფლობელებად ასახელებს ვენეციელებს, გენუელებს, კატალანებს, კვიპროსელებსა და სხვებს.²¹¹ მესამე გზა იყო სპეციალური ლიცენზიების გაცემა. პრივილეგიებისა და მიტევებისაგან განსხვავებით ლიცენზიების პრაქტიკა შედარებით გვიან დამკვიდრდა პაპ კლიმენტი VI-ის დროს, თუმცა მანამდეც, ჯერ კიდევ პონტიფიქს იოანე XXII-ის დროიდან მოყოლებული გაიცემოდა მსგავსი უფლება.²¹²

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მამლუქებთან სავაჭრო - ეკონომიკური ბრძოლა არც ისე წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მას ბოლომდე არ ემორჩილებოდნენ არც წამყვანი სავაჭრო ქალაქები (ვენეცია, გენუა) და არც თავად პაპის კურია. ამის ფონზე აღმოსავლეთში მდებარე პატარა საქართველო ყოველთვის საიმედო მოკავშირედ მოჩანდა დასავლეთისთვის, თუმცა ამ დროისთვის გიორგი V - ის დიპლომატიამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. ამის უმთავრესი მიზეზი ეგვიპტესთან ილხანთა მიერ დადებული შეთანხმება უნდა ყოფილიყო, რაზეც შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ.

საქართველო - ილხანთა საყაენოს ურთიერთობა გადაჯაჭვული აღმოჩნდა საქართველო - ეგვიპტის სასულთნოს ურთიერთობასთან. ამ კავშირზე სასაუბროდ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 1268 წლით დათარიღებული წერილი, რომელიც გვამცნობს იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფეების ორი წერილი ჩასულა ეგვიპტის სულთანთან, რომლებშიც ისინი ამ უკანაკსნელს ამცნობენ, რომ გამოვიდნენ თათართა მორჩილებიდან სულტნის გამო.²¹³ ჩვენ ვიზიარებთ პროფ. გ. ალასანიას შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს წერილები დასავლეთ საქართველოს იმ დროინდელ მფლობელს დავით ნარინს უნდა გვეგზავნა.²¹⁴ ამ შეხედულებას ისიც გვიმყარებს, რომ ქართველები ილხანთა დაქვემდებარებაში იბრძვიან ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ. ეს ფაქტი აშკარად ჩანს როგორც დემეტრე II-ის, ასევე ვახტანგ III-ის შემთხვევაში. 1300

²¹¹ Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. გვ. 206-207

²¹² Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. გვ. 208

²¹³ ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. თბ. 2016. გვ. 92-93

²¹⁴ ალასანია გ. ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე - 14 საუკუნის პირველ ნახევარში. ნოდარ შენგელია 75. თბ. 2008. გვ. 28-29

წელს ამ უკანასკნელმა მონღოლების მხარდაჭერით იერუსალიმში დროებით შესვლაც კი მოახერხა. ჩვენს ვარაუდს ისიც გვიმტკიცებს, რომ ბეიბარს ალ - მანსურის ცნობით, 1310 წელს კონსტანტინე დავითის ძეს წერილი მიუწერია სულტნისთვის, რომელშიც ვკითხულობთ: „მოვიდნენ ქართველი ელჩები კონსტანტინე დავითის ძის, საქართველოს და თბილისის მფლობელის მხრიდან.“²¹⁵ როგორც ვხედავთ დავით ნარინის ძე მოხსენიებულია თბილისის მფლობელადაც, რაც რეალობას არ შეესაბამება.²¹⁶ ამდენად, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით 1310 წელს, ისევე როგორც 1268 წელს, ეგვიპტეში იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოს ელჩები და ეს სრულიადაც არაა გასაკვირი, რადგან იმ დროს დასავლეთი არ ემორჩილებოდა ილხანებს. შესაბამისად აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, დავით ნარინსა და კონსტანტინე დავითის ძეს შეეძლოთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება. რაც შეეხება 1310-1311 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებას, ის უეჭველად კონსტანტინეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობები დაკავშირებული იყო ილხანთა მიერ ეგვიპტის სასულტნოსთან დადებულ საზავო ხელშეკრულებასთან, რომელიც 1323 წლის 20 ივნისს გაფორმდა.²¹⁷

მამლუქებთან ურთიერთობის დალაგება ქართველთა ინტერესებშიც შედიოდა. ამით მათ წმინდა მიწაზე ბევრად მეტი პრივილეგიები მიიღეს, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. XIV საუკუნის 30-იან წლებამდე გიორგი V ბრწყინვალეს არ შეეძლო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, რადგან ილხანთა საყაენოზე წისვლით ის ურთიერთობას გაიფუჭებდა ჩობან ნოინთან. მაშინ, როცა ამ უკანასკნელის კეთილგანწყობაზე მნიშვნელოვნად იყო მონღოლთა პოლიტიკა დამოკიდებული. გიორგი V ცდილობდა ჩობან ნოინთან ასეთი დამოკიდებულებით ქვეყნისთვის დრო მიეცა, რათა ძალა მოეკრიბა და ეკონომიკურად მომძლავრებულიყო, ამისთვის კი მონღოლთა

²¹⁵ Baybars al - Mansuri. Kitab al - Tuhfa al - Mulukiyya Fi al - Dawla al - Turkiyya. Ed. By D.S. Richards. Beirut. 1988. გვ. 221. ციტ. ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. თბ. 2016. გვ. 102

²¹⁶ ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. თბ. 96-103

²¹⁷ ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. გვ. 64. გვ. 104.

პერიოდული შემოსევებისაგან დასვენება იყო საჭირო, რასაც მან თავისი პოლიტიკით კიდევ მიაღწია.²¹⁸

საზავო ხელშეკრულების გაფორმება და საქართველო - ეგვიპტის სასულთნოს შორის გამოსწორებული ურთიერთობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ დასავლეთში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი რომ ფილიპე VI ვალუა საქართველოსაც სთავაზობს ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არა ეგვიპტის, არამედ ოსმალების წინააღმდეგ. XIV საუკუნის დამდეგს მცირე აზიაში ახალი სახელმწიფო გამოჩნდა, რომელსაც ოტომანების იმპერიის სახელწოდებით იცნობენ ევროპულ ისტორიოგრაფიაში. საუკუნის გარიჟრაჟზე მათ ხომალდების აგება დაიწყეს და თავიანთი ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებას შეუდგნენ. მათ ჯერ კიდევ 1301-1302 წლებში ხელთ იგდეს ბითინია, მას თანმიმდევრობით მიაყოლეს ტენედოსი, ხიოსი, სამოსი, ქიოსი, სამოსა, კარპატოსი და როდოსიც კი 1303 წელს თურქი მეკობრეების მეშვეობით. ევროპელებისთვის ცხადი გახდა, რომ თუ ოსმალები დაამარცხებდნენ ეგვიპტეს ისინი ასევე განაგრძობდნენ გზას ქრისტიანული სამყაროსაკენ. ეს ცხადი იყო ბიზანტიისთვისაც.²¹⁹

XIV საუკუნის 30-იან წლებში პაპმა იოანე XXII - მ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება დაიწყო, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო, როგორც ეგვიპტის სულტნის, ასევე ახლადჩამოყალიბებული და უკვე საკმაოდ მომძლავრებული ოსმალეთის წინააღმდეგ. ლაშქრობის მეთაურად თავიდანვე მოიაზრებოდა საფრანგეთის მეფე - ფილიპე VI ვალუა, რომელმაც მეფედ გახდომის შემდგომ მიზნად დაისახა ახალი ლაშქრობის ორგანიზება. ნორმან ჰოსლის შენიშვნით ეს იყო პოლიტიკური ნაბიჯი, რადგან ის ახალი დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო და მას კაპეტინგი მმართველების ჯვაროსნული ტრადიციის გაგრძელება სურდა.²²⁰ პაპის განსაკუთრებული აქცენტი ფრანგებზე გასაკვირი არ იქნება თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერები ყოველთვის ფრანგები იყვნენ. 1331 წლის

²¹⁸ კიუნაძე ვ. საქართველო XIV საუკუნეში. თბ. 1989. გვ. 62

²¹⁹ Setton M. Kenneth. The Papacy and the Levant (1204-1571). გვ. 3-2

²²⁰ Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. გვ. 23

დეკემბერში იოანე XXII - მ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა იქადაგა, რომელიც უნდა დაწყებულიყო 1334 წლის მარტამდე. ლაშქრობას წინ უძღვოდა რთული მოლაპარაკებები. ფილიპე VI - მ 1323 წლის დასაწყისში პაპს საკუთარი პროექტი წარუდგინა, რომლისგანაც პასუხიც აპრილში მიიღო. მოლაპარაკებები რამდენიმე თვე გაგრძელდა და როგორც იქნა 1333 წლის მაისში შეთანხმებას მიაღწიეს, რასაც მოჰყვა პაპის ბულების მთელი სერია, რომლიმაც ექსპედიციის ყველა ასპექტი მოიცვა. გეგმის თანახმად, ლაშქრობა სამ ეტაპად უნდა წარმართულიყო. მესამე დასკვნით ეტაპზე საქმეში თავად ფილიპე VI უნდა ჩართულიყო. ფრანგ რაინდებს თავად მეფე წარუძღვებოდა, როგორც ეკლესიის მხედართმთავარი.²²¹ მანამდე საქმეს საზღვაო ლიგა მიხედავდა, რომელშიც 1332 წლის სექტემბერში ვენეცია, ჰოსპიტალიერები და ანდრონიკე III განვევრიანდნენ. ასეთ ვითარებაში დასავლეთის დიპლომატია კიდევ უფრო აქტიურად შეუდგა აღმოსავლეთში მოკავშირეების ძებნას. ამას ამტკიცებს ფილიპე VI - ის წერილები ილხანთა ყაენ აბუ საიდისათვის და გიორგი V ბრწინვალესთვის, რომელსაც უეჭველია იგი პაპის თანხმობის გარეშე არ გამოგზავნიდა.²²² საფრანგეთის მეფეს წერილები ფრანცისკანელი მისიონერებისთვისა და ლათინ ვაჭართათვის გამოუტანებია, რომლებმაც იმსჯელეს და გადაყვიტეს აბუ -საიდ ყაენისთვის არ გადაეცათ, რადგან როგორც ჩანს იგი ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობისთვის მოუწოდებდა მას. ამ დროს როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ზავი სასულთნოსა და ილხანებს შორის დიდი ხნის გაფორმებული იყო. შესაბამისად აბუ საიდი ჯვაროსნებს მოკავშირედ არ გამოადგებოდათ.²²³ ამავე შეკრების დროს გადაუწყვეტავთ, რომ ქართველთა მეფისთვის წერილი გადაეცათ და ამ დავალების შესრულება რიკარდო მერჩერსა და ალექსანდრე ინგლისელს, ფრანცისკანელ ძმებს დაევალათ. საუბრებით მართებულად მიგვაჩნია პროფ. მურმან პაპაშვილის შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ „ფილიპე VI ვალუა ილხან აბუ - საიდს მოუწოდებდა ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისაკენ, ხოლო გიორგი V

²²¹ Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305 - 1378. გვ. 24

²²² პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ.231

²²³ ტაბარუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. III. თბ. 1987. გვ. 22

- ს , ალბათ, ანტითურქულ ლოალიციაში იწვევდა. ²²⁴ თუ ასე არ არის მაშინ გაუგებარია რატომ გადაიფიქრეს თათბირის მონაწილეებმა აბუ-საიდისთვის წერილის გადაცემა, ხოლო გიორგი ბრწყინვალესთვის არა. ლოგიკურია, რომ საქართველო ანტიეგვიპტურ კოალიციაში მონაწილეობას არ მიიღებდა. მას შემდეგ, რაც ეგვიპტესთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჩამოვარდა საქართველომ ბევრი მოგება ნახა და ამ მიღწევებს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენებდა. ეს კარგად უნდა სცოდნოდა საფრანგეთის მეფესაც. აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ წერილი, რომელიც გიორგი V - ს საფრანგეთის მონარქისგან მოუვიდა მას არა ანტიეგვიპტურ, არამედ ანტიოსმალურ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას მოუწოდებდა. კიდევ ერთი არგუმენტი ჩვენი მტკიცების გასამყარებლად ისაა, რომ საქართველოს მეფემ ელჩები საკმაოდ დიდ ხნით, კერძოდ, ორი თვის განმავლობაში დატოვა საქართველოში. თუ ფილიპე VI ვალუა მართლაც ანტიეგვიპტურ ლაშქრობაში მონაწილეობას სთავაზობდა ვფიქრობთ გიორგი V ბევრად მალე გაისტუმრებდა მათ, რათა ეგვიპტის სულთნებისთვის ეჭვები არ აღეძრა. როგორც ზემოთ ვნახეთ ოსმალები ამ დროს უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და ნელ - ნელა ქრისტიანული ევროპისკენ მიიწევდნენ, შემდეგში კი ქრისტიანული საქართველოს დროც დადგებოდა. გიორგი ბრწყინვალეს კარგად ექნებოდა გააზრებული ოსმალური საფრთხე, ამიტომაც შეაყოვნა ელჩები და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იოანე XXII - ისა და ფილიპე VI ვალუას მიერ ორგანიზებული ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ ინფორმაციას აგროვებდა, რათა დარწმუნებულიყო მისი განხორციელების რეალურობაში.²²⁵

საქართველო ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან მოყოლებული ჯვაროსნული ლაშქრობის შესაძლო მონაწილედ ითვლებოდა, თუმცა ყოველ ჯერზე გაუთვალისწინებელი მოვლენები შლიდა ჩვენ წასვლას წმინდა ომში. ამჯერად საქართველოს მდგომარეობა ბევრად სტაბილური იყო, ვიდრე მონღოლების გამოჩენის პირველ წლებში. ილხანთა საყაენო თავისი არსებობის ბოლო წლებს ითვლიდა, ოსმალეთი ჯერ ისეთი ძლიერი არ

²²⁴ შაჰაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ. 237

²²⁵ შაჰაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ. 237

იყო, რომ საქართველოს მოსწვდენოდა, ეგვიპტის სასულტნოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა გვექონდა, საქართველო კი გაერთიანებული და ძლიერი იყო. ამრიგად, გიორგი V - ს თამამად შეეძლო ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ შეიძლება ევროპელებს კვლავ გადაედოთ ან საერთოდ არ მოეწყოთ ექსპედიცია. აქედან გამომდინარე, ამჯერად საქართველოს არ უღირდა ამკარად ჩართულიყო ომში და ამით გამოეწვია მუსლიმი მეზობლები, თანაც მაშინ, როცა ევროპიდან დამხმარე ჯარის მოსვლის არანაირი გარანტია არ არსებობდა. სწორედ ამის გააზრებით იყო ნაკარნახები გიორგი V - ის პასუხი ფილიპე VI - ისადმი, რომელშიც იგი წერდა: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარაცინთა წინააღმდეგ (საბრძოლველად) მაგრამ (საქმე იმაშია, რომ) შემდეგ (ისინი) აღარ მოდიან (და) გვეტოვებენ ამ მტანჯველ ომში (მართლაც). ამიტომ ვთხოვთ (თქვენ) ამ (მიზეზის) გამო, როცა (შესაფერისი დრო) იქნება, ზღვა გადმოლახეთ (და) მყისვე მეც (იქ) გავჩნდები. ჩემი კეთილშობილი (ე. ი. კარგად აღჭურვილი გ. ე.) ოცდაათი ათასი ჯარისკაცით.“²²⁶ როგორც წერილიდან ვასკვნით, გიორგი V უარს არ ამბობდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაინწყებოდა და ხმელთაშუა ზღვას გასცდებოდა. ბუნებრივია, ის ეჭვები, რომელიც დასავლეთის მიზნებთან მიმართებაში საქართველოს მეფის მხრიდან არსებობდა. იმავე XIV საუკუნეში არაერთი ანტიეგვიპტური ლაშქრობის სურვილი და მოწოდება ყოფილა, თუმცა რეალური შედეგი არც ერთს მოუტანია. ეს კარგად მოეხსენებოდა გიორგი V - საც, ამიტომაც არ ჰპირდებოდა არაფერს. მას კარგად ესმოდა ისიც, რომ დაბეჭითებითი დადებითი პასუხი ოსმალეთის გაღიზიანებას გამოიწვევდა, რაც სამომავლოდ შეიძლება უფრო დიდი პრობლემის შემქმნელი აღმოჩენილიყო საქართველოსთვის. მიუხედავად ამისა, მას კარგად ესმოდა დასავლეთის როგორც ქრისტიანი მოკავშირის მნიშვნელობაც, ამიტომ არ შეეძლო ფილიპე VI ვალუასთვის პირდაპირ უარის თქმა. როგორც პროფ. მ.

²²⁶ კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 158

პაპაშვილი აღნიშნავს, „წერილის ეს მოკლე ფრაგმენტი საფრანგეთის მეფის წინადადებაზე დიპლომატიურად უარის თქმის ბრწყინვალე ნიმუშია.“²²⁷

ამრიგად, XIV საუკუნის I ნახევარში საქართველოს სოციალ - პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლასთან ერთად, იცვლება დასავლეთთან არსებული პოლიტიკაც. თუკი XIII საუკუნეში ქართველი მესვეურები თანახმა იყვნენ რელიგიურ დათმობებზე წავსულიყვნენ, რაშიც უპირველესად იგულისხმება პაპის პრიმატის აღიარება და არა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარება, XIV საუკუნეში, როცა ქვეყნის ავტორიტეტი და ძალა გაიზარდა ამის საჭიროება არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, დასავლელი ქრისტიანი მოკავშირის დაკარგვა არ შედიოდა საქართველოს ინტერესებში. ამიტომ გიორგი ბრწყინვალე, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი, დახვეწილი დიპლომატიური სტილით შეეცადა, რომის პაპისა და საფრანგეთის მეფის ინიციატივიდან გამოსულ ინტერესს საკუთარი ქვეყნის სარგებლიანობის პრინციპით ისე მიდგომოდა, რომ ადრესატებს მასში რეალური ჯვაროსნული ლაშქრობის მოკავშირე და წმინდა ტახტთან რელიგიური ურთიერთობის, და არა უნიის, ერთგული მომხრე დაენახათ.

²²⁷ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). გვ. 239

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

1054 წელს მომხდარმა სეიზმამ, რომელიც საბოლოოდ ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ და ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებად გაყოფით დასრულდა, შედეგად მოჰყვა ურთიერთობების გართულება მხოლოდ კონსტანტინეპოლსა და რომს შორის. მიუხედავად ამ გართულებებისა, ორივე მხარე გამუდმებულად ცდილობდა თავდაპირველი ურთიერთობის აღდგენას. ბერძნულ (ბიზანტია) და ლათინურ (დასავლეთი) სამყაროებს შორის ხიდი საბოლოოდ 1204 წელს ლათინების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ ჩატეხა. საქართველო თავიდანვე გაემიჯნა ამ პროცესებს და რომის მიმართ ლოიალური განწყობა შეინარჩუნა. ამაზე მიუთითებს, როგორც პაპის სახელის დიპტიქში დატოვება დანარჩენ ოთხ პატრიარქთან ერთად, ასევე გიორგი მთაწმინდელის სიტყვები, რომელმაც, უდავოა, კონსტანტინე X ლუკას წინაშე რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ინტერესები დაიცვა.

საქართველოს რომთან თანაზიარება გაგრძელდა XIII საუკუნის I ნახევრამდე. ამ დროიდან წმინდა საყდარსა და ქართველ მონარქებს შორის სისტემატიური კონტაქტი მყარდება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებით არის ნაკარნახევი. საქართველოსთვის რომი იყო მოკავშირე დასავლეთში, ხოლო პაპებისთვის საქართველო-აღმოსავლეთში. ორივე მხარე თვალს ხუჭავდა არსებულ დოგმატურ სხვაობებზე რისი უმთავრესი მიზეზიც მოკავშირის შენარჩუნების სურვილი იყო. ამ პერიოდში კურიის მთავარ მიზანს პაპის პრიმატის აღიარება წარმოადგენდა. საქართველოს მესვეურებმა ეს კარგად უწყოდნენ, ამიტომაც ამ ბერკეტს დახმარების მისაღებად იყენებდნენ, როგორც ეს დედოფალმა რუსუდანმა გააკეთა 1240 წლამდე გაგზავნილი წერილით. ის გრიგოლ IX-ს პაპის პრიმატის ცნობას დაჰპირდა, სანაცვლოდ კი მონღოლთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. პირველობის საკითხით მანიპულირება საქართველოს მეფეების მხრიდან პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული. ამავე პერიოდიდან იწყება ფრანკისკანელი და დომინიკანელი მისიონერების გამოგზავნა, რომელთა უპირველეს მიზანს არა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის დაარსება, არამედ ქართველთა

რწმენის გაძლიერება წარმოადგენდა, რომლებიც აღმოსავლელი მტრების წინააღმდეგ დაუღალავად იბრძოდა. მიუხედავად ამისა 1240 წლის 13 იანვრის წერილიდან გამომდინარე ცხადი გახდა, რომ დასავლეთი მონღოლების წინააღმდეგ საქართველოს დასახმარებლად ჯარს არ გამოგზავნიდა. სწორედ ამ იმედგაცრუების შემდეგ აფორმებს დედოფალი რუსუდანი მონღოლებთან საზავო ხელშეკრულებას. ჩვენი მტკიცებით სწორედ ამის შემდეგ იწყება წმინდა ტახტთან დაპირების პროცესი, რომელიც ისევე როგორც ბიზანტია-რომის შემთხვევაში იყო ხანგრძლივი პროცესი. რომის პაპები ცდილობდნენ დაებრუნებინათ საქართველო თავიანთ სულიერ სახლში, რაზეც ქართველი მონარქები, ასევე პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე არც ცივი უარით პასუხობდნენ და არც დადებით პასუხს აძლევდნენ.

XIV საუკუნის დასაწყისში დაიწყო ახალი ჯვაროსნული თეორიების შექმნა, რომლის საბოლოო მიზანსაც წმინდა მიწის გათავისუფლება წარმოადგენდა. ამ საქმეში თავისი წვლილი საქართველოსაც უნდა შეეტანა მონღოლებში მისიონერული საქმიანობის ხელშეწყობითა და დასავლეთისთვის ჯვაროსნულ ლაშქრობაში სამხედრო დახმარების აღმოჩენით. ჩვენი მტკიცებით სწორედ ჯუჩის ულუსში მისიონერული საქმიანობის ხელშეწყობას და მონღოლთა გაქრისტიანებას ემსახურებოდა საქართველოში ორი ორდენის - ფრანკისკანელთა და დომინიკანელთა რაოდენობის მუდმივად ზრდა. ბუნებრივია, რომ ტერიტორიულად არც თუ ისე დიდ საქართველოში პაპი კათოლიკური რელიგიის საქადაგებლად ამდენ მონაზონს არ გამოგზავნიდა თუ მათ სხვა მიზანიც არ ექნებოდათ. მონღოლთა გაქრისტიანება მიუხედავად იმისა, რომ ისინი რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრები იქნებოდნენ სასარგებლო იქნებოდა საქართველოსთვისაც, რადგან ის თავიდან აირიდებდა ისლამურ რკალში მოხვედრას. პაპი იოანე XXII ცდილობდა საქართველოს, როგორც აღმოსავლელი მოკავშირის შემომტკიცებას უნის გზით, თუმცა XIV საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა ქვეყნის ავტორიტეტი გაიზარდა. ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა, ილხანები სულს ლაფავდნენ, ეგვიპტესთან მშვიდობიანი ურთიერთობა მიღწეული იყო, უფრო მეტიც ამას თან ახლდა მთელი რიგი პრივილეგიები წმინდა მიწაზე, საქართველოს აღარ სჭირდებოდა უნიაზე თანხმობა. მიუხედავად ამისა საქართველოს ინტერესებში არ შედიოდა დასავლელი

მოკავშირის დაკარგვა, ამიტომაც გიორგი V ბრწყინვალე თავისი დახვეწილი დიპლომატიით ახერხებს პაპს აგრძნობინოს, რომ ის კათოლიკურ ეკლესიასთან კეთილგანწყობილ ურთიერთობას გააგრძელებს და მიიღებს ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას, თუმცა არა უნიის გზით. წმინდა ტახტთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის მაჩვენებელი კი უეჭველად იყო კათოლიკე მისიონერების თბილი მიღება საქართველოში.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

1. გიორგი მცირე. ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისად. ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XVსს). რედ. აბულაძე ი. ტ. II. თბ. 1967
2. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბილისი. 1902
3. თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი. 1995
4. თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბილისი. 2004
5. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი უაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. წიგნს შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ანდრო გოგოლაძემ, თეა წითლანაძემ, თეა ქარჩავამ, ნიკოლოზ სილაგაძემ. თბილისი. 2015.
6. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. (XIII-XVI სს). I. თბილისი. 1984
7. ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. III. თბილისი. 1987
8. ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). რედ. მეტრეველი რ. თბილისი. 2004
9. A History of Deeds Done Beyond The Sea. Vol. I. 1949
10. Baybars al - Mansuri. Kitab al - Tuhfa al - Mulukiyya Fi al – Dawla al – Turkiyya. Ed. By D.S. Richards. Beirut. 1988.
11. Het'um the Historian's. History of the Tartars. [The Flower of Histories of the East]. Translated by Robert Bedrosian. New Jersey. 2004
12. The Book of the Secret of the Faithful of the Cross. Liber Secretorum Fidelium Crusis. Trans by Peter Lock. Ashgate. 2011.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. აბდ ალ-ჰამიდ შარაფი. აღმოსავლეთ-დასავლეთის თოთხმეტსაუკუნოვანი ბრძოლა. ახალი ხედვა. არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ, თბილისი, 2019
2. ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბილისი. 1989.
3. ალასანია გ. ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე - 14 საუკუნის პირველ ნახევარში. ნოდარ შენგელია 75. თბილისი. 2008.
4. ბერაძე თ. სანაძე მ. საქართველოს ისტორია. I. თბილისი. 2003.
5. ბრეგანტინი გაბრიელე. კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. I. თბილისი. 2018.
6. გაბაშვილი მ. რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში? უერნ. აღმოსავლეთი და კავკასია. №1. თბილისი. 2003.
7. გოგოლიშვილი თ. ლათინური აღმოსავლეთის და ბიზანტიის ყოველდღიურობა უილიამ ტვიროსელის მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომი თბილისი. 2018.
8. ვურაკი კარლო. დემეტრე ტფილელი, წამებული თანაში (ინდოეთი). კრებ: კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში. №1. თბილისი. 2018.
9. თარხნიშვილი მ. წერილები. თამარ ჭუმბურიძის გამოცემა. თბილისი. 1994.
10. თვარაძე ა. იბერები გიომ ტვიროსელის ქრონიკაში. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, N. 9, თბილისი. არტანუჯი. 2008.
11. თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI -XIII საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი. 2015
12. კეკელიძე კ. ნანყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან: ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბილისი. 1957
13. კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. „მნათობი“. 1982. №9.

14. კიკნაძე ვ. საქართველო XIV საუკუნეში. თბილისი. 1989.
15. ლორთქიფანიძე მ. მონარქიის საგარეო პოლიტიკა (X ს. დადასრ. – XI ს. 60 იანი წლები). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. თბილისი. 1979.
16. მამისთვალიშვილი ე. საქართველო - რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054წ). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. X-XI. თბილისი. 2010-2011
17. მაჭარაშვილი გ. დიდი სქიზმა და საქართველო. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი. 2014
18. მაჭარაშვილი გ. ეკლესიური ერთობის დარღვევა რომსა და საქართველოს შორის. თბილისი. 2003
19. მაჭარაშვილი გ. ლიონის უნია და საქართველო. თბილისი. 2007.
20. მაჭარაშვილი ტ. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია. კრებ: საისტორიო შტუდიები. თბილისი. 2000.
21. მეტრეველი ე. ქართული კულტურის დიდი კერა. ფილოლოგიურ - ისტორიული ძიებანი. არტანუჯი. 2007.
22. პაპაშვილი მ. საქართველო - რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი. 1995
23. პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბილისი. 2019
24. პაპაშვილი მ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII –XV საუკუნეები.) ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში ისტორია და თანამედროვეობა. კრებული. I. თბილისი. 2013.
25. პაპაშვილი მ. ჯვაროსნული ლაშქრობების თეორიული პროექტები და საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომათა კრებული. № 15. თბილისი. 2018
26. პაპაშვილი ნ. რელიგიის კარიბჭე. (რელიგიის ისტორიის შესავალი). თბილისი. 1996

27. პატარიძე ლ. 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. თურნ: „დიალოგი“. 2005. №1 (2).
28. უანენი რ. საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტ. VI, ნ. I. პარიზი. 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მაგლობლიშვილმა, თბილისი. 1996
29. ჯავახია ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. გივი უორდანი 90. თბილისი. 2001
30. ჯავახია ბ. ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტე პოლონელი, უან დე მანდვილე.) საისტორიო კრებული. I. 2011.
31. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბილისი. 1966
32. ჯავახიშვილი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან IV - XIV საუკუნეებში. საღირსეტაცო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1997.
33. ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. თბილისი. 2016
34. ჯაში ზ. გიორგი მთაწმინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე, კრებ: აღმოსავლურ - დასავლური ქრისტიანობა. თბილისი. 2009
35. ტყემელაშვილი ლ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. საღოქტორო დისერტაცია. ქუთაისი. 2012
36. Angold Michael. The Fourth Crusade. Event and Context. Harlow: pearson longman. 2003
37. Bonta Cornel. La croisade taedive: des plans du début du XIV – siècle à la defaite de Nicopolis. University Montréal. 2012.
38. Dr. Hayat Nasser Al – Hajji. The Crusading Deals During Fourteenth an Fifteent Century, 1976.
39. Housley Norman. The Avignon Papacy and the Crusades, 1305-1378. Clarendon Press. Oxford. 1986

40. Lilie R. J. Byzantium and the Crusader States 1096-1204 / Translated by J. C. Morris and Jean E. Ridings. Oxford. 1993
41. Mamuka Tsurtsunia. Couched Lance and Mounted Shock Combat in the East The Georgian Experience. Journal of Medieval Military History: Vol. XII. 2014.
42. Maynes R. East and west in 1054. Cambridge Historical Journal. 11. 1954.
43. Nicol M. Donald. The Byzantine View of Western Europe. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291. Leideo. 1975
44. Papadakis Aristides.. Ecumenism in the thirteenth century: The Byzantine case. ST. Vladimir's theological quarterly. Vol. 27. No 3. 1983.
45. Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014.
46. Rapp H. Stephan. Georgian Christianity: The Blacwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry. Chiechester. 2010.
47. Runciman Steven. the Eastern Schism. Oxford University Press . 1997
48. Setton M. Kenneth. The Papacy and the Levant (1204-1571). Vol. I. The Thirteenth and Fourteenth Centuries. Philadelphia. 1976.
49. Stefan K. Stantchev. Embargo: The origins of an idea and the implications of a Policy in Europe and the Mediterranean. ca. 1100 – ca. 1500. Univeristy of Michigan. 2009
50. Аннинский С. А. Известия венгерских миссионеров XIII-XIV вв. о татарах и восточной Европе// Исторический архив. М. Л. 1940. №3
51. Болотов В. В. Лекции по истории древней церкви. М. 1994. Т. III.
52. Казаков М. М. У истоов Великого церковного раскола. М. 2010
53. Маркевич августин. Униатство: богословские аспекты. Авт. Канд. Богословия. М. 2003
54. Хаутала Р. Письма францисканцев из Золотой Орды: сведения латинских источников о религиозной политике хана Узбека (1312/13 – 1341). Rossica Antiqua. 2014. №1.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in **Medieval History**

Evaniseli Gvantsa

**Papal Eastern Policy and Ecumenical and Diplomatic Relations
between Georgia and Rome from the 13th c. till 1330s**

Thesis is prepared for obtaining MA Degree in Medieval History

Scientific Supervisor: Tea Tsitlanadze,

Associate Professor

Tbilisi

2019

106